


მარინა თუმანიშვილი

# საქართველოს

კულტურული მემკვიდრეობა პარიზის  
1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე და  
118 წლის შემდეგ

2018

კულტურული მემკვიდრეობის ევროპული წელი



**მარინა თუმანიშვილი**

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა  
პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე  
და 118 წლის უმედეგ**

**მეორე გამოცემა**

**2020**

**„საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე და 118 წლის შემდეგ“**

**იდეის ავტორები:** მანანა ვარძელაშვილი და მარინა თუმანიშვილი

**წიგნის ავტორი:** მარინა თუმანიშვილი

I ნაწილი – რაფიელ ისარლიშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი: „საქართველოს ისტორია, პარიზი-ტიფლისი, 1900“ (Histoire de Géorgie, Paris-Tiflis, 1900) – რეტროსპექტული გამოცემა

II ნაწილი – მარინა თუმანიშვილი: „პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე წარმოდგენილი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა 118 წლის შემდეგ“

**წიგნი შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა:**

მარინა თუმანიშვილმა

**მთავარი რედაქტორი**

ნიკოლოზ ანთიძე

**სარედაქციო ჯგუფი:**

დავით ლომიტაშვილი, გიორგი ჭეიშვილი, მანანა ვარძელაშვილი, ნინო შიოლაშვილი, ქეთევან ქამუშაძე, ბესიკ ლორთქიფანიძე

**დიზაინი და დაკაბადონება:**

იოსებ ქემაშვილი

I ნაწილის გრაფიკული დიზაინერი – ივანე ყენია

**გარეკანის დიზაინი**

მარინა თუმანიშვილი

*საქართველოს რუკა – გიორგი ხაბურზანია*

*ეიფელის კოშკის ფოტო – მარინა თუმანიშვილი*

**თარგმანი**

შპს „ლინგვო“

**კორექტურა და სტილი**

ალინა ჩაგანავა

**ფოტოები:**

გია საფარიშვილი, ივანე ყენია, ინგა ნიშანიანი, სანდრო ქენქაძე, მარინა თუმანიშვილი

წიგნში გამოყენებული საარქივო დოკუმენტები დაცულია: სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.



სარედაქციო ჯგუფი გამოცემის მომზადებაში განეული დახმარებისათვის მადლობას უხდის: სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებს - მარინე ბოკუჩავას, მამუკა ქაფიანიძეს და მაგდა გაბრიჭიძეს; გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებს - თეა თვალავაძეს, მარინა ყიფიანს და დავით ბუაჩიძეს.

© 2020 საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო



ISBN 978-9941-8-2231-5

## მეორე გამოცემის წინათქმა

„საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე და 118 წლის შემდეგ“ ქართულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე (სამი წიგნი), მარინა თუმანიშვილის ავტორობით, კულტურული მემკვიდრეობის ევროპულ წლად გამოცხადებულ 2018 წელს გამოსცა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ. ამ წიგნმა გამოცემისთანავე მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია, მაგრამ მცირე ტირაჟი ვერ გასწვდა ყველა მსურველს, რამაც მისი ხელმეორედ გამოცემა გადაგვანყვეტინა.

ორივე გამოცემას საფუძვლად დაედო რაფიელ ისარლიშვილის რედაქტორობით 1900 წელს პარიზში გამოცემული წიგნი – „საქართველოს ისტორია“ (*“Histoire de Géorgie, Paris-Tiflis, 1900”*), რომლის ორიგინალიც – საკუთარი არქივის რელიკვია – ქალბატონმა მარინა თუმანიშვილმა საჩუქრად გადასცა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმს, რაფიელ ისარლიშვილის პირადი კოლექციის შესავსებად.

## რედაქტორის წინათქმა

წინამდებარე ნაშრომის გამოცემის იდეა ქალბატონ მანანა ვარძელაშვილთან ერთად ეკუთვნის რაფიელ ისარლიშვილის (ისარლოვის) შთამომავალს, ქალბატონ მარინა თუმანიშვილს.

რარიტეტად ქცეულ წიგნს *“Histoire de Géorgie, Paris-Tiflis, 1900”* (საქართველოს ისტორია, პარიზი-ტიფლისი, 1900) რომლის რეტროსპექტივა I ნაწილშია შემოთავაზებული, მკითხველი, ვფიქრობთ, დიდი ინტერესით შეხვდება. საინტერესოა ის პირველ რიგში ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით - 1900 წლისთვის რა მეცნიერული ცოდნა იყო დაუნჯებული ჩვენში მშობლიური ქვეყნის შესახებ. არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის ცოდნაც, თუ რას მოუთხრობდნენ ქართველი მოღვაწენი საერთაშორისო საზოგადოებას „იმ მეტად საინტერესო ქვეყნის შესახებ, რომელიც არა მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობით და ბუნებრივი სიმდიდრით გამოირჩეოდა, არამედ პატრიოტიზმის ღირსშესანიშნავი ფაქტებით აღსავსე ისტორიითაც“ (იხ. I ნაწილის შესავალი). პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე კავკასიის კუთხის მონყოლა ფრანგულ ენაზე გამოცემული „საქართველოს ისტორიის“ თანხლებით ქართული საზოგადოების დიდი გამარჯვება იყო ევროპულ ოჯახში დამკვიდრებისკენ მიმავალ გზაზე. ამაზე ნათლად მეტყველებს ის გამოხმაურებებიც, რაც გამოფენას და თავად წიგნს მოჰყვა.

სპეციალისტების ყურადღებას, უთუოდ, მიიპყრობს „საქართველოს ისტორიისთვის“ დართული ილუსტრაციები. ისინი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობაზეც და ლანდშაფტზეც.

უკვე აღვნიშნეთ, რომ წიგნში – *“Histoire de Géorgie, Paris-Tiflis, 1900”* (საქართველოს ისტორია, პარიზი-ტიფლისი, 1900) აისახა საქართველოს ისტორიის ის ცოდნა, რომელიც XIX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში ბატონობდა. ბუნებრივია, რომ იქ გამოთქმული არაერთი შეხედულება დღეს გადასინჯული, შესწორებული ან სულაც უარყოფილია. ასეთია, მაგალითად, ინფრომაცია ქართველთა წინაპრების საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე მიგრაციის შესახებ ძვ.წ. VII საუკუნეში, ქსნისა და არაგვის ერისთავების დუდაროვებისგან შთამომავლობა, „საქართველოსა“ და „აფხაზეთის“ არასწორი მიმართება და სხვა. ზოგიერთ დებულებას აშკარად პოლიტიკური ქვეტექსტი აქვს. „მეთორმეტე საუკუნიდან ბევრი მათგანის (ქართველის - რედ.) რწმენა კათოლიციზმი გახდა“ - ცხადია, ამ ფრაზის გაჩენა ევროპელთა მხრიდან საქართველოთი მეტი დაინტერესების სურვილით იყო გამოწვეული. ცხადია, მკითხველმა ეს და ბევრი სხვა გარემოებაც უნდა გაითვალისწინოს.

## წინათქმა

გამოცემა „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე და 118 წლის შემდეგ“ განიხილება როგორც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთი ღონისძიება 2018 წლის კულტურული მემკვიდრეობის ევროპულ წლად გამოცხადებასთან დაკავშირებით.

გამოცემის პირველ ნაწილში წარმოდგენილია წიგნის – *“Histoire de Géorgie, Paris-Tiflis, 1900”* (საქართველოს ისტორია, პარიზი-ტიფლისი, 1900) რეტროსპექტივა. აღსანიშნავია, რომ *“Histoire de Géorgie, Paris-Tiflis, 1900”* საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საზღვარგარეთ წარმოჩენის ისტორიის თვალსაჩინო მაგალითია. მისი მნიშვნელობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ეს არის მსოფლიო მასშტაბით საქართველოს მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გაცნობის ერთ-ერთი პირველი მცდელობის ამსახველი დოკუმენტი. კერძოდ, მსოფლიო მიღწევების გამოფენაზე, რომელიც პარიზში 1900 წელს გაიმართა (*l'Exposition Universelle de Paris de 1900*), საქართველოს ცალკე განყოფილება დაეთმო და, ქვეყნის მიღწევების ამსახველ ექსპონატებთან ერთად, წარმოდგენილი იყო სპეციალურად ამ გამოფენისათვის ფრანგულ ენაზე 1899 წელს დაწერილი და პარიზში 1900 წელს გამოცემული წიგნი *“Histoire de Géorgie, Paris-Tiflis, 1900”* (საქართველოს ისტორია, პარიზი-ტიფლისი, 1900). წიგნის ავტორები არიან: გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე რაფიელ ისარლიშვილი და პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი. აღსანიშნავია, რომ ეს წიგნი თანადროულია ეიფელის კოშკისა, რომელიც აგრეთვე სპეციალურად ამ მსოფლიო გამოფენისათვის შეიქმნა იმდროინდელი საინჟინრო მიღწევების სადემონსტრაციოდ.

წიგნის – *“Histoire de Géorgie”* წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ საქართველოს საზოგადოებას იმ დროს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა რუსეთის იმპერიაში შემავალი საქართველოსათვის ნება დაერთოთ, მისი კულტურული მემკვიდრეობა მსოფლიო გამოფენაზე დამოუკიდებლად წარედგინა. უფრო მეტიც, განეული ძალისხმევის შედეგად, საქართველოს გამოფენაში მონაწილეობის ინიციატორი და ორგანიზატორი რაფიელ ისარლიშვილი საქართველოს ექსპონატებისა და წიგნის პარიზში საპრეზენტაციოდ, მსოფლიო გამოფენაზე ოფიციალური ატაშეს სტატუსით მიავლინეს.

აღნიშნული წიგნის მნიშვნელობა სადღეისოდ ძალიან დიდია, რადგან მე-19 და მე-20 სს. მიჯნაზე მისი მეშვეობით საერთაშორისო დონეზე, პირველად წარმოჩნდა საქართველოს ის მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც ამჟამად ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მსოფლიო მემკვიდრეობად არის აღიარებული: მცხეთის ისტორიული ძეგლები, გელათის სამონასტრო კომპლექსი, ქართული ანბანი და სხვ. წიგნში წარმოდგენილია იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, როგორც დაწყებითი სკოლისათვის ქართული ენის სწავლების საუკეთესო სახელმძღვანელო, ასევე, საქართველოს ისტორია, ლიტერატურა, გეოგრაფია და ბუნებრივი მემკვიდრეობა.

ამგვარად, წიგნში – “Histoire de Géorgie” თავმოყრილია ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ამჟამად აქტუალობის მაღალ რეგისტრშია აყვანილი. ამ წიგნის მეშვეობით დასტურდება ერთი საუკუნით ადრე, მე-20 საუკუნის დასაწყისში, ქვეყნის მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების, ზოგადსაკაცობრიო ღირებულების კონტექსტში, მსოფლიო საზოგადოებისათვის გაცნობის ისტორიული ფაქტი.

რეტროსპექტულ გამოცემაში შესულია წიგნის – “Histoire de Géorgie, Paris-Tiflis, 1900” (საქართველოს ისტორია, პარიზი-ტიფლისი, 1900) ორიგინალი ფრანგულ ენაზე და მისი თარგმანები ქართულ და ინგლისურ ენებზე. გამოცემის ტექსტს თანდართული აქვს სარედაქციო ჯგუფის კომენტარები, სადაც თანამედროვე გამოკვლევების საფუძველზე მოცემულია შესაბამისი ინფორმაცია ისტორიულ ფაქტებთან და თარიღებთან დაკავშირებით.

გამოცემის – „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე და 118 წლის შემდეგ“ მეორე ნაწილში სათაურით: „პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე წარმოდგენილი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა 118 წლის შემდეგ“, რომლის ავტორია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, UNESCO-სა და საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, არქიტექტურის დოქტორი მარინა თუმანიშვილი, გაშუქებულია პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე საქართველოს მონაწილეობისა და წიგნის – “Histoire de Géorgie, Paris-Tiflis, 1900” შექმნის ისტორია. ამ ნაწილში წარმოდგენილია აგრეთვე ინფორმაცია მსოფლიო გამოფენების შესახებ, წიგნის ავტორების ბიოგრაფიული ცნობები და საქართველოს მსოფლიო გამოფენაზე მონაწილეობასთან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოების გამომხაურების ამსახველი საარქივო მასალები. საარქივო დოკუმენტებს შორის აღსანიშნავია საფრანგეთის მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ჯილდოს–წოდება “Officier du Mérite Agricole” მინიჭების დამადასტურებელი დიპლომი და ორდენი, რომლითაც რაფიელ ისარლიშვილი 1900 წლის პარიზის მსოფლიო გამოფენაზე საქართველოს მემამულეთა წარმომადგენლისა და რუსეთის გენერალური კომისარიატის ოფიციალური ატაშეს სტატუსით დააჯილდოვეს მისი ღვაწლის გამო. გამოცემის მეორე ნაწილში გაშუქებულია ასევე პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე წარმოდგენილი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო აღიარების პროცესი თანამედროვე ეტაპზე – პარიზის მსოფლიო გამოფენიდან 118 წლის შემდეგ.





**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა  
პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე და 118 წლის შემდეგ**

## **ნაწილი I**

*„თქვენ მიერ გარიგებული საქმე ერთობ დიადი და საშვილიშვილოა.  
გონიერი, კეთილშობილური და უზაკველი სიყვარული მამულისა  
ერთი უმაღლეს ქრისტიანულ სათნოებათაგანია და მწამს სრული  
სიმტკიცით, რომ ზეციერი მამა ჩვენი არ დასტოვებს უდაუჭკნობელ  
გვირგვინოდ ამ სათნოების მოციქულთა“*

იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდის წერილიდან რაფიელ ისარლიშვილისადმი, 1.06.1901 წ.  
(გეორგი ლეონიდის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხ.N11073 )

**რაფიელ ისარლიშვილი**

**ალექსანდრე ხახანაშვილი**

## **საქართველოს ისტორია**

პარიზი-ტიფლისი, 1900

**(Histoire de Géorgie, Paris-Tiflis, 1900)**

რეტროსპექტული გამოცემა

- 1900 -

- 2018 -



# Histoire DE GÉORGIE

PUBLIÉE SOUS LA DIRECTION DE

**M. Raphaël ISARLOFF**

REPRÉSENTANT DES PROPRIÉTAIRES GÉORGIENS  
ATTACHÉ OFFICIEL AU COMMISSARIAT GÉNÉRAL DE RUSSIE  
A L'EXPOSITION UNIVERSELLE DE PARIS DE 1900



APERÇU GÉOGRAPHIQUE

ET

**Abrégé de l'Histoire et de la Littérature géorgienne**

PAR

**M. A. KHAKHANOFF**

Professeur.



PARIS

LIBRAIRIE DE CHARLES NOBLET  
13, RUE CUJAS, 13

TIFLIS

LIBRAIRIE DE LA SOCIÉTÉ GÉORG.  
DE LETTRES (RUE DU PALAIS)

1900

Droits de traduction et de reproduction réservés.

# საქართველოს

## ისტორია

გამოცემულია საქართველოს მესაკუთრეთა წარმომადგენლის,  
პარიზის 1900 წლის უნივერსალური გამოფენის  
რუსეთის კომისარიატის ოფიციალური ატაშეს

### ბატონ რაფიელ ისარლოვის (რაფიელ ისარლიშვილი)

ხელმძღვანელობით

### პროფესორ ბატონ ა. ხახანოვის (ალექსანდრე ხახანაშვილი)

ნარკვევები საქართველოს გეოგრაფიის,  
ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ

#### პარიზი

შარლ ნობლეს გამომცემლობა  
კუჟას ქუჩა, 13

#### ტიფლისი

ქართული საზოგადოების ლიტერატურული  
გამომცემლობა  
სასახლის ქუჩა

1900

თარგმანისა და გავრცელების უფლება დაცულია




## Avant-Propos.

*Dès que fut décidée l'ouverture, à Paris, de l'Exposition universelle de 1900, M. Raphaël Isarloff, l'un des membres de l'ancienne noblesse géorgienne, s'occupa activement de faire participer à cette grande manifestation internationale les propriétaires de son pays. Il fit paraître, dans ce but, un grand nombre d'articles dans les journaux et, au moyen d'avis et de brochures tirés à des milliers d'exemplaires, il fit comprendre à ses concitoyens quelle importance cette exposition avait pour leurs intérêts.*

*Pour les décider plus fermement à cette participation, aidé par M. le prince Lévan Djandieri et M. Alexandre Bakradzé, conseiller d'État, qui lui prêtèrent leur dévoué concours, il fit de nombreux voyages dans toute l'étendue du Caucase. Ses démarches prirent un caractère officiel par suite de la nomination, par arrêté de M. le Ministre des Finances de Russie, en date du 11 novembre 1899, comme attaché au Commissariat Général de l'Exposition.*

*Pénétré de la grande marque de confiance que lui accordait le Ministre, et soucieux en même temps de représenter les propriétaires géorgiens, M. Raphaël Isarloff, dès son arrivée à Paris, s'adonna sans interruption à l'Exposition*



## შესავალი

პარიზში 1900 წელს გადაწყდა თუ არა საყოველთაო გამოფენის მოწყობა, ქართველ დიდგვაროვანთა წარმომადგენელი, ბატონი რაფიელ ისარლოვი ამ ინფორმაციის გავრცელებით აქტიურად დაკავდა. მრავალი საგაზეთო სტატიისა და ათასობით საინფორმაციო ბროშურის მეშვეობით იგი თანამოქალაქეებს არწმუნებდა, რამდენად სასარგებლო იქნებოდა მათთვის საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძიებაში მონაწილეობა.


საერთაშორისო გამოფენაში საქართველოს ღირსეულად წარმოსაჩენად რაფიელ ისარლოვმა, თავადი ლევან ჯანდიერისა და სახელმწიფო მრჩევლის – ბატონი ალექსანდრე ბაქრაძის მხარდაჭერით, რამდენიმეჯერ კავკასიაში იმოგზაურა, რათა ქართველი მესაკუთრეები დაერწმუნებინა, ღონისძიებაში მონაწილეობა მიეღოთ. რ. ისარლოვის ძალისხმევას ოფიციალური სახე მიეცა მას შემდეგ, რაც რუსეთის ფინანსთა მინისტრმა 1899 წლის 11 ნოემბრით დათარიღებული ბრძანებით იგი გამოფენის გენერალური კომისარიატის ატაშედ დანიშნა.

ბატონი მინისტრის უდიდესი ნდობით აღჭურვილი და ამავდროულად ქართველი მესაკუთრეების მონაწილეობით აღფრთოვანებული ბატონი რაფიელ ისარლოვი პარიზში დაბრუნებისთანავე საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობის სამზადისს შეუდგა, სადაც რუსულ სექციაში კავკასიის განყოფილებას მისი საიმპერატორო უდიდებულესობა, დიდი თავადისქალი ელიზავეტა ფიოდოროვნა მფარველობდა<sup>1</sup>.


რ. ისარლოვმა საჭიროდ მიიჩნია, ფრანგულ ენაზე ნარკვევები გამოექვეყნებინა საქართველოს ისტორიის, ლიტერატურისა და მეცნიერების შესახებ - იმ მეტად საინტერესო ქვეყნის შესახებ, რომელიც არა მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობით და ბუნებრივი სიმდიდრით, არამედ პატრიოტიზმის ღირსშესანიშნავი ფაქტებით აღსავსე ისტორიითაც გამოირჩეოდა. სწორედ ამ მიზნით, ბატონი რაფიელ ისარლოვი ქართველ ისტორიკოსებს, ლიტერატორებსა და მეცნიერებს დაუკავშირდა.

ამ მოკლე ნარკვევებში საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, პოლიტიკისა და ლიტერატურის შესახებ ჩართულია ულამაზესი ხედების ილუსტრაციები, ცნობილი ისტორიკოსებისა და მწერლების პორტრეტები.


წიგნის გასაფორმებლად გამოყენებულია ძველი ეკლესიების არქიტექტურული შემკულობის ნიმუშები, რაც საქართველოს უძველეს დეკორატიულ ხელოვნებასა და ორნამენტებზე წარმოდგენას იძლევა.



1. იგულისხმება რუსეთის დიდი მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძე რომანოვის მეუღლე ელისაბედ თეოდორეს ასული (1864-1918) - რედ.



## საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა



ტრანსკავკასიის ნანილი, რომელიც ჭოროხის, ენგურისა და რიონის აუზებს, მაღალმთიან რეგიონსა და მდინარე მტკვრის აუზს ალაზნის ველამდე მოიცავს, ამჟამად დასახლებულია ქართველებით. საქართველოს პროვინციებია: ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა, ლაზიკა, მესხეთი, სვანეთი, ფშავი, თუშეთი და ხევსურეთი.

მთელი ტერიტორია, მთებითა და ტყეებით გამიჯნული, სამ ნაწილად არის დაყოფილი: აღმოსავლეთით მდინარე მტკვრის ხეობა მდებარეობს, ცენტრში - ენგურისა და რიონის ხეობები, ხოლო დასავლეთით მდინარე ჭოროხის ხეობაა. ამ რეგიონების განსხვავებული გეოგრაფიული მდებარეობა, რა თქმა უნდა, მათ ისტორიულ განვითარებაზეც აისახა. მიუხედავად ეთნიკური მსგავსებისა, პოლიტიკური თვალსაზრისით, ისინი სხვადასხვანაირად განვითარდა.

დასავლეთ ქართველებით დასახლებული ენგურისა და რიონის აუზები მტკვრისა და ჭოროხის აუზებისგან გამოყოფილია მცირე კავკასიონის ქედითა და მესხეთის მთებით. მთები, რომლებიც კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს პარალელურად გასდევს, შავი და კასპიის ზღვების სანაპი-

როს რამდენიმე ნაწილად ყოფს და ერთმანეთისგან დამოუკიდებელ რეგიონებს ქმნის. ვინრო ხეობაში, სადაც მდინარე ენგური იღებს სათავეს, კავკასიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, შესანიშნავი პეიზაჟებითა და ბუნების შთამბეჭდავი მრავალფეროვნებით გამორჩეული მშვენიერი ოაზისი, თავისუფალი სვანეთი მდებარეობს. რიონის ხეობაში აღარ ვხვდებით ისეთ თვალწარმტაც სურათებს, როგორსაც ენგურზე, მაგრამ ლამაზი ადგილები აქაც არის.

ამ აუზის მდინარეები: რიონი და ცხენისწყალი (სადაც ადრე ოქროს ქვიშა მოიპოვებოდა) ფაზისის მთაზე იღებენ სათავეს. რიონის ბერძნული სახელწოდება „ფაზისი“ და ამ მთის სახელი იდენტურია. სურამის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით აღმართული მთები, რომლებიც რიონისა და მტკვრის აუზებს ერთმანეთისაგან ყოფს, დასავლეთში - ლაზისტანში ერთდება.

ლაზისტანი, სადაც მდინარე ჭოროხი მიედინება, ნამდვილი ედემია. ამ მხარის მოსახლეობამ სოფლების გასაშენებლად მშვენიერი ადგილები აირჩია, რაც ბუნებისადმი მათ განსაკუთრებულ სიყვარულზე მეტყველებს. მუდმივად თვალწინ აქვთ ულამაზესი პეიზაჟები: მწვანედ აბიზინებული მდელოები, კლდეები, სწრაფი ნაკადულები, ჩანჩქერები, ჭალები და აქა-იქ, უნესრიგოდ მიმოხეული სახლები. რაც შეეხება კლიმატს, ტრანსკავკასია მცენარეებისათვის ყველაზე ხელსაყრელ, ზომიერი კლიმატის ზონაში მდებარეობს. ამიტომაც მისთვის განსაკუთრებული სილამაზე, სიუხვე და მრავალფეროვნებაა დამახასიათებელი.

სხვადასხვა ჯიშის ხეები, ხეხილის ჩათვლით, ჩრდილო-აღმოსავლეთის მშრალი ქარებისაგან კავკასიის მთების ჯაჭვით დაცული, ხშირი ნვიმებით ირ-



წყება და მთების სამხრეთ ფერდობებზე უფრო დიდ სიმაღლეზე იზრდება, ვიდრე იმავე განედზე მდებარე სხვა რეგიონებში. ამრიგად, სვანეთში თხილნარი 5400 ფუტის სიმაღლეზე ხარობს, ვენახი – 3400 ფუტის სიმაღლეზე.

ტრანსკავკასიის მცენარეები საფრანგეთში ატლანტის ოკეანის სანაპირო ზოლის მსგავსია, ხოლო ევროპაში – მისი ცენტრალური ნაწილის მცენარეული საფარისა. რიონის ნაპირებზე ძირითადად სიმინდი მოჰყავთ; ლაზეთსა და აჭარაში ჩაის ბუჩქი ხარობს; სამეგრელოში – ზეთის ხილის ხეები და ბროწეულის ბუჩქები, რომლებიც ტყეებისა და დიდი ბაღების ერთობლიობას ქმნის.

საქართველოს აღმოსავლეთში მდებარე 120 ვერსის სიგრძისა და 45 ვერსის სიგანის უმშვენიერესი ალაზნის ველი, რბილი კლიმატისა და არაჩვეულებრივი, ნაყოფიერი მიწის წყალობით, თითქოს თავად ბუნებით ვენახისთვისაა განსაზღვრული. კახური ღვინო საუკეთესოა კავკასიაში და უცხოურ ღვინოებს კონკურენციას უწევს. ამავე დროს, მეღვინეობა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობისთვის ერთადერთი საქმიანობა არ არის. ისინი მინათმოქმედებასა და მებაღეობა-მებოსტნეობას ეწევიან. ქართლში მთის მოსახლეობა დაკავებულია მეცხოველეობით<sup>2</sup>. კლიმატის მრავალფეროვნება მრავალი სახეობის ხილისა და მარცვლეულის გაშენების საშუალებას იძლევა. ტყეები და მდინარეები უამრავი ჯიშის ფრინველით, ცხოველითა და თევზით გამოირჩევა. რაც შეეხება ქვეყნის მინერალურ რესურსებს: ქვანახშირის, მანგანუმის, ნავთობის, ვერცხლის, სპილენძისა და რკინის საბადოები, მინერალური, თერმული და სასმელი

2. ქართული შალი კარგად არის ცნობილი ევროპის ბაზრებზე.

წყლების აუზები და ა.შ. აქ უხვად არის. აღმოსავლეთ საქართველოში მტკვრის აუზი დასახლებულია ქართლებით და სწორედ აქედან წარმოიშვა ქართველი ერის სახელწოდება.

სურამის დასავლეთით ქართველები (იგულისხმება ქართლები – რედ.) – იმერლებს, ხოლო აღმოსავლეთით კახლებს უკავშირდებიან, რომლებსაც უკავიათ იორის და ალაზნის ხეობები. აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრები დასახლებულია მთიელებით: ხევსურებით, ფშავლებითა და თუშებით. იმერლებს საქართველოს დასავლეთი ნაწილი, რიონისა და ცხენისწყლის ხეობები უკავიათ.

გურულები აჭარის ჩრდილოეთის მთებში ცხოვრობენ, ჭოროხის ხეობა დასახლებულია ლაზებით, სვანებმა კი კავკასიის მთების ფერდობებს შეაფარეს თავი.

ლაზების გარდა, რომლებიც მაჰმადიანები არიან, საქართველოს მოსახლეობა ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის მიმდევარია. მეთორმეტე საუკუნიდან ბევრი მათგანის რწმენა კათოლიციზმი გახდა.


ადმინისტრაციული თვალსაზრისით, საქართველოს მთავრობას ძირითადად თბილისი, ქუთაისი და ზაქათალას ოლქი უკავია. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა, ორივე სქესის წარმომადგენლებისა, სამეგრელოს, სვანეთისა და აჭარის მოსახლეობის ჩათვლით (სპარსელებისა და თურქების გარდა), ორნახევარ მილიონს შეადგენს.


საქართველოს დედაქალაქი ტიფლისი (თბილისი), რომელიც გაშენებულია მდინარე მტკვრის ორივე მხარეს, მეხუთე საუკუნეშია დაარსებული. მისი სახელი მომდინარეობს სიტყვიდან „თბილი“ იქ არსებული ცხელი გოგირდოვანი წყაროების გამო.

საქართველოს სხვა ქალაქებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია: ქუთაისი – იმერეთის სამეფოს ყო-


ფილი დედაქალაქი, თელავი – კახეთის სამეფოს ყო-  
ფილი დედაქალაქი, ახალციხე – ზემო ქართლის ცენ-  
ტრი, გორი – ქვემო ქართლის ცენტრი.

ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო პორტებია: ბა-  
თუმი, ფოთი, სოხუმი – კალე.






ტიფლისი (თბილისი)



## საქართველოს სამეფოს წარმოშობა მისი პირველი მეფეები



მცირე აზიასა და ვანის ტბის მიდამოებში აღმოჩენილი წარწერებისა და ამ მხარის გეოგრაფიული სახელწოდებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქართველები ოდესღაც იმ ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით ცხოვრობდნენ, რომელიც შემდეგ მათი ისტორიული ცხოვრების არენად გადაიქცა. ძველი წელთაღრიცხვით მეშვიდე საუკუნეში სომხების (იგულისხმება ურარტუელები—რედ.) და ასირიელების მხრიდან შევიწროების გამო მათ ჯგუფებად, ან ცალკეული ოჯახებით ჩრდილოეთისკენ მიგრაცია დაიწყეს და მტკვრის, რიონისა და მათი შენაკადების ხეობებში დასახლდნენ.

ლეგენდის თანახმად, ქართლოსი მტკვრისა და არაგვის შესართავთან დაფუძნდა და დასახლება „ქართლი“ დააარსა. „ქართლი“ მოგვიანებით მთელი რეგიონის სახელწოდებად იქცა. ამჟამად იგი თბილისის მმართველობაში შემავალი დასავლეთი ნაწილია. მოსახლეობის მეორე ჯგუფი მცხეთაში – მდინარე მტკვრის სანაპიროზე დაფუძნდა. ამ ქალაქის დაარსება მცხეთოსის - ქართლოსის შვილის სახელს უკავშირდება. ტყეებსა და დაბლობებზე დასახლე-

ბული ქართველების ჯგუფებს მამასახლისი (ოჯახის უფროსი) ედგა სათავეში.

შავი ზღვის სანაპიროზე ბერძენთა დასახლებამ მტკვრისა და რიონის ხეობებში ვაჭრობის განვითარებას შეუწყო ხელი. პორტები დიოსკურია და ფაზისი მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრებად გადაიქცა, რაც ჯერ კიდევ ოქროს საწმისის მოსაპოვებლად არგონავტების კოლხეთში (დღევანდელი სამეგრელო) მოგზაურობისას იყო ცნობილი. საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ინდოეთსა და ეგვიპტესთანაც, საიდანაც (ჰეროდოტეს მიხედვით) კოლხები საქართველოში გადმოსახლდნენ. საბერძნეთთან, ფინიკიასა და სპარსეთთან მშვიდობიან ურთიერთობას ძველი წელთაღრიცხვით მესამე საუკუნეში, ალექსანდრე დიდის შემოჭრასთან ერთად, ბოლო მოეღო. მან საქართველოს მმართველად აზო დანიშნა, რომელმაც მოსახლეობას უზომოდ დიდი გადასახადი დაუწესა. ფარნავაზის – აზოს მიერ მოკლული მცხეთის მამასახლისის შვილის წინამძღოლობით, ქართველები უცხოელებს აუჯანყდნენ. ფარნავაზი დასავლეთ საქართველოს მმართველებს შეუერთდა, მაკედონიელი მმართველი დაამარცხა და ძველი რეჟიმი აღადგინა. გმირმა, რომელმაც საქართველოს გახლეჩილი ძალები გააერთიანა და ხალხი უცხო დამპყრობლებისგან იხსნა, უდიდესი გავლენა მოიპოვა და საქართველოს პირველ მეფედ იქნა აღიარებული.

ფარნავაზს სპარსული ცეცხლთაყვანისმცემლობის, არმაზის კერპის – აჰურამაზდას, ან ორმუზდის კულტის შემოტანას მიაწერენ.


ფარნავაზმა დასაბამი დაუდო ფარნავაზიანთა დინასტიას, რომელიც გარკვეული დროით არშაკიდთა დინასტიამ ჩაანაცვლა (ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში მეფობდა, სომეხი არშაკი). ამ დინასტიე-

ბის წარმომადგენლებს შორის მუდმივი შუღლი იყო. ფარნავაზიანებს მფარველობდნენ სპარსები, ხოლო არშაკიდებს - სომხები. ამგვარი ვითარება მეფე მირიანის მიერ მესამე სასანიდების დინასტიის დაარსებამდე გაგრძელდა. მირიანმა, მომთაბარე სკვითების, ხაზარებისა და ბალკანელების შემოსევების მიუხედავად, საქართველო სოციალური განვითარების მაღალ საფეხურზე (IV საუკუნე) აიყვანა.


პირველი საუკუნის გეოგრაფის – სტრაბონის მიხედვით, ამ მხარეში მდებარეობდა მდიდარი ქალაქები, სადაც მებარეშუმეობა ყვაოდა და ქართული წარმოების ქსოვილები საქართველოს საზღვარს გარეთ შორს გაჰქონდათ.

მირიანის მეფობის დროს საქართველოში ქრისტიანული რელიგია საბოლოოდ დამკვიდრდა, თუმცა ცნობილია, რომ ქრისტიანობის გავრცელება მოციქულების დროიდან იწყება.

გადმოცემის თანახმად, დასავლეთ საქართველოში ქრისტიანული რელიგია პირველად მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა.








## ქრისტიანული მოქცევა და მისი გავრცელება საქართველოში

ქრისტიანობა საქართველოში მეოთხე საუკუნეში, წმინდა ნინოს მიერ გავრცელდა. იგი კაბადოკიაში, კოლასტრაში, მცხოვრები ზაბულონისა და სუსანას ქალიშვილი იყო.

თორმეტი წლის ნინოს მშობლები საცხოვრებლად იერუსალიმში გადასახლდნენ, სადაც სუსანას ძმა პატრიარქი იყო. ქრისტიანობის მიმდევარმა ნინოს მამამ ასკეტური ცხოვრებისათვის უდაბნოში მდინარე იორდანეს ნაპირებს მიაშურა, დედა კი პატრიარქმა გლახაკებისა და უძლური ქალების მომვლელად დააყენა. ნინო ორი წლის განმავლობაში ღვთისმოსივით ნიამფორს - დვინელ სომეხს მიაბარეს, რომელმაც უამბო, რომ მაცხოვრის კვართი მცხეთაში, იბერიაში, წარმართულ სალოცავში იყო დავანებული. ნინო სურვილით აენტო იბერიელები, ანუ ქართველები ქრისტიანულ რელიგიაზე მოექცია, მაგრამ მანამდე რომში სახარების საქადაგებლად წავიდა. შემდეგ საბერძნეთიდან სომხეთში ჩასული, სომხეთის მეფე თრდატის<sup>3</sup> მიერ დევნილი, ორ ქალწულთან – რიფსი-

3. იგულისხმება დიდი არმენიის მეფე თრდატ III, იგივე ტირიდატი, არშაკიდების დინასტიიდან (287-330) – რედ.



ნანი I

მესა და გაიანესთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა და თავი შეაფარა ჯავახეთის (დღევანდელი ახალქალაქის რეგიონი, თბილისის გუბერნია) მთებს, საიდანაც მდინარე მტკვრის ნაპირებს გაჰყვა და ქალაქ ურბნისს მიადგა.

მცხეთაში წარმართული ღვთაების პატივსაცემად გამართულ დღესასწაულზე, წარმართული კერპისადმი ხალხის მცდარი დამოკიდებულებით დამწუხრებულმა ნინომ ლოცვა აღავლინა და უფალს შეევედრა, ისინი ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოექცია. უფალმა მისი ლოცვა შეისმინა. მოულოდნელად საშინელი გრიგალი ამოვარდა და წარმართული კერპი და ციხე დაამსხვრია. ღვთის რისხვამ მეფეცა და ხალხიც გააოგნა.

ნინო მაყვლის ეკალ-ბარდით შებურულ ადგილას დაბინავდა, სადაც სამი წელი იცხოვრა<sup>4</sup>. მან ვაზის ორი ლერწი თავისი თმით შეკრა, ჯვარი გააკეთა და სახარების ქადაგებას შეუდგა. ეს ჯვარი თბილისში ინახება.

მისი ქადაგების თანმდევმა სასწაულებმა დედოფალი ნანას ყურადღება მიიპყრო. წმინდა ნინოს ლოცვით მძიმე სენისგან განკურნებული დედოფალი მორწმუნე გახდა. ერთხელ, მთაში ნადირობისას, მეფე მირიანსა და დედოფალ ნანას ძმას გზა აებნად. შუადღეს სრული უკუნი ჩამოწვა და ისეთივე ქარიშხალი ამოვარდა, როგორც არმაზის სალოცავის განადგურების დღეს. გზააბნეულებმა, წმინდა ნინოს ღვთაებისადმი ლოცვა აღავლინეს და გარდაუვალ საფრთხეს სასწაულებრივად გადაურჩნენ. მას შემდეგ, დარწმუნდა რა უფლის ყოვლისშემძლე ძალაში, მეფე მირიანი წმინდა ნინოს ღმერთის თაყვანისმცე-

4. „სამთავროს“ ეკლესია სწორედ ამ ადგილზეა აგებული.

მელი გახდა. მეფე წმინდანს მაცვლოვანში მადლიერებით აღსავსე აცრემლებული მიეახლა და თავისი ბოროტო ძრახვები მის მიმართ, ვისაც „ბერძენ ჯადოქარს“ უწოდებდნენ, გულწრფელად მოინანია.

მეფემ გადაწყვიტა, მონათლულიყო, რისთვისაც საბერძნეთში იმპერატორ კონსტანტინესთან მღვდლებისა და ეპისკოპოსის გამოგზავნის თხოვნით ელჩი მიავლინა. გულწრფელად გახარებულმა იმპერატორმა მეფისა და მისი გარემოცვის მცხეთაში მოსანათლად ეპისკოპოსი იოანე გამოაგზავნა.

გაქრისტიანებულმა მეფემ მცხეთაში, წმინდა ნინოს მიერ შერჩეულ ადგილზე ქრისტიანული ტაძარი ააშენა.

ამ ტაძრის მშენებლობის დროს სასწაული მოხდა: ტაძრის მეშვიდე სვეტი ვერ აღმართეს მანამ, სანამ ნინომ უფლის მიმართ ლოცვა არ აღავლინა.

მანგლისში, ერუშეთში აშენებული ეკლესიების წყალობით, ქრისტიანული რელიგია მთელ მხარეში გავრცელდა. საქართველომ საბერძნეთთან უშუალო კავშირი დაამყარა და რელიკვიად მესიის წმინდა ჯვრის ნაწილები მიიღო.

ქრისტიანული მოძღვრების მსახურებისათვის პონტიფიკოსმა ნინოს ქების წერილი გამოუგზავნა.

მცხეთის მოსახლეობის გაქრისტიანების შემდეგ სახარების საქადაგებლად წმინდა ნინო მთაში წაბრძანდა, მაგრამ წილკნისა და ფხოვის მოსახლეობა ნაკლებად იყო მზად ახალი რელიგიის მისაღებად. მძიმე შრომით დაქანცული წმინდანი სიღნაღთან ახლოს, ბოდბეში ჩავიდა. სწორედ იქ 338 წელს წმინდა ნინო აღესრულა. მის საფლავთან დედათა მონასტერი ააგეს, რომელიც ამჟამადაც არსებობს.

წმინდა ნინოს ცხოვრება, თავისივე მონათხრობის მიხედვით, მისი მიმდევრებისა და თანამოაზრეების მიერ არის აღწერილი.

საფრანგეთში, შამპანში, წმინდა ნინოს, „წმინდა ქრისტიანი ქალის“ სახელით, პატივი მიაგეს<sup>5</sup>.


საქართველოში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შესახებ ისტორიკოსი რუფინუსი (IV საუკუნე) და ბერძენი მიმდევრები სოკრატე, სოზომენე და თეოდორიტე წერენ. მეფე მირიანის მიერ ქრისტიანული რელიგიის აღიარებიდან (332წ.) ქართული ქრისტიანული ეკლესია ხან კონსტანტინოპოლის და ხან ანტიოქიის საპატრიარქოებს ექვემდებარებოდა. 458 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქ ანატოლის შუამდგომლობით, ვახტანგ I-ის თხოვნით და ლეონ I დიდის თანხმობით, მცხეთაში დამოუკიდებელი საეპისკოპოსო შეიქმნა. ხელდასხმულ მცხეთის პირველ ეპისკოპოსს კათალიკოსის (პატრიარქი) ნოდება მიენიჭა და იგი 488 წელს ანტიოქიის პატრიარქმა პალადიუსმაც აღიარა.

542 წლამდე იბერიის კათალიკოსი ანტიოქიის პატრიარქის მიერ იყო ხელდასხმული, ამ პერიოდიდან კი, იუსტინიანე პირველის ბრძანებით, კონსტანტინოპოლის პატრიარქ მინასა და აღმოსავლეთის ყველა პატრიარქის გადაწყვეტილებით, იბერიის ეკლესიამ ავტოკეფალია მიიღო.

მოგვიანებით იბერიის ეკლესიის თვითმმართველობა კონსტანტინოპოლის ეკუმენურ მეექვსე საბჭოზე (680) დამტკიცდა. მცხეთის სამოციქულო ეკლესიის ღირსება და ძალაუფლება - ყველა ეკლესიას, იბერიის კათალიკოსი კი ყველა პატრიარქს გაუტოლდა.

იბერიის კათალიკოსს საქართველოს სამეფოსა და ტრანსკავკასიაში მეზობელი სახელმწიფოების ყველა არქიეპისკოპოსზე, ეპისკოპოსსა და მიტროპოლიტზე უზენაესი ძალაუფლება მიენიჭა და წმინდა მირონის

5 იხ. ბარონ დე ბაის თხზულება საქართველოს შესახებ.



მცხეთა

მომზადებისა და კურთხევის უფლებაც მიიღო. მეათე საუკუნეში, წმინდა ექვთიმე ათონელმა ბერძნულიდან თარგმნა მეექვსე მსოფლიო კრების მიერ დადგენილი კანონები, რასაც მეთერთმეტე საუკუნეში თეოდორიტეს მიერ შესრულებული ხელნაწერი ადასტურებს (ბაქრაძის ისტორია, 258). სწორედ ამ წესებს კათალიკოსი ანტონი გუჯარის აქტად მოიხსენიებს.

950 წელს, მცხეთის საეპისკოპოსო საპატრიარქო გახდა, მის წინამძღოლს მცხეთის არქიეპისკოპოსის, იბერიის, ქართლისა და კახეთის კათალიკოს-პატრიარქის წოდება მიენიჭა. 1783 წელს, ეკატერინე II-სა და ერეკლე II-ს შორის დადებული ტრაქტატის შემდეგ, იბერიელი კათალიკოსები რუსეთის წმინდა სინოდის წევრები გახდნენ. საქართველოს ეკლესია სრული შემადგენლობითა და მოსახლეობით სამეფოში სრულიად დამოუკიდებელი ინსტიტუცია იყო.


საეპისკოპოსო ხელისუფლება ეკლესიის ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადანყვეტილებას თვითონ იღებდა. ეპისკოპოსები საეპისკოპოსოებში უზენაეს სულიერ ძალაუფლებას ფლობდნენ და მოსახლეობის ზნეობრივ თუ რელიგიურ საკითხებზე მართლმსაჯულების აღსრულების უფლება ჰქონდათ. საეკლესიო მართლმსაჯულება ფიცსა და მონმეების ჩვენებას აღიარებდა, როგორც „გუჯარის“ შემონირულობის აქტში ვხედავთ. ეკლესიის გადანყვეტილება საბოლოოდ მიიჩნეოდა და მეფეს, როგორც გარეშე მტრებისგან ეკლესიის მფარველს, მხოლოდ პატივისცემის გამო წარედგინებოდა. კონსისტორიუმი (სამედიატორო სასამართლო – რედ.) (XVIII ს.), კათალიკოსის მეთაურობით, პირველი ინსტანცია იყო. მას უფლება ჰქონდა, საეკლესიო პირები გაესამართლებინა, რომლებიც ეკლესიის კანონებს არ იცავდნენ, თუმცა უფრო რთული და მნიშვნელოვანი საკითხების შემ-




თხვევაში კათალიკოსი საბჭოს მიმართავდა, რომლის გადანყვეტილება სრულიად საქართველოსთვის სავალდებულო იყო. საქართველოს ისტორიაში მრავალი საბუთი არსებობს, რომელიც საბჭოს კომპეტენციის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის.

დავით აღმაშენებელმა (1089-1125) სამღვდლო პირების ქცევის ნორმების დადგენის მიზნით საბჭო შეკრიბა და იმ დროს არსებულ უნესრიგობას ბოლო მოუღო.


გიორგი V ბრწყინვალემ (1318-1346) მთის მოსახლეობისთვის კანონები გამოსცა, რომლებიც სამღვდლოების მიერ იყო დამტკიცებული და მოგვიანებით, ვახტანგ VI-ს კანონთა კრებულში გვხვდება. კათალიკოსის კანონებიც საეკლესიო საბჭოს მიერ იყო დამტკიცებული. ბიგვინის (ბოლო დროს გამოცემული) აქტმა ეს კრებული შეავსო. აღნიშნულის გათვალისწინებით, ცხადია, რომ ეკლესიის როლი მხოლოდ რელიგიის სფეროთი არ შემოიფარგლებოდა, არამედ ის ხალხის სამართლებრივ და ზნეობრივ საკითხებზეც ზრუნავდა.





## საქართველოს ისტორია

### IV - VI საუკუნეები



მირიანმა, საქართველოს პირველმა ქრისტიანმა მეფემ, სასანიდების დინასტია შექმნა. საქართველო, რომელიც მანამდე ბარბაროსთა შემოსევებს იგერიებდა, მისი მეფობის დროს სწრაფად განვითარდა.

332 წლიდან სახელმწიფოს გაქრისტიანების პროცესმა ქართველი ხალხის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. ბიზანტიასთან ურთიერთობამ ქართველებს ძველი ბერძნული ლიტერატურა გააცნო და ქრისტიანული სამყაროს საგანძურს აზიარა.

დასავლეთთან ურთიერთობა კიდევ უფრო გამყარდა დაქვრივებული მეფე მირიანის პონტოს მეფის ასულ ნანასთან შეუღლებით, რომელიც მეფის ოჯახის წევრებიდან წმინდა ნინოს პირველი მიმდევარი იყო. დედოფლისათვის, მისი წარმომავლობიდან გამომდინარე, დასავლური ცივილიზაცია უფრო ახლოს იყო, ვიდრე აღმოსავლური, წარმართული სამყარო. იგი, ქართველ ქალებთან ერთად, წმინდა ნინოს ქრისტიანული მოძღვრების გავრცელებაში ეხმარებოდა.

მირიანის მეფობის მშვიდობიან ხანას ორმა ომმა მიაყენა ზიანი: ხაზარების შემოსევამ, რომლებიც შემოვიდნენ „დარუბანდის კარიბჭიდან“ (ალბანეთისა და კასპის სასაზღვრო პუნქტები, არსებობს აგრეთვე და-

რიალის სასაზღვრო პუნქტი) და ომმა სომხეთის მეფე მითრიდატეს წინააღმდეგ. მეცხრე საუკუნის არაბ-მა ისტორიკოსებმა ხაზარების სპარსეთში შემოსევის დროს, კავკასიაში გავლილი გზა აღწერეს, რომლის კვალი ზაქათალას რეგიონში ახლაც ჩანს.

ირანის მიმართულებით მიმავალი ხაზარები გზად აოხრებდნენ საქართველოსაც.

საქართველოსა და სომხეთს შორის ომში ერთს – სპარსელების, ხოლო მეორეს ბერძნების მხარდაჭერა ჰქონდა. ამ ომს მხოლოდ რევის – მირიანის ვაჟისა და თრდატის ქალიშვილის ქორწინებით მოელო ბოლო. რევიმ კახეთის ერისთავების<sup>6</sup> მმართველობა შეცვალა.

მირიანის ვაჟმა ბაქარმა მამის დაწყებული საქმე განაგრძო – ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში. ისტორიკოსი რუფინუსი ბაქარს, რომელმაც იერუსალიმში მას საქართველოში ქრისტიანული მოძღვრების გავრცელების თაობაზე მოუთხრო, ბაქურიუსის სახელით მოიხსენიებს.

მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში ქრისტიანთა და ცეცხლთაყვანისმცემელთა შორის ბრძოლა გაჩაღდა. ქართული ეკლესიის წარმომადგენელი, ეპისკოპოსი მობიდანი ცეცხლთაყვანისმცემელთა მიმდევარი იყო და ცეცხლთაყვანისმცემლობის დოქტრინებს წერილობით ავრცელებდა. ქრისტიანობა შესუსტდა. ცოტა ხნის შემდეგ სახარება ქართულ ენაზე ითარგმნა თუმცა ცეცხლთაყვანისმცემლობის მიმდევრები ქვეყანაში კიდევ იყვნენ. მცხეთაში მაზდეანი ქურუმები მეფე ვახტანგ (V საუკუნე) გორგასლის დროსაც კი საქმიანობდნენ.

ვახტანგი, მეტად აქტიური და მიზანდასახული მეფე, მათ ენერგიულად ებრძოდა. მის სახელს პა-

6. რეგიონის მმართველი.

ტივისცემით მოიხსენიებენ, რადგან მისი მეფობა ქართველი ხალხის დიად წარსულს უკავშირდება. ფარნავაზი, მირიანი, ვახტანგ გორგასალი, ბაგრატ მესამე, ბაგრატ მეოთხე, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი ბრწყინვალე, დედოფალი ქეთევანი, ვახტანგ მეექვსე, ერეკლე მეორე, სოლომონ პირველი და სოლომონ მეორე – ის სახელებია, რომელთაც ორი ათასი წლის შემდეგაც ჩვენს მესხიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ და ჩვენთვის ძვირფასნი არიან.

საქართველოს სამეფოს დაარსება და ქართული ცივილიზაციის სათავეები ფარნავაზ მეფის სახელს მჭიდროდ უკავშირდება. ექვსასი წლის შემდეგ - მეოთხე საუკუნის დასაწყისში მეფე მირიანმა ქრისტიანობა გაავრცელა და ქართველი ხალხი დასავლურ ცივილიზაციას აზიარა. სინათლის ამ ორმა წყარომ უმეცრების სიბნელე გაარღვია, რომელშიც მანამდე ქართველი ერი იყო ჩაფლული.

მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში მმართველობის არენაზე მეფე ვახტანგ გორგასალი გამოჩნდა, რომელმაც მცხეთის გარშემო არსებული ქართლის პატარა სახელმწიფოსგან მძლავრი სამეფო შექმნა. იმ პერიოდში საქართველომ ხაზარების, ბალკანელების, სპარსელებისა და სომხების მრავალ შემოსევას გაუძლო. ამ თავდასხმებმა, დასუსტების ნაცვლად ახალი, ქრისტიანული რელიგიის გავრცელების წყალობით, ქვეყანა ზნეობრივად გააძლიერა. ქრისტიანულმა მოძღვრებამ ნათელი სხივით გააცისკროვნა მტკვრისა და რიონის ხეობები და მის მკვიდრთ ახალი სამოქალაქო ღირსება შესძინა.

ვახტანგ გორგასალმა საქართველო სიდიადის უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა. ქართველი ხალხის წარმოსახვაში მის სახელს მრავალი ლეგენდა უკავშირდება,

სადაც იგი ბრძენ მმართველად, მარჯვე წინამძღოლად და უძლეველ მეომრად გვევლინება.

ვახტანგი, წოდებული გორგასლანად, რაც ნიშნავს „მგელ-ლომს“ (446-499) ტახტზე შვიდი წლის ასაკში ავიდა. სპარსეთის მეფემ მისი მცირეწლოვანებით ისარგებლა და მცხეთაში მაზდეანი ჯადოქრები გააგზავნა იმ იმედით, რომ ეს საქართველოში ქრისტიანობის ამოსაძირკვად საკმარისი იქნებოდა. ვახტანგის დედა საგდუხტი, სამეფოს რეგენტი, ქრისტიანული მოძღვრების ერთგული მიმდევარი იყო. მან ეპისკოპოსი მიქაელის მხარდაჭერით მაზდეანელებისათვის მათი სარწმუნოების დოქტრინის არამართებულობის ახსნა შეძლო.

ვახტანგი ათი წლის იყო, როდესაც ოსები საქართველოს თავს დაესხნენ.

ქვეყნის ანიოკების შემდეგ მათ ვახტანგის და მირანდუხტი ტყვედ წაიყვანეს. იმავე პერიოდში ბერძნებს აფხაზეთი და სამეგრელოს ნაწილი დაკავებული ჰქონდათ. ამ საზარელ გარემოებაში თხუთმეტი წლის ვახტანგმა ქვეყნის მმართველობის სადავეები ხელში აიღო. ძლიერი სხეულისა და გამჭრიახი გონების მეფემ გადაწყვიტა ოსებზე შური ეძია. სარდალ საურმაგისგან – სამხედრო ხელოვნება, ხოლო მთავარეპისკოპოს მიქაელის დახმარებით ქრისტიანული სარწმუნოების ძირითადი დოქტრინა შესწავლილი ჰქონდა. იგი სათავეში ჩაუდგა მრავალრიცხოვან ჯარს და დარიალის ხეობისაკენ გაემართა. თერგის ნაპირზე მეფეს ოსი და ხაზარი ტომები დახვდნენ. ძირითადი ბრძოლის დაწყებამდე იგი ოს ბალათარს და ხაზარ თარხანს შეერკინა. წინამძღოლების განადგურებამ მტერი დააბნია და ვახტანგმა ბრწყინ-

ვალე გამარჯვება მოიპოვა, რაც ნუზალის<sup>7</sup> ტაძრის ერთ-ერთ კედელზე არსებულ წარწერაშია ასახული. მან თავისი და ტყვეობიდან იხსნა და აფხაზეთის გავლით დიდი ნადავლით დატვირთული საქართველოში დაბრუნდა.


სპარსელების თავდასხმებისაგან საქართველოს დასაცავად მან ცოლად სპარსეთის მეფის ქალიშვილი შეირთო. შემდეგ ვახტანგმა მთიელების აჯანყება ჩაახშო და ლაშქარი ბერძნების წინააღმდეგ დაძრა.

ლაზიკის ერისთავმა გუბაზმა, რომელსაც ბიზანტიელები მფარველობდნენ, გამეფების იმედით, ვახტანგის არასრულწლოვანებით ისარგებლა, საქართველოს გამოეყო და სვანეთშიც შეიჭრა.

სპარსეთის მეფემ, ვახტანგის სიმამრმა, მას ბერძნების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება შესთავაზა, რაც ვახტანგმა სიხარულით მიიღო, რადგან ახსოვდა, ბერძნებმა მისი ქვეყანა როგორი დარბეული დატოვეს. მოკავშირეებმა ქალაქები კარნუ და პონტო დაიკავეს. მტრობის დასრულების მიზნით, იმპერატორმა ლეონმა მისი ქალიშვილი ელენე და ვახტანგი (პირველი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ დაქვრივებული—რედ.) დააქორწინა, კლარჯეთი დააბრუნა და საქართველოში დამოუკიდებელი საპატრიარქოს შექმნას შეჰპირდა.

ბერძნებისა და ქართველების შეკავშირებამ სპარსელების გაღიზიანება გამოიწვია. ისინი საქართველოს თავს დაესხნენ და ქრისტიანული რელიგიის გამავრცელებელი წმინდა რაჭდენი ანამეს. კონფლიქტი კიდევ ერთმა ქორწინებამ დაასრულა – ვახტანგმა თავისი ქალიშვილი სპარსეთის შაჰზე დააქორწინა და

7. იგულისხმება ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში, კერძოდ ალაგორის ხეობაში მდებარე XIII საუკუნის ქრისტიანული ტაძარი – რედ.



ღარილის ხეობა



დასთანხმდა, მასთან ერთად ინდოეთის წინააღმდეგ გაელაშქრა. როგორც ყოველთვის, ვახტანგი დიდი ნადავლითა და ათასამდე ტყვესთან ერთად გამარჯვებული დაბრუნდა სამშობლოში.

მის სახელს მრავალი ლეგენდა უკავშირდება. სპარსელებმა სიმამაცისა და ძლიერების გამო გურჯ-ასლანი დაარქვეს. ვახტანგი ქუდს ატარებდა, რომელზეც წინა მხარეს – მგლის, ხოლო უკანა მხარეს - ლომის თავი იყო გამოსახული. მუდმივად ლაშქრის სათავეში მდგომი მონინააღმდეგეებს შიშს ჰგვრიდა, მისი ქუდის შემჩნევისთანავე სპარსელები ყვიროდნენ: „თავს უშველეთ, გურჯ-ასლანია!“ ეს სახელი ისტორიას შემორჩა. თავისი მეფობის დროს მარჯვე წინამძღოლი და მამაცი მეთაური ხალხის განათლებაზეც ზრუნავდა, საგანმანათლებლო დაწესებულებებს აარსებდა, საეკლესიო წიგნებს ათარგმნიებდა, უკვე არსებულ თარგმანებს აუმჯობესებდა. გარდა საეკლესიო ლიტერატურისა, ისეთი აპოკრიფული თხზულებების გავრცელებას უწყობდა ხელს, როგორებიცაა ნებროტის წიგნები, ადამის ცხოვრება და სხვ.

მეფე ვახტანგის დროიდან შემორჩენილია მცხეთაში – თორმეტი მოციქულის სახელობის შესანიშნავი ტაძარი, თბილისში – სიონისა და მეტეხის ეკლესიები, ნიქოზში – წმინდა რაფდენის საფლავზე აგებული ეკლესია. ეს ტაძრები, მის სადიდებლად დარჩა. ვახტანგმა ქალაქ თბილისის მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი, სადაც მოგვიანებით მისმა შვილმა დაჩიმ სამეფო რეზიდენცია გადაიტანა. თბილისში დედაქალაქის გადატანით ძველი დედაქალაქის – მცხეთის დიდება დაიწრდილა. თბილისთან ახლოს მდებარე მარტყოფის უძველესი ტაძრის ნანგრევებში, გუმბათის საყრდენ ორ სვეტ-

ზე შემორჩენილია ფრესკები, სადაც გამოსახული არიან ვახტანგ გორგასალი, რომელმაც ააგო ეს ტაძარი და დავით აღმაშენებელი.

ვახტანგის ფრესკა იერუსალიმში – ივერთა ჯვრის მონასტერშიც არის. ამაზე მიტროპოლიტი ტიმოთე (გაბაშვილი) მეთვრამეტე საუკუნეში პალესტინაში მოგზაურობის შესახებ თავის თხზულებაში მოგვითხრობს. სხვა მოსაზრებებთან ერთად, ტიმოთე ვარაუდს გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ ეგვიპტის მეფისგან ნაქეზებულმა ვახტანგმა იერუსალიმი აიღო. ყოველ შემთხვევაში, „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებულია ვახტანგ მეფის წმინდა მინაზე მოგზაურობა დედასთან და დასთან ერთად, სადაც მან ქართული მონასტრის ასაშენებლად მინა შეიძინა.

ვახტანგი ღვთისმოშიშობით გამოირჩეოდა. მან ახალი საეპისკოპოსოები დააარსა, სამეფოდან მამულები განდევნა და დამოუკიდებელი საკათალიკოსო დააწესა. უცხოელები „ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილ ფაქტებს ადასტურებენ. ქართველთა წარმოსახვამ ვახტანგის სახელს მრავალი ლეგენდა დაუკავშირა. საისტორიო თხზულებათა პირველი კრებულის ავტორმა ჯუანშერმა – ვახტანგის ჯარის სარდლის შთამომავალმა (მერვე საუკუნე) თავის კრებულში საქართველოს ისტორიისა და ქართველი მეფეების, მათ შორის ვახტანგის შესახებ არაერთი ამბავი და ლეგენდა აღწერა. ვახტანგის მემკვიდრეების, დაჩისა და ბაკურის, მეფობის ხანა ამგვარი მნიშვნელოვანი მოვლენებით არ გამოირჩეოდა.

დასავლეთი საქართველო, კერძოდ კი ლაზიკა აღწერა ბიზანტიელმა ჟამთაღმწერელმა პროკოფიმ (კესარიელმა - რედ.) და დათარიღებულია ფარსმან V-ის

(531 - 579) მეფობის ხანით. მისი ცნობები „ქართლის ცხოვრებაში“ მოყვანილ ფაქტებს ავსებს. პროკოფი არა მხოლოდ ლაზიკის მეფეების სახელებს ახსენებს, არამედ ჩვენთვის უცნობი აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების შესახებაც მოგვითხრობს. ასევე, ლაზიკის ისტორიისა და იუსტინიანეს ხანაში ქრისტიანობის გავრცელებაზეც წერს.


ფარსმანის მეფობის დროს საქართველოში მამა იოანე ზედაზნელის წინამძღოლობით თორმეტი ასურელი მამა ჩამოვიდა. მათი მიზანი ახლად გაქრისტიანებულ ქვეყნებში ქრისტიანობის განმტკიცება იყო.


ფარსმან VI, სტეფანოზი და სხვა ქართველი მეფეები მიწისა და ძვირფასი ნივთების მდიდრული შემოწირულობებითა და გადასახადებისაგან გათავისუფლებით წმინდა მამების მიერ აშენებულ მონასტრებს მფარველობდნენ.

ბაკურ მესამის (557-570) არასრულწლოვანი შვილები, სპარსელების შიშით, იძულებულნი გახდნენ მთებში გახიზნულიყვნენ. ბაგრატიონების გვარის წარმომადგენლებმა საქართველოში საკუთარი დინასტიის დასამკვიდრებლად ამ გარემოებით ისარგებლეს.

ბაგრატიონების ისტორიის აღწერამდე აღსანიშნავია, რომ ვახტანგის მეფობის დროს გამორჩეული მეომრებისგან შემდგარი ქართული არისტოკრატია უკვე არსებობდა. არის აგრეთვე ვარაუდი, რომ ქსნის და არაგვის ერისთავები ოსი დუდაროვების გვარიდან არიან, რომლებიც იმ ხანაში ქსნისა და არაგვის ხეობებში დასახლდნენ, სადაც ისინი წმინდა გიორგის დღესასწაულზე მოსახლეობას შორის არეულობის თავიდან ასარიდებლად იყვნენ მიწვეული.

არისტოკრატის წარმომავლობა ამჟამად ჯერ არ არის დაზუსტებით დადგენილი და ამდენად, ზემოაღნიშნული წმინდა გიორგის დღესასწაულზე მომხდარი არეულობაც უფრო გვიანდელ პერიოდს უნდა მიეკუთვნებოდეს.





## საქართველო არაბთა ბატონობის პერიოდში და ბაგრატიონების დინასტია

არაბთა პირველი შემოსევა 642 წლით თარიღდება. ისინი სომხეთიდან მოვიდნენ, თბილისი დაიპყრეს და ქვეყანა დატოვეს. მეორე თავდასხმის დროს ქართულ-მა ჯარმა, დავით და კონსტანტინე ერისთავების წინამძღოლობით, სოფელ არგვეთთან არაბები აიძულა უკან გაბრუნებულიყვნენ. ამან ისინი არ შეაჩერა და საკუთარი ჯარი გააძლიერეს, ყველა გასასვლელი და ციხესიმაგრე დაიკავეს, ქართული ჯარი დაარბიეს, დავით და კონსტანტინე ერისთავები დაატყვევეს და აწამეს. ორივე წამებულის წმინდა ნაწილები დავანებულია ქუთაისთან ახლოს, მონამეთას მონასტერში.

მეფე არჩილი მის ქვეყანაზე ახალი თავდასხმების თავიდან ასარიდებლად თავად მივიდა არაბთა ბანაკში, მაგრამ ისლამის მიღება არ ისურვა და იგი განგმირეს. ხაზარების შემოსევის შედეგად საქართველო ორ დამოუკიდებელ ნაწილად დაიყო. პროვინციებს შორის უთანხმოების გამო არაბებმა თბილისში დაბანაკება გადაწყვიტეს.

ამასობაში აფხაზეთმა (საქართველოს უკიდურესი ნაწილი შავი ზღვის სანაპიროზე) ქართველი მეფეების უძლურებითა და ბიზანტიის დასუსტებით ისარგებლა, რომლის გავლენის ქვეშაც იყო და დამოუკიდებელი

სახელმწიფო დააარსა. მან მთელი სამეგრელო, იმერეთი, სვანეთი, გურია – ტერიტორია სურამის მთებამდე შეიერთა და დედაქალაქად ქუთაისი აირჩია.

ამ ეპოქაში საქართველოს გამოეყო კახეთიც. მთელი ტერიტორია, თავფარავნის ტბიდან და მტკვრის სათავეებიდან ბათუმამდე, იუდეადან გადმოსახლებული ბაგრატიონების სამფლობელო იყო.

ტიფლისი და მისი შემოგარენი ამირას საკუთრება გახდა. ამ დროს საქართველოს სამეფო მხოლოდ თავფარავნის ტბიდან სურამის მთებამდე ტერიტორიით შემოიფარგლებოდა. შიდა უთანხმოებებითა და გარეშე მტერთა შემოსევებით დასუსტებული საქართველო, პოლიტიკურად ერთმანეთისგან დამოუკიდებელ მრავალ რეგიონად დაიყო.

სამოქალაქო ომებით უკმაყოფილო ქართველი მეფეები ბიზანტიის იმპერატორს თხოვნით მიმართავდნენ, მათთვის შემრიგებელი გამოეგზავნა. ბაგრატიონთა დინასტიას საქართველოს გაერთიანებისა და მონყობის, მართვის გაძღოლის ორმაგი ამოცანა ხვდა წილად. საქართველოში ბაგრატიონების შტოდან პირველი მეფე იყო გურამი ანუ გვარამი (575-600), რომელმაც სპარსეთის წინააღმდეგ ომში განეული დახმარებისათვის ბერძენთა იმპერატორ იუსტინიანე მეორისაგან კურაპალატის წოდება მიიღო.

გვარამის მეფობის დროს თბილისში სიონის ტაძრის მშენებლობა დასრულდა. ამავე პერიოდში დვინის საეკლესიო კრების შედეგად (596) (506–რედ.) ქართველებისა და სომხების სარწმუნოებრივი დაშორიშორება მოხდა. გვარამის მემკვიდრის მეფობის დროს ბერძენები საქართველოს თავს დაესხნენ. ბიზანტიელმა იმპერატორმა ჰერაკლემ სპარსელებთან შეთქმულების გამო ქართველ მეფეს (არა მეფეს, არამედ ქართლის ერისმთავარ სტეფანოზს–რედ.) თავი მოჰკვეთა. ამ პერიოდ-

ში, საქართველოზე ბიზანტიის გავლენის გაძლიერების შედეგად, ქრისტიანობამ ზოროასტრიზმი საბოლოოდ დაძლია. ქართველი მეფეები ბიზანტიელი მმართველების ვასალები გახდნენ და „კურაპალატ – პატრიკისა“ და სხვა წოდებებს იღებდნენ, მაგრამ, არაბთა შემოსევებთან ერთად, ბიზანტიელების გავლენა საქართველოზე საგრძნობლად შესუსტდა. ამ დროს ქვეყანას უკვე არაბები განაგებდნენ, ხოლო ქართველ მეფეებს, რომლებიც ამირას ბრძანებებს ასრულებდნენ, მხოლოდ მონარქის წოდება ჰქონდათ შერჩენილი.

არაბები საქართველოს გაცამტვერებას აგრძელებდნენ. მრავალი ქართველი ტანჯვაში დაიღუპა (წმინდა აბო, გობრონი და სხვები). დაუმორჩილებელმა აფხაზებმა ქართლი დაიკავეს. ერთი მხრივ, არაბების შემოსევისგან, ხოლო მეორე მხრივ, აფხაზებისგან დასუსტებული საქართველო დავით კურაპალატის მეფობის დროს (1001) გაძლიერდა. დავით კურაპალატი ბიზანტიაშიც ცნობილი იყო, სადაც მან ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობით მშვიდობა დაამყარა. ბარდაზე გამარჯვებული თორნიკე ერისთავი დიდი ნადავლით საქართველოში დაბრუნდა. ნადავლის დიდი ნაწილი ათონის მთაზე მონასტრის გაფართოებასა და გამდიდრებას მოხმარდა<sup>8</sup>.


დანაწევრებული და დამოუკიდებელ პროვინციებად დაყოფილი საქართველოს სახელმწიფოდ გამთლიანება მხოლოდ ბაგრატ III-ის მეფობის დროს გახდა შესაძლებელი. მან მონარქიული წყობილების მონინალმდეგე დიდაზნაურები დაიმორჩილა, კახეთის მეფე კვირიკე ჩამოაგდო და თავისი ერთგული აბულალი (ჰერეთის მმართველი-რედ.) დანიშნა, არაბთა

8. ძველად ქართველები მონასტრებს იერუსალიმსა და საბერძნეთში, ასევე ათონის მთაზე აგებდნენ. ქართველი მეფეები დიდ პატივად მიიჩნევდნენ მათ განვითარებაში თავიანთი წვლილის შეტანას.


ქალაქი შინეკარი გაანადგურა, კავკასიის მთიელებზე გავლენა გააძლიერა, ქვეყანაში ერთგვარი წესრიგის დამყარების შემდეგ მნიშვნელოვანი შენობა-ნაგებობები ააშენა. ქუთაისისა და ბედიას ტაძრები მეტყველებენ საქართველოში მისი მეფობის პერიოდში არქიტექტურის განვითარების მაღალ დონეზე.

სწორედ ბაგრატის დროს ათონის მთაზე სასულიერო მწერლობამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია, რაზეც ქართველი ბერების – ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებისა და სხვათა საქმიანობა მოწმობს. მათ მიერ სახარების მეორე, შესწორებული თარგმანი დაინერა.

ამ პერიოდში ბაგრატიონების დინასტია საბოლოოდ დამკვიდრდა. ხოლო საქართველოს ბრწყინვალეების ხანა, რომელიც ბაგრატ III-ის გამეფებით დაიწყო, თამარ მეფის გარდაცვალებამდე გაგრძელდა.








## საქართველოს ისტორია

### X- XII საუკუნეები

### დავით აღმაშენებელი



გადავავლოთ თვალი მეათე, მეთერთმეტე და მეორმეტე საუკუნეების საქართველოს ისტორიას. პირველი ბაგრატიონი გუარამი ტახტზე 575 წელს ავიდა. ეს ხანა საქართველოში მართლმადიდებლობის აღმავლობის ყველაზე ღირსშესანიშნავი პერიოდი იყო. იმავე დროს, საქართველოს დასაპყრობად მსოფლიოს ისეთ უდიდეს სახელმწიფოებს შორის, როგორებიცაა ბიზანტია და სპარსეთი, გაცხარებული ბრძოლა იყო. ეს ბრძოლა ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო, როდესაც არაბებმა დაიპყრეს და დაეუფლნენ საქართველოს. მეფეებმა მოჩვენებითი ძალაუფლების შენარჩუნება მხოლოდ არტანუჯში, აჭარასა და ტაოში შეძლეს. შიშით, ისინი ერთმანეთს – არა მეფეს, არამედ მთავრებს, თავადებს, ერისთავებს და ერისთავთერისთავებს უწოდებდნენ. ამ უბედურების ჟამს აფხაზეთისა და კახეთის ერისთავები აღარ ემორჩილებოდნენ მეფის ძალაუფლებას და დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. თუმცა, დასუსტების მიუხედავად, ქართველი მთავრები მაინც ახერხებდნენ გაძლიერებას და ასი წლის შემდეგ გუარამმა და აშოტმა კახეთის მთავარი გრი-



დავით IV აღმაშენებელი, საქართველოს მეფე

გოლი დაამარცხეს და კლარჯეთიდან ქსნის ხეობამდე და უფრო შორს, ქალაქ ბარდამდეც მთელი საქართველო დაიმორჩილეს. აშოტის ძემ, ბაგრატმა, აფხაზეთის მეფე ფეოდოსი დაამარცხა. ბაგრატიონების ძალაუფლება იზრდებოდა. ადარნასეს ეპოქაში (923), კონსტანტინე პორფიროგენის მიხედვით, ქართველები ბიზანტიის იმპერიას ერზერუმის და მისი შემოგარენის მფლობელობას ედავებიან. იმავე ეპოქას მიეკუთვნება არაბი მწერლის – მასუდის (XII ს.) თხზულება, სადაც ის ასახელებს აფხაზეთისა და ალანიის მოსაზღვრე სახელმწიფოს, დასახლებულს გურჯებით (ქართველებით), რომელსაც მეფე სუმბათი (923-958) მართავს.

980 წელს გაერთიანებული საქართველოს სამეფო ტახტი, აფხაზეთთან ერთად, დავით კურაპალატის ვაჟს - ბაგრატს გადაეცა. ამ ეპოქაში მოხდა ბარდა სკლიაროსის განადგურება ქართველთა მიერ. იმავეს მიუთითებს ქართული, ბიზანტიური და სომხური ჟამთა აღწერა. ამრიგად, საქართველოს გაძლიერებას საფუძველი ჩაეყარა თამარის გამეფებამდე დიდი ხნით ადრე, ბაგრატ III-ის მეფობის დროს, რომელმაც ქართულ-აფხაზური ერთიანი სახელმწიფო შექმნა (980). მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისიდან – ბაგრატ III-ის მიერ საქართველოს გაერთიანების პერიოდთან, პოლიტიკური და ინტელექტუალური თვალსაზრისით, ქვეყნის აღორძინება იწყება. მაგრამ, მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში თურქ-სელჯუკების თავდასხმებმა ქვეყნის განვითარება შეაჩერა და ბარბაროსთა მიერ დაპყრობის საშინელება თვალნათელი გახადა. დავით IV აღმაშენებელმა კი იმ გარემოებით ისარგებლა, რომ ჯვაროსანთა წარმატების გამო თურქებს მცირე აზიაში ძალების კონცენტრაცია დასჭირდათ. მან მაჰმადიანთა უღელი

შეარყია, საქართველო გააერთიანა და სახელმწიფო შავიდან კასპიის ზღვამდე, კავკასიის მთებიდან ახლანდელი ყარსის პროვინციამდე გაზარდა. თექვსმეტი წლის ასაკში გამეფებულ დავითს სახელმწიფო განადგურებული დახვდა: აღმოსავლეთი თურქების ხელში იყო, ბიზანტიელი იმპერატორები, მართლმადიდებლური სამყაროს დაცვის საბაზით დასავლეთში ბატონობდნენ, ველური თურქების ტომები ტიფლისის მიდამოებში თარეშობდნენ, სპარსელები სახელმწიფოს საზღვრებზე მძვინვარებდნენ და გრძელდებოდა სომხების დაუსრულებელი შემოსევები. რთული ამოცანა ხვდა წილად ახალ მეფეს - აღედგინა გაცამტვერებული სახელმწიფო.


როგორც ვთქვით, დავითმა როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო თვალსაზრისით, საქართველო უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია. როცა მან ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შესახებ შეიტყო<sup>9</sup>, მაშინვე ტიფლისი და მისი შემოგარენი მოძალადეებისა და მძარცველებისგან გაათავისუფლა. მუსულმანური ურდოს შერყევამ ქართული სახელმწიფო გააძლიერა და წმინდა მიწის გასათავისუფლებლად ჯვაროსნებისათვის დამხმარე სამხედრო ძალების გაგზავნა შესაძლებელი გახადა. დავითმა მის სახელმწიფოს სვანეთი, ოსეთი, დაღესტანი და კახეთი შეუერთა. მან თურქები ყველა ქართული ციხე-სიმაგრედან განდევნა. სამეფოს გარეშე მტრებისაგან გაათავისუფლებისა და ერთმმართველობის დამყარების შემდეგ დავით IV-მ მთელი თავისი ძალები ქართველი ხალხის განათლებასა და საქარ-

9. კონსტანტინოპოლის ჯვაროსნების მიერ აღება მოხდა არა დავით IV აღმაშენებლის, არამედ თამარ მეფის ეპოქაში – რედ.

თველოს შიდა ადმინისტრაციული მოწყობისაკენ მიმართა. მან სამეფო ცალკეულ საერისთავოებად დაყო, რომლებსაც სათავეში ადგილობრივი მმართველები ჩაუყენა. უცხოელი დამპყრობლების ბატონობის პერიოდში ქრისტიანობის უარყოფელი სხვადასხვა დოქტრინის არსებობა, სამღვდელოების მხრიდან საერო მმართველობის იგნორირება, საზოგადოების ზნეობრივად დაცემა – ის მთავარი მიზეზები იყო, რის გამოც 1103 წელს დავით აღმაშენებელმა კანონიკური წესების კოდექსის შემუშავების მიზნით კრება მოიწვია. ეს არის საქართველოს პირველი საკანონმდებლო ძეგლი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. კრებამ ის ეპისკოპოსები და სამღვდელოების წარმომადგენლები ანათემას გადასცა და დაითხოვა, რომლებიც ხელდასხმულნი არ იყვნენ; ურჩი მღვდლები სასამართლოს გადასცა; მართლმადიდებლური რწმენა განამტკიცა და როგორც შიდა, ისე საგარეო საკანონმდებლო წესები შეიმუშავა.

დავითის დროს სკოლები დაარსდა, სადაც რელიგია, გრამატიკა, მათემატიკა, ადათ-წესები და გალობა ისწავლებოდა.

იყალთოს აკადემიაში, რომლის პირველი რექტორი არსენ იყალთოელი იყო, განათლება მრავალმა ცნობილმა ადამიანმა მიიღო, მათ შორისაა შოთა რუსთაველი. დავით აღმაშენებელმა ახალგაზრდები, განათლების მისაღებად ათონის მთაზე გააგზავნა, სადაც ისინი თეოლოგიური და ფილოსოფიური თხზულებების თარგმნის ხელოვნებას დაეუფლნენ. იგი თავად კარგი მთარგმნელი და ქრისტიანი იყო. თავისუფალ დროს სასულიერო წიგნებს კითხულობდა და ტაძრების მშენებლობისათვის თანხას არ ზოგავდა. ქართული არქიტექტურის ერთ-ერთი ულამაზესი ნიმუში – გელათი მის მიერ არის აგებული. უზარმაზარ




ბალათის მონასტარი

სამეფოში მან საავადმყოფოები და თავშესაფრები ააშენა, ხოლო ეკლესიებისა და მონასტრებისათვის ვრცელი მიწები გამოყო. დავითის ქველმოქმედება მისი სამეფოს გარეთაც ვრცელდებოდა. იგი ძვირფას შემონირულობებს უგზავნიდა იერუსალიმის, სირიის ეკლესიებს, ათონის (ათოსი) მთაზე მდებარე მონასტრებს. სინას მთაზე წმინდა ეკატერინეს ტაძარი ააგო, რომელიც დღესაც არსებობს. დავით აღმაშენებლის ღვანლი საეკლესიო და სამონასტრო მშენებლობით არ შემოიფარგლებოდა. მის სამეფოში მოშორებით მდებარე პროვინციებთან კომუნიკაციის საშუალებებს აუმჯობესებდა, მტრების შემოსევების დროს დანგრეული გზებისა და ხიდების შეკეთებაზე ზრუნავდა, ახალი გზები გაჰყავდა, ხიდებს აშენებდა. მან სამეფოს სასამართლო და სოციალურ-ადმინისტრაციული მოწყობა მოაწესრიგა, რომლის მოხელეები, როგორც დაწერილი საეკლესიო და საერო კანონებით, ისე მათ მმართველობაში შემავალი რეგიონისთვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებებით ხელმძღვანელობდნენ.


დავითი ახალგაზრდა, ორმოცდაცამეტი წლის ასაკში გარდაიცვალა და მემკვიდრეებს ძლიერი და მონესრიგებული სამეფო დაუტოვა. ქართველმა ხალხმა მას „აღმაშენებელი“ შეარქვა, ხოლო ეკლესიამ წმინდანად აღიარა. გარდაცვალების წინ მან ისურვა, დაეკრძალათ გელათის ტაძრის შესასვლელში და ყველა მომლოცველს, ვინც ეკლესიის ზღურბლს გადალახავდა, მისი სულისათვის ელოცა. ბრძანა კარიბჭე დარუბანდიდან (დავითის მიერ აღებული ქალაქი)<sup>10</sup> გელათში გადაეტანათ. ამ კარიბჭის ერთი ფრთა დღესაც არსებობს.

10. ავტორი გულისხმობს დავით აღმაშენებლის მემკვიდრე დემეტრე I-ის მიერ ქ. განჯის აღებას – რედ.

გელათის შესასვლელში არის გრანიტის ფილა, რომელზეც ქართული ანბანით ამოტვიფრულია ნანყვეტი ფსალმუნიდან: „ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე; ესე მთნავს: აქა დავემკვიდრო მე“. კარიბჭის ფრთაზე არაბული წარწერის თანახმად, იგი შესრულებულია მჭედელი იბრაჰიმ ბინ უთმან ბინ მალლაქუნის მიერ „უფლის, მეთაურის და ბრწყინვალეების შავურ ბინ ალ-ფადლისთვის“ 455 წელს (1077 წელს ჩვენი წელთაღრიცხვით).







## თამარის ეპოქა (1184–1212)

საქართველოს ბრწყინვალეების ხანა ასოცი წლის განმავლობაში გრძელდებოდა (დავით აღმაშენებლის სამეფო ტახტზე ასვლის შემდეგ, მისი შვილთაშვილის – თამარის გარდაცვალებამდე). ტიფლისის დამაარსებლის - ვახტანგ გორგასლანის და დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდების გარდა, ისტორიული ნარკვევები არ მოიხსენიებენ რომელიმე სხვა პიროვნებას, ვინც შეიძლება ამ დიდებულ დედოფალს, რომელსაც „მეფეს“ უწოდებდნენ, გაუტოლდეს. ვახუშტიმ მას „ღვთაებრივი დედოფალი“ უწოდა. შვიდი საუკუნის განმავლობაში წარსული დიდებით ამაყი ერი თავის მეხსიერებაში ამ გამოჩენილი ქალბატონის სახელს ერთგულად ინახავს და მის სახელს ყველა ღირსშესანიშნავ მოვლენასა და საქართველოს კულტურის უმშვენიერეს ძეგლებს უკავშირებს. თამარის ხატი საქართველოს ყველა კუთხეში თავისებური ხასიათისაა. განსხვავებული მისტიკური ვერსიები თამარს ნახევრად ღვთიურ, ამაღლებულ, შეუდარებელ არსებად წარმოაჩენენ. მის სახელს ურიცხვი პოეტური თხზულება უკავშირდება, ის წმინდა ქალწულის, ან წარმართული ღვთაების სახითაც არის წარმოდგენილი. ქართველი მთიელები მას – ხან წმინდანად, ხან კი ყველა სწეულებისა და ტკივილისგან მხსნელად გამოსახავენ.

სვანეთში ერთადერთი ისტორიული პიროვნება, ვისი სახელიც შემონახულია ხალხის მეხსიერებაში, თამარ მეფეა. სვანების წარმოსახვაში ის – მეომარი დედოფალი, თაყვანისცემის ობიექტი და ჯადოსნური სილამაზის იდეალია. სვანურ ხალხურ სიმღერებში, როგორც უსაყვარლეს დედოფალს, თავზე ოქროს გვირგვინით და ძვირფასი ქვებით მორთული სამოსით წარმოსახვენ და ხოტბას ასხამენ.

გადმოცემების თანახმად, თამარ მეფე ლიბერალური და სულგრძელი პიროვნება იყო. აი, რას გვიამბობს ლეგენდა: ერთხელ, დღესასწაულზე, როდესაც ის ძვირფასი ქვებით შემკული სამეფო მოსასხამით გელათის ტაძარში წასასვლელად ემზადებოდა, სასახლის კართან მათხოვარი შენიშნეს. თამარ მეფემ მოახლეებს უთხრა, რომ ქალი დალოდებოდა, მაგრამ გასვლისას ის აღარ დახვდა. დამწუხრებულმა, რომ საბრალო ქალს დახმარება ვერ გაუწია, გელათის ტაძარში სინანულის ნიშნად გვირგვინი მოიხსნა და წმინდა ქალწულის გვირგვინთან დადო.

ისტორიული თხზულებები, ისევე როგორც ხალხური თქმულებები და ლეგენდები თამარის ცხოვრების შესახებ (1184-1212) მოგვითხრობენ. რუსი და ქართველი ისტორიკოსების მიხედვით, თამარი რუსი მთავრის, ანდრეი ბოგოლუბსკის, ვაჟზე დაქორწინდა, რომელმაც ყარსის და არარატის პროვინციებში თურქებზე გამარჯვებით სახელი გაითქვა. თუმცა ეს ქორწინება ჩვენთვის უცნობი მიზეზებით შეწყდა და გიორგიმ კონსტანტინოპოლს შეაფარა თავი.

თამარი მეორე ქორწინებას დასთანხმდა. მრავალრიცხოვან ხელის მთხოვნელთა შორის იყვნენ: პოლიკარპოსი, სავარაუდოდ, ბიზანტიის იმპერატორ, ემანუელის შთამომავალი, ისპაჰანის სულთნის შვილი და სხვები. მისი არჩევანი ოსეთის უფლისწულ დავით

სოსლანზე შეჩერდა. დავითი, ისევე როგორც თამარი, ბაგრატიონების დინასტიის შთამომავალი იყო. გიორგი ვერ ეგუებოდა სამეფო ტახტის დაკარგვას და ბერძენთა ჯართან ერთად საქართველოში ხელახლა გამოჩნდა. კლარჯეთის და სამცხის ერისთავების დახმარების მიუხედავად, მისი ჯარი დამარცხდა და იგი დედოფალს მიჰგვარეს. კეთილმა თამარმა გიორგის თავისუფლება უბოძა, მაგრამ იმ პირობით, რომ იგი საქართველოს სამუდამოდ დატოვებდა.

იმავედროულად, საქართველოს ომები ჰქონდა სპარსელებთან, არაბთა ტომებთან და თურქებთან, რომლებიც საქართველოს ძლიერების ხანაშიც კი თავიანთ პრეტენზიებსა და შემოტევაზე უარს არ ამბობდნენ. სოსლანმა სპარსელების წინააღმდეგ გაილაშქრა და რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. განჯის ხელში ჩაგდების შემდეგ მან მდიდარი ნადავლი, ტყვეები, ცხენები, აქლემები, ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი წამოიღო. გარკვეული პერიოდის შემდეგ თამარმა თავისი ძალები ყარსიდან თურქების გასაძევებლად გადაისროლა; მტერი ქართველების დანახვისთანავე გაიქცა და დაკავებული ტერიტორია გასროლის გარეშე დატოვა.

საქართველოს შესახებ ისტორიული ცნობების მიხედვით, ივერიელების გამარჯვებით გაკვირვებულმა ალექსოს სახელგანთქმულმა სულთანმა რუქნადინმა ჩვენი ქვეყნის დასაპყრობად რვაასათასიანი ჯარი გამოაგზავნა.

რუქნადინმა დედოფალი გააფრთხილა მისი შემოჭრის შესახებ და შეწყალებას დაჰპირდა თუ მის ცოლობას დასთანხმდებოდა, ასევე, ის შეინწყალებდა ყველას, ვინც ინამებდა ისლამს. როდესაც რუქნადინის ელჩმა მისი მბრძანებლის უსტარი საზეიმოდ გაახმოვანა, სარდალმა ზაქარია მხარგრძელმა ისეთი



თამარ მეფე

ძლიერი დარტყმით უპასუხა, რომ ელჩი ძირს მკვდარივით დაენარცხა. გამონვევა მიღებულ იქნა. ომი დაიწყო. ქართველები სულთნის მრავალრიცხოვან ჯარს ბასიანთან შეხვდნენ და პირველები გადავიდნენ შეტევაზე. ბრძოლა ქართველების გამარჯვებით დასრულდა. თურქები გააძევეს, ბევრი დააპატიმრეს და საბრძოლო იარაღიც წაართვეს.

თამარ მეფის თაოსნობით მოგებული ომების შემდეგ დაგროვილი უზარმაზარი სიმდიდრის გამო საქართველოსა და ბიზანტიას შორის კონფლიქტი მოხდა. ხარბმა იმპერატორმა ალექსი IV ანგელოსმა გაძარცვა კონსტანტინოპოლის გავლით მიმავალი ქართველი ბერები, რომლებსაც მრევლისთვის თამარისგან ბოძებული დიდძალი შემონირულობა მიჰქონდათ. განრისხებულმა თამარმა იმპერატორს ომი გამოუცხადა, ტრაპიზონი და ზოგიერთი პროვინცია შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე დაიპყრო; ტრაპიზონის იმპერია ჩამოაყალიბა, რომელიც მან ალექსი კომნენოსს გადასცა, რათა მუჰამედის მოძღვრების გავრცელება კავკასიისა და მცირე აზიის სანაპიროებზე თავიდან აეცილებინა.

დედოფლის გავლენა ოსეთისა და კავკასიონის მიღმაც ფართოდ გავრცელდა. მთიელებმა მისი ჯარის წარმატება აღიარეს და მოინათლნენ. ქართველ მეზობლებს მღვდლები და ვაჭრები კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ. მტკვრის, ალაზნისა და თერგის გასწვრივ ასე გავრცელდა ქრისტიანობა და განვითარდა კომერციული საქმიანობა.

ლეგენდებში თამარს საქართველოს ყველა ღირსშესანიშნავი ტაძრისა და ციხის აღმშენებლობას მიაწერენ, რაც ჭეშმარიტებისგან შორს არ არის, რადგან ამ ნაგებობების უმრავლესობა სწორედ თამარის ეპოქაში აშენდა.

თამარმა მისი მეფობის პერიოდში ყველგან წარუშლელი კვალი დატოვა. საქართველოს მთებში აღმართული ქვით ნაშენი ციხე-სიმაგრეები, მიუწვდომელ კლდეებზე ველურ ბუნებაში ღრმად შეჭრილი, ორი ზღვის ნაპირზე და მთებში აგებული ეკლესიები და ჯვრები მის სიბრძნესა და ძლიერებაზე უტყვად მოწმობენ.

თამარის საუკეთესო პოეტური ძეგლია „ვარძია“, „ვარდების სასახლე“, რომელიც ციცაბო კლდეშია გამოკვეთილი ზემო ქართლში, ახალციხესთან და დღემდე დედოფლის გვირგვინის ყველაზე ლამაზ მარგალიტად მიიჩნევა. სასახლე, სულ ცოტა, 360 დარბაზისაგან შედგებოდა. მგზავრს დღესაც შეუძლია ნახოს ამ დიდებული რეზიდენციის ნაშთები, სადაც საკნებსა და დერეფნებს შორის დღემდე შემორჩენილია ფრესკებით მოხატული დიდი ეკლესიის ნაშთი; ერთ-ერთი მათ შორის არის თავად დედოფლის ფრესკა. ნანგრევებს შუა, ზევიდან უეცრად გამოჩენილი ეს ფრესკა მაყურებლის გულში უცნაურ გრძნობებს იწვევს. აქვე, ეკლესიის გვერდით – ქვის გუმბათის ქვეშ, ლეგენდის მიხედვით, თამარი უნდა იყოს დაკრძალული, თუმცა მისი დაკრძალვის ნამდვილი ადგილი უცნობია. ზოგიერთი მის განსასვენებელ ადგილად გელათის მონასტერს მიიჩნევენ, სხვები სვანეთზე მიუთითებენ; რაჭის მაცხოვრებლები აცხადებენ, რომ თამარის ძვირფასი ნეშტი რაჭაში განისვენებს.

საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები, დედოფლისადმი სიახლოვის სურვილით აღვისილნი, მისი საფლავის მფლობელობას იჩემებენ.


თამარის მეფობა არა მარტო საქართველოს მაღალი სამხედრო ძლიერების ეპოქა იყო, მყარი მშვიდობა, რომელიც მის დიდებულ მმართველობას მოჰყვა, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებას უწყობდა ხელს. სამი ცივილიზაციის: არაბული, სპარსული და ბიზან-


ტიური გავლენით განსაკუთრებით ქართული ლიტერატურა განვითარდა. ტახტის გარშემო გაერთიანებულმა ცნობილმა მწერლებმა ქართული ენა სრულყოფილების უმაღლეს მწვერვალზე აიყვანეს.

თამარის მეფობას აღწერენ და ხოტბას ასხამენ ორი უდიდესი პოეტი - შავთელი და ჩახრუხაძე. ნიჭიერი მწერლები, ხონელი და სარგის-თმოგველი, ასევე თამარის ბრწყინვალეობაზე საუბრობენ, მაგრამ ამ კლასიკოსთა დიდება ყველა ქართველის სათაყვანებელმა პოეტმა, შოთა რუსთაველმა დაჩრდილა.

მის სახელგანთქმულ პოემას - „ვეფხისტყაოსანს“ იცნობს და კითხულობს ყოველი ქართველი. ნაწყვეტები ამ პოემიდან ანდაზებად და აფორიზმებად გადაიქცა. არ არსებობს ქართველი, რომელმაც ის მთლიანად ან ნაწილობრივ ზეპირად არ იცოდეს. ეს ნაწარმოები გაჟღენთილია აზრთა სიღრმითა და გრძნობათა სიმხურვალით. შვიდი საუკუნის შემდეგაც ქართველები-სათვის, საგანმანათლებლო მნიშვნელობით, „ვეფხისტყაოსანი“ ახალ აღთქმასა და მოციქულთა საქმეებს უტოლდება. თამარის გარდაცვალებას საქართველოს სიდიადე და კეთილდღეობა გაჰყვა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ქალის ყველაზე დიდი ადამიანური ღირსებები: მაღალი ზნეობა – წმინდა ნინოს სახელს, ხოლო სამხედრო გმირობა და ადმინისტრაციული სიბრძნე თამარ მეფის სახელს უკავშირდება.

ნინო და თამარი ქართველების ყველაზე საყვარელი სახელებია.






## საქართველოს ისტორია

### XIII-XVII საუკუნეები

### დამოუკიდებელ

### სახელმწიფოებად დაყოფა



მეთორმეტე საუკუნე, პოლიტიკური და ინტელექტუალური თვალსაზრისით, საქართველოს ყველაზე მაღალი განვითარების ეპოქა იყო. დავითის და განსაკუთრებით კი თამარის ეპოქაში ხალხის სასიცოცხლო ძალები მაქსიმალურად გაიხარჯა. ერის მორალური და ფიზიკური რესურსები ამოიწურა და, ამგვარად, დაღმავალი გზით სვლა დაიწყო. დიდებული თამარის პირველი მემკვიდრეების მეფობის დროს წარჩინებული ქართული საზოგადოება, მეფე და მმართველები უკვე ზნეობრივი დაცემის ნიშნებს ავლენდნენ. თამარის გარდაცვალებიდან ცოტა ხნის შემდეგ ჩინგიზ-ყაენის ერთ-ერთი სარდალი ქართველებს თავს დაესხა და ჯარის შენაერთები, რომლებსაც გიორგი მეფე მეთაურობდა, სასტიკად დაამარცხა. გიორგი უზნეო და ქალების მოყვარული იყო. რამდენიმე წლის შემდეგ გამოჩნდა ჯალალედინი ხვარაზმელი, ადრე ჩინგიზ ყაენის მიერ დამარცხებული. „ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილია, თუ რა ზიანი მიაყენა ჯალალედინის ლაშქრობებმა საქართველოს. ყველაფერი, კოშკებისა და ციხე-სიმაგრეების გარდა, განადგურდა.



არც ერთი საცხოვრებელი სახლი არ გადარჩენილა. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ქართველმა მეფეებმა და მთავრებმა ღმერთი, კანონები, მორალი-სა და სამართლიანობის პრინციპები დაივიწყეს და ერთმანეთში უთანხმოება და სიძულვილი ჩამოაგდეს. ამ დროს ჯალალედინმა ქართული ჯარის სარდალი ტყვედ ჩაიგდო და აწამა, რადგან მან მაჰმადიანური სარწმუნოების მიღებაზე უარი თქვა.

საქართველო, რომელიც ნელ-ნელა აღორძინებას იწყებდა, ცოტა ხანში, ამ დამანგრეველი თავდასხმის შემდეგ, კვლავ ბრძოლის ველად იქცა. 1236 წელს მონღოლების ჯარმა, ჩინგიზ ყაენის მეთაურობით, სომხეთი, შირვანი, აზერბაიჯანი დაიპყრო და თბილისს შეესია. მთავრებმა ქალაქი მიატოვეს და იგი მტრის განკარგულებაში აღმოჩნდა. სამ წელიწადში მონღოლები მთელ ქვეყანას დაეპატრონნენ.

მიუხედავად კათოლიკე მისიონერების ჩამოსვლისა, პაპ გრიგოლ X-ის და ჰონორიუს III-ისგან რაიმე დახმარების მიღებაზე იმედგადაწურულმა დედოფალმა რუსუდანმა მონღოლებთან მოლაპარაკება გადანწყვიტა და მათ თავისი ვაჟი გაუგზავნა, რათა საქართველოს მეფობის უფლება შეენარჩუნებინა. მონღოლების თანხმობის მიუხედავად, ქართველი დიდგვაროვნების მეფედ კურთხევის, ხელისუფლების ჩამორთმევის ან სიკვდილით დასჯის საკითხებს კვლავ თვითონ წყვეტდნენ. მათ დესპოტიზმს საზღვარი არ ჰქონდა: ისინი ქართველ თავადებს წოდებებს ადვილად ურიგებდნენ და იმავე სიმარტივით დიდებას ართმევდნენ. ერთდროულად რამდენიმე მეფე მეფობდა. არავის არ შესწევდა უნარი, ამ არეულობისათვის ბოლო მოეღო. ნაცვლად იმისა, რომ საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანებულიყო, საქართველო ცალკეულ ნაწილებად დაიყო. მოსახლეობა შრომისა

და დაკისრებული უზომოდ დიდი გადასახადებისაგან იტანჯებოდა. მამაკაცთა ერთი მეათედი მონღოლთა ჯარში მსახურობდა, რომელთა რაოდენობამ, 1258 წელს 90 000 მეომარს მიაღწია. ამ რიცხვზე დაყრდნობით, აკადემიკოს ბროსეს გათვლით, იმ პერიოდისათვის საქართველოს მოსახლეობა 4,5 მილიონს აღწევდა. მოსახლეობა, სამხედრო სამსახურის გარდა, როგორც ფულით, ისე სასოფლო სამეურნეო ნაწარმით იბეგრებოდა. გადახდის დაგვიანების შემთხვევაში, გარანტიის სახით, ბავშვებს იტაცებდნენ.

გარდა ამისა, ათასი დრაქმის საქონლით ვაჭრობის უფლებისათვის თხუთმეტ „ფლურს“ იხდიდნენ. პირუტყვის საბალახო გადასახადი „ტაიპა“ (ყაფჩერი-რედ.) იყო. განადგურებული და დაქუცმაცებული საქართველო სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. მოსახლეობა მუდმივად მონღოლთა შიშით ცხოვრობდა. დაუსრულებელმა შემოსევებმა ქვეყანა განადგურების ზღვარზე მიიყვანა. ყველა უბედურებას ზნეობრივად დაცემა დაემატა. მეფე დიმიტრიმ ცოლად ტრაპიზონის იმპერატორის ქალიშვილი და კიდევ რამდენიმე ქალი შეირთო. დიდგვაროვნებმა მისგან მაგალითი უმალ გადაიღეს. სამეფო ოჯახის წარმომადგენლები და მეფის ასულები მონღოლებზე ქორწინდებოდნენ. 1279 წელს, მარხვის დროს, დამანგრეველმა მიწისძვრამ აწყურისა და მცხეთის ეკლესიები შეინირა.

ძლიერ დასუსტებულ საქართველოს გარეშე მტრების თავდასხმებისაგან ხანმოკლე შესვენება ჰქონდა გიორგი V-ის, გიორგი ბრწყინვალედ წოდებულის, მეფობის დროს, რომელმაც ქვეყანას დასვენებისა და ბედნიერების დღეები აჩუქა. ტახტზე ასვლისთანავე მან საქართველო მოიარა და ყველგან წესრიგი დაამყარა. იგი მთიანეთს ეწვია და, იქ წესრიგის დამ-

ყარების მიზნით, ერთ-ერთი უძველესი სამართლის წიგნი, „ძეგლისდება“, შეადგენინა, რომელიც მოგვიანებით ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულში გაერთიანდა. იმ დროისათვის მონღოლთა ტახტი საგრძნობლად შესუსტებული იყო. გიორგი V-მ ამ გარემოებით ისარგებლა, რათა მისი სამეფოს საზღვრები გაეფართოებინა. იგი სომხეთს, ჰერეთს, რანსა და ლეკეთს, ანუ ლეკების პროვინციებს დაეუფლა, შირვანის ხანი დაიმორჩილა და მის სამეფოს საქართველოდან გამოყოფილი ყველა ტერიტორია შეუერთა. ამ ეპოქიდან თანხმობისა და მშვიდობის, სამნუხაროდ, ხანმოკლე პერიოდი იწყება. ამის შესახებ ეკლესიების კედლებზე შესრულებული წარწერები მოწმობს. ამგვარი მდგომარეობა სამარყანდელი თემურ-ლენგის შემოჭრამდე (1387 წ.) გაგრძელდა. მან ტიფლისი სრულიად გაანადგურა, 1393 წელს, ახალი თავდასხმის დროს კი, მთელი საქართველო ააოხრა.

რამდენიმე წლის შემდეგ იგი მესამედ დაბრუნდა. ოცი წლის განმავლობაში ქართულ სამეფოს მოსვენება არ ჰქონდა, თემურ-ლენგის სასტიკი თავდასხმების შედეგად ხელახლა მრავალ სამთავროდ დაიშალა, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთმანეთს ემტერებოდნენ.

სრული უწესრიგობა, მეფეებსა და ფეოდალებს შორის დაუნდობელი ბრძოლა, დამარცხებულების სასტიკი წამება და დამპყრობლების მიერ ქვეყნის განადგურება – ასეთი სამნუხარო სურათი იყო შექმნილი საქართველოში. იმერეთის ისტორია იმ შედეგებს გვიჩვენებს, რაც ერის დანაწევრებას მოჰყვება, რომლის სიძლიერე ერთიანობაში მდგომარეობს. ერის ერთიანობა პოლიტიკურმა უთანხმოებამ ჩაანაცვლა. შეიძლება იფიქრო კიდევ, რომ ერთგვარი ზებუნებრივი ძალა ფეოდალებს სიძულვილის მორევსა და დაუსრულებელ

ომებში ითრევედა. ზოგჯერ თანხმობისა და მშვიდობის აღდგენის მცდელობა იყო, მაგრამ ნებისმიერი მცირე შემთხვევაც კი კმაროდა ამ ვითარების ძველ მდგომარეობაში: უთანხმოებისა და განხეთქილების მორევში დასაბრუნებლად. უცხო ტომების თავდასხმები ამ მდგომარეობას ხელს უწყობდა. დროებით დამშვიდებული ფეოდალები ხელახალ არეულობას იწყებდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ქართველ მეფეებს იღბალი არ სწყალობდა და უცხო დამპყრობლების თავდასხმები ერთმანეთს ენაცვლებოდა. ფლორენციის საბჭოს (1438 წ.) (იგულისხმება ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრება-რედ.) მონვევიდან ორი წლის შემდეგ, სადაც საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებმა ეკლესიების კავშირის შესახებ აქტს ხელი არ მოაწერეს, საქართველოში თავრიზის მმართველი შემოიჭრა. ტიფლისის დაპყრობის შემდეგ მტრები დიდი ნადავლით შინ დაბრუნდნენ. სრულიად უსახსროდ დარჩენილმა ხალხმა ეკლესიების აღსადგენად დაკისრებული საგადასახადო დავალიანების გადახდა ვერ შეძლო, რის გამოც ეს გადასახადი გაუქმდა.

აღსანიშნავია შემდეგი ფაქტი: 1460 წლისთვის ქართველი მეფეები და ფეოდალები, პაპი პიუს II-ის მოთხოვნით, მუსულმანების წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობისათვის ემზადებოდნენ, მაგრამ ეს ჩანაფიქრი ევროპელ ელჩებს შორის ვენეციაში მომხდარი უთანხმოების გამო ვერ განხორციელდა.

ასევე, თურქების მიერ კონსტანტინოპოლის ალყაში მოქცევის გამო ვერ იზეიმეს გიორგი VIII-ის ქალიშვილისა და ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე XI პალეოლოგის ქორწინება.

1453 წელს, კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ, თურქებმა დასავლეთ საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევა დაიწყეს. იმავდროულად, საქართველოს აღმო-

სავლეთი ნაწილი სპარსეთის გავლენის ქვეშ იყო. შერიგების მცდელობის საბაბით, თურქებიც და სპარსელებიც ხელს უწყობდნენ ისედაც გახლეჩილ რეგიონებს შორის მტრობის გამწვავებას, მამას შვილს უპირისპირებდნენ, ძმას ძმის წინააღმდეგ ამხედრებდნენ. ქვეყნის ღირსება და თავისუფლება ითელეობდა.

ისლამი სწრაფად ვრცელდებოდა ქრისტიანობის ნაშთებზე. მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისიდან ქართლის სამეფო ტახტზე მუსულმანური აღმსარებლობის მეფეების მთელი რიგი ერთმანეთს ენაცვლებოდა. მათ შორის იყვნენ ვახტანგ V შაჰნავაზი, რომელმაც მუხრანელების დინასტიას დაუდო სათავე და ვახტანგ VI, რომელმაც, მისი თქმით, მხოლოდ „მოსაჩვენებლად“ აღიარა ისლამი. კახეთის მეფე არჩილიც (1664-1706) იმ ქართველ მეფეთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, ვინც სპარსულ წოდებას ატარებდა, მაგრამ, აღმსარებლობის გამო შახთან უთანხმოების მიუხედავად, ის მტკიცე ქრისტიანად დარჩა.

არჩილ მეფე ეროვნული რელიგიის გულწრფელი თაყვანისმცემელი, კარგი ღვთისმეტყველი და ეკლესიების აღმდგენელი იყო, რის გამოც „მამა“ და „ბრწყინვალე მეფე“ შეარქვეს. მისი მეფობა იმ დროისთვის დამახასიათებელ შეცდომებსაც შეიცავდა, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, იგი სამეფო ტახტზე ორჯერ ავიდა, ქართლსა და იმერეთში. სიცოცხლე გადასახლებაში, რუსეთში დაასრულა. მან პოემა „არჩილიანი“ შექმნა, რომელიც თეიმურაზ მეფის ბიოგრაფიულ ცნობებსა და ძველი საქართველოს ცხოვრებისა და ზნეობის შესახებ ძვირფას ინფორმაციას შეიცავს.

ამასთანავე, მეფეთა უმრავლესობა ზემოაღნიშნული იდეების სიმტკიცისაგან შორს იყო. ისინი მხოლოდ მათი დინასტიის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ, თავის აღმსარებლობაზე ადვილად



**ქეთევან დედოფალი**

ამბობდნენ უარს, მზად იყვნენ, ქალები ჰარამხანის-თვის მონებად მიეყიდათ და ხალხში ისლამი და სპარსული ან თურქული ადათები გაეცვრცელებინათ.

მაჰმადიანების პრინციპები კერპთაყვანისმცემლობის გადმონაშთებს შეიცავდა, რაც ჯერ კიდევ მთლიანად გამქრალი არ იყო; ის ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანულ რელიგიას და „სამების რწმენას“, რაზედაც კათოლიკე მისიონერები და რუსეთის ელჩები საუბრობდნენ. წარჩინებული საზოგადოების წარმომადგენლებმა სრული ზნეობრივი აღვირახსნილობა კიდევ ერთხელ გამოავლინეს. ქართველ დიდგვაროვნებში ვნებებსა და ინსტინქტებს აყოლილი ურთიერთობა, სისხლის აღრევა და განქორწინება გახშირდა. ზოგიერთმა მეფემ ისლამი აღიარა და თავად გახდა ამგვარი საქციელის მაგალითის მიმცემი. რა თქმა უნდა, საბედნიეროდ, გასაოცარი სიმტკიცისა და ურყევი ნებისყოფის ხალხიც არსებობდა, მაგრამ ისინი ერთეულები იყვნენ. მაგალითად, ზეციური სილამაზის დედოფალმა ქეთევანმა, რომელიც ურყევი ზნეობისა იყო, ტანჯვისა და წამების მიუხედავად, რწმენა შეინარჩუნა. 1624 წელს შირაზის საჯარო მოედანზე იგი გააშიშვლეს, მის სხეულს სიმხურვალისგან გავარვარებული რკინის შანთებით წვავდნენ და ცხელ ნაკვერჩხალს ჭრილობებზე ადებდნენ; სანყალ წამებულს რწმენის უარყოფა არ უნდოდა. მას თავი გახურებულ კასრში ჩაადებინეს და დედოფალი ამ სასტიკი გვირგვინით თავზე გარდაიცვალა. დედოფალი ქეთევანი წმინდანად აღიარეს, ხოლო მისი ტანჯვის მონამე კათოლიკე ბერებმა დედოფლის წმინდა ნაწილები ბელგიაში, ნამიურის ტაძარში, დაასვენეს.

სამწუხაროდ, მტერი – მეტად ცბიერი და ძლევამოსილი, ხოლო საქართველო შიდა დაპირისპირებებითა და არეულობით ძალიან დასუსტებული იყო. ამიტომ

ენერგიული და მტკიცე პიროვნებები უკეთესი მომავლის რწმენით სულდგმულობდნენ. ძნელი წარმოსადგენია ისეთი ქვეყანა, როგორც მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველო იყო, სადაც მიკერძოება და წვრილმანი ეგოიზმი სამშობლოს ინტერესებზე და, შესაბამისად, საყოველთაო კეთილდღეობის ინტერესებზე წინ იდგა. სტაბილურ კავშირს მოკლებული ქართველი საზოგადოება საგრძნობლად დაზარალდა.

რამდენიმე ცნობამ სააკაძის, როგორც უწოდებდნენ „დიდი მოურავის“ ცხოვრების შესახებ შეიძლება ამ პერიოდს ნათელი მოჰფინოს. სასიამოვნო გარეგნობის, კარგი მოსაუბრე, მამაცი და გაბედული სააკაძე პირველი შეხედვისთანავე საზოგადო ყურადღებას იპყრობს. ქართლის მეფემ, სიმონმა მას თარხანის წოდება მიანიჭა<sup>11</sup>. გიორგი X-მ მას მოურავის ტიტული უბოძა. ოცდაექვსი წლის ასაკში სააკაძე მეფე ლუარსაბის პირადი მრჩეველი ხდება. ამასი ქართველი არისტოკრატია აზნაურის ოჯახის შვილის ძალაუფლების ზრდას ყურადღებით ადევნებდა თვალს. მის წინააღმდეგ ინტრიგების მთელი რიგი დაიწყო. მეფეს მისი განადგურებაც კი მოსთხოვეს, მაგრამ თურქების თავდასხმამ სააკაძის წინააღმდეგ ბრძოლას ხელი შეუშალა.

იმ დროს, როდესაც საქართველოს ჯარის მოწინავე ნაწილი, საუკეთესო სარდლების მეთაურობით, თურქების ჯარის მიერ დამარცხებული იყო, დიდმა მოურავმა ქვეყნის გადარჩენაზე ზრუნვა თავის თავზე აიღო. მდინარე მტკვრის ნაპირზე გამართულ ბრძოლაში, თავის მეომრებთან ერთად ის თავადაც იბრძოდა. ბრძოლის დროს ფაშას თავი მოკვეთეს და მეფეს მიართვეს. ქართველთა ჯარის მიერ და-

11 გიორგი სააკაძე მართალია სიმონ II-ს თანამედროვე იყო, მაგრამ თარხნობა, თარხანმოურაობა როსტომ მეფემ მის შვილს იორამს მიანიჭა – რედ.



მარცხებულმა თურქებმა უკან დაიხიეს. მეფე თავად მივიდა სააკაძის სახლში, რათა მადლიერება გამოეხატა, იქ მისი და დაინახა და მისი სილამაზით მოიხიბლა. მიუხედავად დედა-დედოფლის და თვით სააკაძის ბრძნული რჩევებისა, მან სააკაძის დის ცოლად შერთვა გადაწყვიტა. დიდგვაროვანმა არისტოკრატამ მიიჩნია, რომ ეს უთანასწორო კავშირი მეფის ტახტს შეურაცხყოფდა და მოურავის მთელი ოჯახის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა განიზრახა. სისხლიანი გეგმის შესახებ გაფრთხილებულმა სააკაძემ სიმამრის – არაგვის ერისთავის სახლს შეაფარა თავი. მოურავის სასახლე მტრებმა დაანგრიეს, ხოლო თავად სააკაძე ლუარსაბზე შურისძიებისათვის სპარსეთში გაიქცა. მან შაჰს ქართლის დაპყრობა შესთავაზა. მოკავშირის პატიოსნებაში დასარწმუნებლად შაჰმა იგი საომრად – ჯერ ინდოეთში, ხოლო შემდეგ თურქეთში გააგზავნა. ქართლის მთებსა და ხეობებში სააკაძის გმირობის შესახებ ხმა გავარდა, მას პოეტები აღიდებდნენ. ამის შემდეგ შაჰმა გადაწყვიტა, ქართველები ცეცხლითა და მახვილით დაესაჯა. ლუარსაბი და თეიმურაზი, დამპყრობლის რისხვის შიშით, კახეთიდან იმერეთში გადავიდნენ, მაგრამ ცბიერმა შაჰ-აბასმა მეგობრობის დაპირებებით მეფე ლუარსაბი დაარწმუნა, მასთან მისულიყო. კეთილგანწყობით დახვდა, მაგრამ სპარსეთში მიღების შემდეგ მისი მოკვლა ბრძანა და მის ტახტზე მაჰმადიანი ბაგრატ V (1616-1619) დასვა.

თეიმურაზი სამეფო ტახტიდან ჩამოგდებული იყო. სპარსული სამხედრო შენაერთი კახეთში იესეს (ისახანი) მეთაურობით დააყენეს. როგორც კი შაჰმა საქართველო დატოვა, ისახანი მოკლეს და თეიმურაზი ისევ სამეფო ტახტზე ავიდა. 1617 წელს განრისხებული შაჰი, სააკაძის თანხლებით, საქართველოს თავს

დაესხა. მან გზაზე ყველაფერი გაანადგურა, სისხლის ნაკადები დიოდა, ქალაქები დაიფერფლა, მონასტრები გაიძარცვა, ხატები და ჯვრები დაიმსხვრა, წმინდა მორთულობები შახის ჰარამხანის ქალებს დაურიგდა.

აღდგომის დღეს დავით გარეჯის მონასტერში 6000 ბერი ამოხოცეს. შახი მცხეთის ძვირფას რელიკვიას, მაცხოვრის კვართს, დაეუფლა და მოსკოვში გაგზავნა<sup>12</sup>. მან არა მხოლოდ ნგრევა დაისახა მიზნად, არამედ 60000 ტყვე სპარსეთში გაიტაცა და საქართველოში თავისი გავლენა გააძლიერა. მხოლოდ რელიგიისადმი, თავისუფლებისა და საკუთარი პრინციპებისადმი ერთგული ადამიანების დამსახურებაა, რომ საქართველომ ზნეობრივი დამოუკიდებლობა შეინარჩუნა, რაც მომავალში ქვეყნის აღორძინების იმედს იძლეოდა.

ტახტიდან ჩამოგდებული თეიმურაზი სულთანსა და რუსეთის მეფეს – მიხეილ ფიოდოროვიჩს ამაოდ სთხოვდა დახმარებას. საქართველომ თავისი მხსნელი ისევ ამ ნგრევის გამომწვევ სააკაძეში ნახა. მტრების დამანგრეველი თავდასხმების შედეგის შემყურე სააკაძეს საშინელი დანაშაულის გრძნობა გაუჩნდა. ყველაზე მეტად ლუარსაბის სასტიკი მკვლელობა აწუხებდა. იმ დროს რამდენიმე ქართველ თავადს ირანელი სარდლის, ყორჩიხა-ხანის, კარავში ყელი გამოსჭრეს.

საკაძემ ამ შემთხვევით ისარგებლა, ხალხი აამხედრა და აჯანყებისაკენ მოუწოდა. ირანელების ჯარი სრულიად გაანადგურეს, ხოლო ყორჩიხა-ხანს მოურავმა თავად მოჰკვეთა თავი. ქართლი და კახეთი გათავისუფლდა. ქართლის მმართველობა


12. იმ დროს მაცხოვრის კვართთან დაკავშირებით ცრუ ინფორმაცია თვით შაჰმა გაავრცელა. მაცხოვრის კვართის მოსკოვში წაღებას რუსული საისტორიო წყაროები იხსენიებს – რედ.


მუხრანის ერთ-ერთ თავადს, ქაიხოსროს მიანდეს, თეიმურაზი კი კახეთის სამეფო ტახტზე აღდგენილ იქნა. ოდესღაც ხალხის უბედურების გამომწვევი სააკაძე ეროვნული გმირი და ქვეყნის მოწინავე პიროვნება გახდა. მას „სამშობლოს მამა“ უწოდეს; ეკლესიებში ხალხი ლოცვებში ღმერთს მის დღეგრძელობას შესთხოვდა. სააკაძის დიადი საქმეებით მოხიბლული არისტოკრატია მისი ერთგული თანამებრძოლი გახდა.

სააკაძის გული მხოლოდ სამშობლოს სიყვარულით იყო სავსე. მას ტანჯვისა და უცხოელთა თავდასხმებისაგან ქვეყნის სამუდამო და სრული გათავისუფლების სურვილი ამოძრავებდა. ირანის შაჰმარგორც კი სააკაძის ღალატისა და თეიმურაზის მეფობის აღდგენის ამბავი შეიტყო, მოურავის ოჯახის წევრებს ყელი გამოსჭრა. მის ვაჟს თავი მოჰკვეთეს, ხოლო დედოფალი ქეთევანი, თეიმურაზის დედა, აწამეს, როგორც ზევით იყო აღწერილი. გარდა ამისა, შაჰმა საქართველოში ძლიერი ჯარი გააგზავნა. სააკაძე მას შეერკინა და გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო ბრძოლა წააგო. მან შაჰისათვის ომის გამოცხადების გადაწყვეტილება მიიღო და სპარსელების მიმართ ისეთივე სისასტიკე გამოიჩინა, როგორც მათ ქართველების მიმართ. მაგრამ სააკაძის მძიმე წარსული, მცირედი მარცხის შემდეგ, მის დიად საქმეებს ჩრდილს აყენებდა და ხალხში უნდობლობას იწვევდა. მასში ყველა უბედურების სათავეს ხედავდნენ. მიუხედავად მეორე, ქსნის, ბრძოლაში დამარცხებისა, რამაც ხოსრო-მირზას ტიფლისისაკენ გზა გაუხსნა, სააკაძე სამშობლოს გათავისუფლების იმედს არ კარგავდა. მან იმერეთთან, სამეგრელოსთან და არაგვის ერისთავთან დაამყარა კავშირი და თურქებს სთხოვა დახმარება.

მისი დიდების ვარსკვლავი ოსების წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ კიდევ ერთხელ გაბრწყინდა. ამასთანავე, ხალხი სულ უფრო და უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ სააკაძე სპარსელებს ვერ აჯობებდა. თავადების მიერ მიტოვებული და ბაზალეთის ბრძოლაში დამარცხებული მოურავი კონსტანტინოპოლში გაიხიზნა. აქ მისი სახელი კვლავ გახმაურდა მთელ აღმოსავლეთში და სწორედ ეს დიდება მისი დაღუპვის მიზეზი გახდა.

ვეზირ აზამატის მეუღლე ქმარს კონსტანტინოპოლის სიახლეების შესახებ სწერს: „ვინ არის ის სახელგანთქმული პიროვნება, რომელიც შენს სახელს შეურაცხყოფს?“ გაღიზიანებულმა ვეზირმა სააკაძე თავისთან მიიწვია და თავი მოჰკვეთა (1629).





## მეფე ვახტანგ VI

საქართველოს ოქროს ხანა სამი საუკუნის განმავლობაში გრძელდება: მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეებში. ეს ის პერიოდია, როდესაც ბაგრატიონების დინასტია სამეფო ტახტზე საბოლოოდ დამკვიდრდა. მონღოლების, თურქებისა და სპარსელების გამანადგურებელი თავდასხმების შემდეგ საქართველოსთვის პოლიტიკური აღორძინების პერიოდი (XVIII საუკუნე) – მეფე ერეკლე II-ის (1744-1798), ხოლო ინტელექტუალური აღორძინების ეპოქა მეფე ვახტანგ VI-ის (1675-1737) დროს დადგა. ამ უკანასკნელმა, სამწუხაროდ, სიცოცხლის დიდი ნაწილი ტახტისა და სამშობლოსგან შორს გაატარა. ამ ბოლო მეფის ცხოვრება სპარსეთის იმპერიის მიმართ ქართველ მეფეთა დამოკიდებულების სურათს თვალნათლად აღწერს. ბავშვობიდან გარდაცვალებამდე, ბედისწერით, მან ცხოვრება – ხან საქართველოში, ხან – თურქეთში, ხან – სპარსეთში, საბოლოოდ კი რუსეთში გაატარა. თხუთმეტი წლის ასაკში იგი ბიძამ, ქართლის მეფე გიორგი XI-მ სპარსეთში მძევლად გაგზავნა. სამშობლოში დაბრუნებულმა ერეკლე I-ის წინააღმდეგ (ნაზარ-ალი-ხან), რომელიც შაჰის მიერ ქართლის, აღმოსავლეთ საქართველოს, მმართველად იყო დადგენილი, შეთქმულებაში მონაწილეობა მიიღო. აჯანყების მიზანი,

გიორგი XI-ის სამეფო ტახტზე აღდგენა, ვერ იქნა მიღწეული და ვახტანგი იმერეთში გაიხიზნა, სადაც 1684 წელს რუსუდანზე, ჩერქეზი მეფის ქალიშვილზე, იქორწინა. ნაზარ-ალი-ხანმა გამარჯვება იზეიმა და გიორგი XI-ს (გურჯი-ხანი) ავღანელებისა და ბელუჯების ამბოხების ჩახშობა დაავალა. ყანდაღარში მშვიდობის დამყარებისათვის გურჯი-ხანმა ქართლის ტახტი მიიღო, რომელიც ნაზარ-ალიხანის გადაყენების შემდეგ ვახტანგ VI-ს, ლევანის ვაჟს (1703), ეკავა.

ქართლის ახალგაზრდა მეფე (ის მაშინ ოცდარვა წლის იყო), მისი მაჰმადიანური სახელია ჰუსეინ-ყული-ხანი, ქვეყანას ენერგიულად მართავდა. მისმა მეფობამ მხოლოდ რვა წელს გასტანა (1703-1711), მაგრამ ამ ხანმოკლე პერიოდში ქვეყნის განვითარებაში გაცილებით მეტ პროგრესს მიაღწია, ვიდრე მისმა წინამორბედებმა: თბილისში დააარსა პირველი სტამბა, სადაც რელიგიური და საერო წიგნები დაიბეჭდა; უცხო ენებისა და აღმოსავლური ლიტერატურის შესანიშნავ მცოდნეს, თავადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა იმდროინდელ მწერლობაში; სახელი გაითქვა როგორც მთარგმნელმა და მრავალი ნაშრომის ავტორმა; პირველმა შეადგინა საქართველოს ისტორიის შესახებ თხზულებათა კრებული და საკანონმდებლო კოდექსი, რომელშიც უძველესი დროის საქართველოს კანონები და ადათ-წესები გააერთიანა; აღადგინა ადმინისტრაციული წესრიგი და დაადგინა გადასახადები („დასტურლამა“).

ვახტანგმა თავის ძალაუფლებას იმერლები და კახელები დაუქვემდებარა („ქართლის ცხოვრება“, II, 71) და მათ შიდა საქმეებში წესრიგი დაამყარა, ლეკებისა და ოსების თავდასხმებისაგან დასაცავად დაშალა ის ციხე-სიმაგრეები, სადაც მტრები იყვნენ

დაბანაკებულნი („ქართლის ცხოვრება“, II, 77).

ვახტანგის ჭკვიანური მმართველობა ქართველი ხალხის კეთილდღეობაზე აისახა. სამწუხაროდ, იგი ტახტზე ცოტა ხანს დარჩა. შაჰმა მას „მეფის“ უმაღლესი ნოდება უბოძა და სპარსეთის ჯარების სარდლად დანიშნა (1712).

შაჰის ბრძანებები ყოველთვის წინააღმდეგობის განწვევის გარეშე სრულდებოდა. მეფეები ტახტს ცოცხებდნენ და ქვეყანა გაურკვეველ ვითარებაში ბედის ანაბარა რჩებოდა. ვახტანგი დაუყოვნებლივ შაჰის სასახლეში წარდგა, სადაც მისი ნოდების შესაბამისად მიიღეს. მოკავშირესთან უფრო მყარი ურთიერთობის დამყარების მიზნით, მას ისლამის აღიარება შესთავაზეს. ვახტანგს არ უნდოდა ქრისტიანული რელიგიის უარყოფა, რის გამოც მის ცხოვრებაში დაწყებული უბედურება სიცოცხლის ბოლომდე არ დასრულებულა. პირველ რიგში, შაჰმა მეფობა ჩამოართვა და მის ძმას, ღრმადმორწმუნე მუსულმან, იესეს, ალი-ყული-ხანად ნოდებულს, გადასცა.

ახალი მმართველის მხრიდან დევნის შიშით, ვახტანგის ოჯახი იმერეთში გაიხიზნა. ტახტის გარეშე დარჩენილი მეფე შაჰმა ირანიდან ქირმანში გადაიყვანა, ვინაიდან იგი ჯერ კიდევ საშიში იყო იესესთვის. იესე კი მისი აღვირახსნილობის გამო ხალხს არ უყვარდა.

რენეგატი იესეს მეფობა ხანგრძლივი არ ყოფილა. სამი წლის შემდეგ, ლეკების სასტიკი შემოსევისას, მისი უნიათობით გალიზიანებულმა შაჰმა ჰუსეინმა მეფობის უფლება ჩამოართვა და ქართლის სამეფო ტახტზე ისევ ვახტანგი დაამტკიცა. ვახტანგმა „ითვალთმაქცა“, თითქოს მუსულმანური რწმენა მიიღო. როგორც მან 1718 წელს ვოლინსკის, ირანში რუსეთის ელჩს, თავად მისწერა: თუკი მან უარი თქვა

ქრისტეს მოძღვრებაზე, ეს არა დიდებისა და ამქვეყნიური კეთილდღეობისათვის, არამედ მხოლოდ მისი ოჯახის ციხიდან დასახსნელად. და თუ იგი საზარელი მუსულმანური კანონის მიღებაზე დასთანმხდა, სულით ხორცამდე მაინც ქრისტიანი რჩებოდა და იმედოვნებდა, რომ რწმენას მისი უდიდებულესობის, იმპერატორის, დახმარებით დაიბრუნებდა.

შაჰის ბრძანებით, ვახტანგს, ჰუსეინ-ყული-ხანს, ერთდროულად საქართველოს მეფის ღირსება და ირანისა და თავრიზის სპასალარის (ჯარის მეთაურის) წოდება ჰქონდა. ამის გამო იგი იძულებული იყო, ირანში დარჩენილიყო და რეგენტობა მის ვაჟს, ბაქარს, მიანდო, რომელსაც არ აღმოაჩნდა უნარი, ლეკების თარეში შეეჩერებინა. ვახტანგმა შაჰისაგან საქართველოში დაბრუნების თანხმობა მიიღო, რათა იქ წესრიგი აღედგინა და სასწრაფოდ საქმეს შეუდგა, მოწინააღმდეგეები მკაცრად დასაჯა, მოკლე ხანში მთიელები მოარჯულა, თუმცა თავდასხმების საბოლოოდ აღკვეთა ვერ შეძლო.

ვახტანგის ჯერ კიდევ არამყარი ძალაუფლება და მთიელებზე მცირე გავლენა უფრო შესუსტდა რუსეთსა და ირანს შორის კონფლიქტში მისი ჩარევის გამო.

პეტრე დიდს დიდი ხნის განმავლობაში კასპიის ზღვის სანაპიროსკენ ეჭირა თვალი, სადაც რამდენიმე სავაჭრო პორტის მოწყობა უნდოდა.

გაუთვალისწინებელმა შემთხვევამ მეფის მშვიდობიანი სურვილის ასრულებას ხელი შეუშალა. 1722 წელს ლეკებმა დააყაჩაღეს და დაარბიეს ქალაქი შემაქა, რომელსაც რუსეთის ვაჭრობისათვის უკვე საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რუსი ვაჭრების მიერ მიღებულმა ზარალმა, დადასტურებულმა ირანში რუსეთის ელჩ, ვოლინსკის მიერ, მეფეს გა-



დააწყვეტინა, იარაღისათვის მიემართა.

იმპერატორი დაუკავშირდა ვახტანგს (1718 წ.), ირანის ჯარის სპასალარს, რომელმაც ქართველი ფარსადან-ბეგის ჩარევით ვოლინსკისთან მოლაპარაკება გამართა და მას სპარსელების წინააღმდეგ სამოქმედო გეგმა შესთავაზა.

1721 წლის აგვისტოს თვეში ვოლინსკი იმპერატორს სწერდა:

„ქართველმა თავადმა<sup>13</sup> (ვახტანგმა), მოგემართა თხოვნით მის დას და მე, გადმოგცეთ თქვენს უდიდებულესობას ალიანსის მისეული გეგმა, რათა დავამარცხოთ ქრისტიანობის საერთო მტერი და მიუთითებს ამის საშუალებებს:

1. თქვენმა უდიდებულესობამ შეიყვანოს საქართველოში ხუთი ან ექვსი ათასი ადამიანი, რათა გააძლიეროს ამ ქვეყნის საჯარისო შენაერთი, რადგან იგი ამჩნევს უთანხმოებას ქართველ არისტოკრატთა წრეებში და თუ თქვენ გამოგზავნით ჯარებს, სხვადასხვა მხარე ვალდებული იქნება შეთანხმდნენ თავის მხრივ.

2. რათა უზრუნველყოთ ის თქვენი მოკავშირეობით, დაგჭირდებათ, გააგზავნოთ დესანტი –10000 ადამიანი, ან მეტი, რომ ჩამოართვათ სპარსელებს დარუბანდი ან შემაქა, რის გარეშეც რთული იქნება ომის დაწყება.

3. იგი აგრეთვე გთხოვთ, თქვენო უდიდებულესობავ, თერგზე ციხე-სიმაგრის აშენებას, ყაბარდოსა და კოზაკ გრებენსკის შორის და იქ რუსული გარნიზონის განთავსებას, რათა გამარტივდეს და დაცუ-

13. როგორც შემდგომში იხილავთ, ვახტანგი მეტად უკმაყოფილო იყო მისი ასეთი ფორმით ხსენებით და სურდა რა რუსეთის ხელისუფლები-სადმი დაემტკიცებინა, რომ სხვა უცხო ქვეყნები მას უწოდებენ „მეფეს“, ხელი მოაწერა „ვახტანგ, აღმოსავლეთ იბერიის მეფე“ (იხ. მიმონერა, 22).

ლი იყოს ურთიერთობა საქართველოსთან“.

ვოლინსკის აზრით, ვახტანგის მიერ მოყვანილი მიზეზები „არ არის უსაფუძვლო“.

ვახტანგი ამ რჩევებითა და მისაღები ზომების განმარტებით არ კმაყოფილდება და მის სუზერენს ღიად უპირისპირდება. იგი რუსეთს უკავშირდება და იმპერატორს ჰპირდება, რომ თუ ირანის წინააღმდეგ ომის დაწყებას გადაწყვეტს, ბრძოლის ველზე 30-დან 40 000-მდე მეზობლს გაიყვანს და ისპაჰანამდე მივა.

ვახტანგის და ვოლინსკის არგუმენტებმა, რაც ემყარებოდა იმპერატორის სწრაფვას, თურქებისთვის კასპიისპირეთში გამაგრებაში ხელი შეეშალა, პეტრე დიდს 1722 წლის ზაფხულში ირანის წინააღმდეგ ომში ჩაბმა გადაწყვეტინა.

იმპერატორის გავლენამ ჩრდილოეთ კავკასიაში მისი წარმატება უზრუნველყო. ტარკისა და აქსაის მმართველები მას მაშინვე დაემორჩილნენ.

მაგრამ დარუბანდის ალების შემდეგ იგი უკან დაბრუნდა და (მდინარეებს – არგოლანსა და სოლახს შორის) დაიწყო ქალაქის (წმინდა ჯვარი) მშენებლობა, რომელსაც რუსეთის საზღვრები უნდა დაეცვა ძველი ციხე-სიმაგრე ტერკის ნაცვლად, რომელიც მოუხერხებელი იყო. ვახტანგისათვის იმპერატორის უკან დახევა მოულოდნელი აღმოჩნდა. მათ რუსეთის ჯართან შეხვედრა ბაქოსა და დარუბანდს შორის ჰქონდათ დათქმული. რუსეთის მოკავშირეობის იმედით ვახტანგმა შაჰს, თავის სუზერენს, უღალატა და რუსეთთან მეგობრობის სანაცვლოდ თურქებთან ალიანსზე უარი თქვა. პეტრე დიდმა, რომელიც შემაქასა და დარუბანდში მიიღეს, ქალაქი დატოვა, რადგან საკმარისი აღჭურვილობა არ ჰქონდა და ასტრახანში დაბრუნდა. ქართველები მით უფრო ნუხ-

დნენ, რადგან დარუბანდიდან გამოსვლის წინა დღეს რუსეთის მეფეს შეატყობინეს, რომ 30 000 ჯარისკაცის თანხლებით მტკვრის ნაპირზე დაბანაკებული ვახტანგი დანიანურებისათვის შემაქაში რუსეთის ჯარის მოსვლას ელოდებოდა (ბუტკოვ I, 30.). პეტრე დიდმა მოსალაპარაკებლად ვახტანგს ლეიტენანტი ტოლსტოი გაუგზავნა, რათა მას შაჰი დაერწმუნებინა, რუსეთისთვის კასპიისპირეთი და ყველა ქრისტიანული ტერიტორია დაეთმო. კომპენსაციის სახით პეტრე დიდი მას სპარსეთის წინააღმდეგ რუსეთის მხარდაჭერას ჰპირდებოდა. ტიფლისში ჩასვლისას, ნოემბერს, ტოლსტოიმ იმპერატორს შეატყობინა, რომ ვახტანგი იქ არ იმყოფებოდა და სამეფოს მისი ვაჟი ვახუშტი მართავდა. იმპერატორის ნასვლით იმედგაცრუებულმა ვახუშტიმ ტოლსტოის განუმარტა, რომ, ერთი მხრივ – შაჰის მოსალოდნელი რისხვა, მეორე მხრივ კი, რუსეთთან კავშირის გამო თურქების გადამტერება ელოდათ. თუ ქართველები პორტის მეგობრულ წინადადებას კვლავ უარყოფდნენ, ერზერუმის ფაშა, სულთანის განკარგულებით, უკვე ქვეყნის ორგზის ანიოკებით იმუქრებოდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ შაჰმა რუსეთის იმპერატორთან მეფის ურთიერთობის შესახებ იცოდა, ტიფლისში დაბრუნებული ვახტანგი ფარხმალს არ ყრიდა და ნებაყოფლობით დასთანმხდა, შეესრულებინა იმპერატორის დავალება შაჰთან საუბართან დაკავშირებით.

შედეგად, ვახტანგს, როგორც სუზერენის მოლატეს, მეფობა ჩამოართვეს (1723 წლის 30 იანვარი). ტიფლისში შაჰის განკარგულება გამოიცა ქართლის სამეფო ტახტის კახეთის მეფისათვის გადაცემის შესახებ. კახეთის მეფე მაშინვე ტიფლისში ჩავიდა, მაგრამ ვახტანგმა მისთვის სამეფო ტახტის

დათმობა არ მოინდომა, ბრძოლა გააჩაღა, მაგრამ დამარცხდა და სამეფო ტახტიც, ხალხის ნდობაც და მოკავშირეების მხარდაჭერაც დაკარგა. თურქებმა საქართველოს დიდი ნანილი დაიკავეს. ვახტანგმა ტიფლისი დატოვა და მთებში გაიხიზნა, სადაც თავშესაფარი რუსეთის წარმომადგენელ ტოლსტოისთან ერთად იპოვა. პეტრე დიდმა ვახტანგის დასახმარებლად ბრძანება გასცა. ასტრახანიდან საქართველოში დრაგუნთა შენაერთი გაიგზავნა, მაგრამ უკვე საჭირო აღარ იყო, რადგან მთელ საქართველოში თურქებისა და სპარსელების ძალაუფლება ბატონობდა.

საბოლოოდ, 1724 წელს, მეფე ვახტანგი, რომელიც 1723 წლიდან იმერეთში იმყოფებოდა, იმპერატორმა რუსეთში მიიწვია<sup>14</sup>. მან ადგილობრივ ხელისუფალს უბრძანა, ყველა ზომა მიეღოთ მისი უსაფრთხო მგზავრობისთვის.

ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ შეიძლებოდა ვახტანგი ეკატერინე I-ის მთავრობას დახმარებოდა. საჯარისო შენაერთების შესანახად უზომოდ დიდი დანახარჯისა და არასასურველი კლიმატის გამო 1726 წელს რუსეთის ხელისუფლებამ სპარსეთის საქმეებში ყოველგვარი ჩარევის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო. იგი ჯარებს სპარსეთის პროვინციებიდან გამოიყვანდა იმ პირობით, თურქების მიერ თუ არ იქნებოდა დაკავებული.

ვახტანგს ტაგმასპე შახთან მოლაპარაკება დაევალა. „მისი გამოცდილებისა და უნარის წყალობით, ამ მხარეში მისი დამსახურებისა და პრესტიჟის, მისი ენთუზიაზმისა და კეთილგანწყობის გათვალისწინებით რუსეთის ინტერესების მიმართ“, ყველგან

14. ქართველი მეფეების მიმოწერა რუსეთის მეფეებთან 1659-დან 1770-მდე. (სანკტ-პეტერბურგი 1861), გვ. LXXV-LXXIX. ბუტკოვი, C.L.,p.51.

და ყოველთვის მისი ოჯახის მფარველობას დაჰპირდნენ. ვახტანგი რუსეთის ჯარის გენერალ ვასილ დოლგორუკის თანხლებით სპარსეთში გაემგზავრა. ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად, რუსმა და ირანელმა მინისტრებმა, ვახტანგის მონაწილეობით, ისმაილ ბეგის მიერ შეთავაზებული ხელშეკრულება მიიღეს, რომლის მიხედვითაც, რუსეთი დარუბანდს, ასტრახატს და ხელშეკრულებაში მითითებულ ყველა სამფლობელოს მიიღებდა.

1722 წელს ვახტანგი პეტერბურგში გააგზავნეს<sup>15</sup>. მან იმპერატორთან საქართველოს თურქებისაგან დასაცავად შუამდგომლობა განაახლა. თურქები ქვეყნის დარბევას, მონასტრების ძარცვას შეუდგნენ ხელახლა. ისინი მოსახლეობას რელიგიის უარყოფას და ისლამის მიღებას აიძულებდნენ. ვახტანგი ვიცე-კანცლერ ოსტერმანის მეშვეობით შეჭირვებულ სამშობლოში ერთ-ერთი ვაჟის გაგზავნას ითხოვდა, რომელიც შეძლებდა, ამ უბედურებისათვის ბოლო მოელო, ვინაიდან ქვეყანას ენერგიული მმართველი არ ჰყავდა.

გენერალმა ლევაშოვმაც იმპერატორს შეატყობინა, რომ დევნილი ქართველები, რომლებიც მის სამფლობელოს, წმინდა ჯვრის მონასტერს, აფარებდნენ თავს, იმპერატორს ევედრებოდნენ, მათთან „ქართველი მეფის შვილი“ გაეგზავნა, რათა იმ ტერიტორიების, რომელიც ჯერ თურქების ხელში არ იყო, შენარჩუნება და დაცვა მოეხერხებინა.

რუსეთის მთავრობამ სპარსელებისა და თურქების წინააღმდეგ მოქმედება მიზანშეწონილად მიიჩნია: საქართველოს სამეფო ტახტზე ვახტანგის, ან მისი შვილის აღდგენა და ყველა შესაძლო საშუა-

15. ვახტანგ VI რუსეთში 1724 წელს გაემგზავრა – რედ.

ლებით მხარდაჭერა, გარდა რუსული ჯარის გაგზავნისა, რათა თურქეთთან მშვიდობიანი ურთიერთობა არ შეეწყვიტათ.


1734 წლის 1 მაისს, მისი უდიდებულესობა, იმპერატორის დეკრეტის თანახმად, ვახტანგი და მისი ვაჟი კავკასიაში გაემგზავრნენ. ტიფლისში ჩასვლისთანავე ასამბლეამ დეკრეტი გამოსცა, რომლის თანახმადაც, 1736 წელს კვლავ იძულებული გახდნენ, რუსეთში დაბრუნებულიყვნენ. ამასობაში თურქები და სპარსელები როგორც ქართლში, ისე კახეთში, საქართველოს განადგურებას განაგრძობდნენ.

კახეთის მეფემ თეიმურაზ II-მ ნიკოლოზის ძემ, იმპერატორს მის ქვეყანაში არსებული სავალალო მდგომარეობის შესახებ შეატყობინა და თხოვნით მიმართა, მისთვის დახმარების მიზნით იქ ქართველი თავადი, ვახტანგის შვილი, სარდალი ბაქარი გაეგზავნა. ამ უკანასკნელმა, გრაფ ოსტერმანის შუამდგომლობით, იმპერატორისთვის თხოვნა განაახლა, რათა ქართველებისთვის დახმარება გაენია „დენტით, ტყვიითა და ფულით. სანაცვლოდ კი სამსახურს ჰპირდებოდა, მისი მტრების წინააღმდეგ ებრძოლა და მეგობრულად მხარში ამოსდგომოდა“.

მაგრამ საქმე, სრულიად მოულოდნელად სხვაგვარად შეტრიალდა. განჯის დეკრეტის თანახმად, რუსეთმა სპარსეთს ბაქო, დარუბანდი და ყუბანის სახანო დაუთმო. მანაც წმინდა ჯვრის ციხე-სიმაგრის ევაკუაცია მოახდინა და გარნიზონი თერგის მარცხენა ნაპირზე ახლად აშენებულ ყიზლარის ციხეში გადაიყვანა.

ქართველი მწერლების თხოვრებების თანახმად, ვახტანგი ასტრახანში ჩავიდა. გადაეწერა იმედი, რომ ოდესმე ნახავდა სამშობლოს და გარდაცვალებამდე იქ ცხოვრობდა. ვახტანგი ტაძარში დაიკრძა-

ლა (25-27 მარტი 1737)<sup>16</sup>. მისი გარდაცვალებითა და უიმედობით გამოწვეული ღრმა მწუხარება, განცდები ასახულია ვახტანგის თანამედროვისა და მეგობრის, დავით გურამიშვილის, პოემაში „დავითიანი“.




---

16. 1762 წელს მეფე ვახტანგის საფლავის გვერდით დაკრძალეს მეფე თეიმურაზ II, მისი სიძე.



**ბაგრატ II**





## ნარკვევები საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის შესახებ (XVI-XVII საუკუნეები)

სპარსელების, თურქებისა და მთიელების წნეხის ქვეშ მყოფმა საქართველომ ერთმორწმუნე რუსეთს დახმარებისათვის არაერთხელ მიმართა. წმინდა საყდრის მისიონერებმა, დახმარების მიზნით, თავიანთ წინამძღოლებს მრავალჯერ მოახსენეს გასაჭირში მყოფი ქართველებისა და ურჯულოთა მიერ განადგურებული ტაძრების შესახებ და მათი მხარდაჭერა სთხოვეს. ქართველი ელჩები, სამეფოების თავისი სამშობლოთი დაინტერესების მიზნით, იტალიაში, საფრანგეთსა და პოლონეთში იმყოფებოდნენ, მაგრამ დასავლეთი ევროპა საქართველოდან ძალიან შორს იყო, რათა უფრო ეფექტური შველა უზრუნველყო, ვიდრე მორალური მხარდაჭერა და რელიგიური ნუგეშისცემა. საქართველოს უახლოესი მეზობელი ერი რუსეთი იყო, რომლის ტერიტორია მეთვრამეტე საუკუნეში კავკასიის ჩრდილოეთ ფერდობებამდე ვრცელდებოდა. თუმცა, თოვლიანი ციცაბო მთები და მეზობლებთან ხშირი ომები ხელს

უშლიდა მას, საქართველოს საქმეებში ჩარეულიყო.

ისტორიული მოვლენების წიაღში დადგა დრო, როდესაც რუსული ჯარი ამიერკავკასიაში შევიდა, რათა მოსახლეობა დაუსრულებელი თავდასხმებისა და უცხოელთა შემოსევებისგან დაეცვა.

საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის დასაწყისი მეცხრე-მეათე საუკუნეებით თარიღდება.

მეთორმეტე საუკუნეში უფლისწული იზიასლავ მსტისლავოვიჩი „აბაზ“ ქალიშვილზე (აფხაზეთიდან) დაქორწინდა, მეფე დიმიტრი I-ის (1125-1154) ასულზე. მისი შვილთაშვილი, დედოფალი თამარი (1184-1212), სასულიერო პირების და მთავრების რჩევით, ანდრეი ბოგოლიუბსკის ძეზე, უფლისწულ გიორგიზე დაქორწინდა, მაგრამ ეს უიღბლო ქორწინება გამოდგა. რამდენიმე წლის შემდეგ გიორგი კონსტანტინოპოლში წავიდა, ხოლო საქართველო სამუდამოდ 1196 წელს დატოვა.

მონღოლების მიერ რუსეთის დაპყრობის შემდეგ მისი ურთიერთობა საქართველოსთან შეწყდა.

მეცამეტე საუკუნიდან მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე ამ ურთიერთობის შესახებ მხოლოდ ერთი ცნობა გვაქვს, რომელიც დიდი მთავრის – ივანე III-ის (1491-1492) მმართველობის პერიოდს მიეკუთვნება.

ყაზანისა და ასტრახანის სამეფოების დაცემის შემდეგ ურთიერთობები განახლდა. ამჯერად კონსტანტინოპოლი თურქებმა აიღეს და „მესამე რომის“ ტიტულმა მოსკოვისკენ გადაინაცვლა, რომელსაც საქართველოს მეფემ<sup>17</sup> 1557 წელს დახმარებისათვის მიმართა.

1567 წელს კახთა მეფე ლევანი ივანე IV-ემ მიიღო. თეოდორისა და ბორისის მეფობის დროს ურთიერ-

17. იგულისხმება კახეთის მეფე ლევანი (1518-1574) – რედ.

თობამ თითქმის მუდმივი ხასიათი მიიღო: რუსი და ქართველი მეფეები ელჩებს ცვლიდნენ და მდიდრულ საჩუქრებს უგზავნიდნენ ერთმანეთს.

თუმცა, საქართველოს მტრებისაგან გაათავისუფლების დაპირებები წარუმატებელი აღმოჩნდა, მეფე ალექსანდრეს წარმომადგენელი, არქიმანდრიტი კირილე და მდივანი საბა მეფე ბორისს ამის თაობაზე კიცხავენ.

მეფე ბორისმა პირობა დადო, რომ საქართველოს მტრებისაგან გაათავისუფლებდა. ამავდროულად, შაჰმა საქართველო მეორედ დაიპყრო, მთელი მოსახლეობა შეურაცხყო, ეკლესიები დაანგრია, ტაძრები გაძარცვა და ქართველი ხალხის სათაყვანო წმინდა რელიკვიები გაანადგურა. განმათავისუფლებელი რუსული ჯარის დახმარების ნაცვლად, ეს ურთიერთობა რუსულ და ქართულ სამეფო ოჯახებს შორის ქორწინების შეთავაზებით შეიცვალა.

რუსეთის ელჩები ტატიშჩევი და ივანოვი, რომლებიც მათი სუვერენის – ბორისის სახელით მოქმედებდნენ, ქართველ თავადის ასულებსა და ვაჟებს შორის მეფის ასულ ქსენია ბორისოვნასათვის – საქმროს, ხოლო მისი ძმისათვის პატარძალს ეძებდნენ.

მეფე ვახტანგი დასთანხმდა, რომ მისი ქალიშვილი ელენე უფლისწულს გაჰყოლოდა, მაგრამ სრულწლოვნებამდე თავისთან დატოვა. ბორისი მალევე გარდაიცვალა. მოსკოვში დაწყებული არეულობების გამო მოლაპარაკება საქართველოსთან მეგობრობისა და ალიანსის შესახებ კვლავ შეჩერდა და მხოლოდ მეფე მიხეილის გამეფების შემდეგ განახლდა. მეჩვიდმეტიდან მეთვრამეტე საუკუნემდე ქართველმა მეფეებმა რუსეთთან ერთგულების ფიცი არაერთხელ დადეს, მაგრამ სწორედ ერეკლე II-ის (1781-1793) მეფობის დროს<sup>18</sup>, რუსების

18. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1762-1798) – რედ.



უფლისწული დავითი

ბატონობა კავკასიაში გაძლიერდა. ერეკლე ჭეშმარიტად დიდებული მეფე იყო. უბადლო წინამძღოლმა საქართველოს ბედნიერი დღეები აჩუქა. იმისათვის, რომ საგარეო კუთხით მშვიდობა დაემყარებინა, ქართლისა და კახეთის მეფე ერეკლე II-მ, რომელმაც თურქების წინააღმდეგ კამპანიაში 1783 წელს რუსეთს მხარი დაუჭირა, იმპერატორ ეკატერინე II-სთან შეთანხმება დადო<sup>19</sup>, რომლის თანახმად, რუსეთის ვასალი გახდებოდა შემდეგი უფლებების შენარჩუნებით: საქართველოს ტახტზე ბაგრატიონების დინასტიის მმართველობა, კათალიკოსის მეთაურობით ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა, ფულის მონეტების მოჭრა და დამოუკიდებელი შიდა ადმინისტრაცია.

ამ აღიანსმა მუსულმანური სახელმწიფოები და მთიელები, რომლებიც საქართველოს რიგ-რიგობით არბევდნენ, შეაშფოთა. სპარსეთის მრისხანე შაჰმა ალა-მაჰმად ხანმა, ადილ-შაჰ ავშარის მიერ დასაჭურისებულმა, საქართველოს სამეფოს განადგურებით (1795) ერეკლეზე სასტიკად იძია შური. საქართველო ჯერ კიდევ ამ უბედურებიდან გამოსული არ იყო, როდესაც მეფე ერეკლე გარდაიცვალა (1798). ხალხის მეხსიერებაში, რომელმაც მას კავკასიის გმირი უწოდა, ერეკლემ დაუვიწყარი კვალი დატოვა.

1783 წლის ტრაქტატის მესამე მუხლის თანახმად, ერეკლეს ძე გიორგი XII სამეფო ტახტზე იმპერატორ პავლეს დასტურით ავიდა, ხოლო მისი ვაჟი დავითი მემკვიდრედ იყო აღიარებული. შიდა უთანხმოება, რომელიც ყოველთვის მოჰყვება გვირგვინის მემკვიდრის დასახელებას, გიორგი XII-ს ავადვადებულედა, იმპერატორ პავლესათვის ეთხოვა, რომ მისთვის და მისი მემკვიდრეებისთვის მეფობა და

19. იგულისხმება რუსეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში დადებული „სამეგობრო შეთანხმება“ – რედ.

ტახტი შეენარჩუნებინა და სანაცვლოდ თანახმა იყო, 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებული მეფის უფლებები შეეზღუდათ.

გიორგი XII-ის ეს სურვილი არ შესრულებულა და ალექსანდრე პირველის მეფობის დროს, 1801 წლის 12 სექტემბერს, მოხდა საქართველოს ანექსია.

გენერალ-ლეიტენანტი კნორინგი ქვეყნის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა. მამის სურვილისა და 1783 წლის ტრაქტატის თანახმად, რუსეთის იმპერატორის მიერ მეფედ აღიარების მოლოდინში მყოფი უფლისწული დავითი რუსეთში გაიგზავნა<sup>20</sup>.

ალექსანდრე I-ის მანიფესტში საკმარისად თვალნათლივ არის ასახული საქართველოს სამეფო ტახტის დამხობის მიზეზები: „შექმნილმა გარემოებებმა და ხალხის ხმამ გადაწყვეტილება მიგვალებინა, არ მიგვეტოვებინა და არც გამანადგურებელი თავდასხმებისათვის გაგვემეტებინა ერთმორწმუნე ერი, რომელმაც, ხელშეკრულების გზით, მისი ბედი მძლავრ რუსეთს მიანდო“.

სენატში, იმპერატორის ბრძანებით, საქართველო რუსეთის პროვინციად გამოცხადდა, ხუთ გუბერნიად დაიყო, რომელთა მმართველობა გუბერნატორს, სარდალ კნორინგ II-ს, დაევალა. ერთი წლის შემდეგ იგი გენერალ ციციანოვმა, გარუსებულმა ქართველმა შეცვალა. მისი მმართველობის დროს, 1804 წელს, სამეგრელოს მმართველი თავადი დადიანი (გრიგოლი) ასევე რუსეთის ვასალი გახდა. სამეგრელოს ბოლო მმართველი, თავადი დავით დადიანი 1853 წელს გარდაიცვალა. მას ასული სალომე და ორი ვაჟი, უფლისწულები ნიკოლოზი და ანდრია ჰყავდა. ვინაიდან ისი-

20. დავითი რუსეთში არ გაუგზავნიათ. იგი სამეფო ინვესტიტურას რუსეთის იმპერიიდან ელოდებოდა – რედ.

ნი ჯერ კიდევ სრულწლოვნები არ იყვნენ, 1857 წელს ქვეყნის მართვა მათ დედას, თავადის ასულ ეკატერინეს<sup>21</sup> დაევალა. მან საბოლოოდ, გადადგომის შემდეგ, თავისი მმართველობა რუსეთს გადასცა<sup>22</sup>. მამია გურიელმა სამხედრო ფიცი, რუსეთის არმიაში მხოლოდ 1810 წელს დადო, რის შემდეგაც გურია რუსეთს დაექვემდებარა. ამას მოჰყვა იმავე წელს რუსეთის მიერ იმერეთის ანექსია და იმერეთის სამეფოც რუსეთის პროვინცია გახდა. იმერეთის ბოლო მეფე, სოლომონი, თურქეთში გაიხიზნა, სადაც (1815 წელს) გარდაიცვალა. ამგვარად, საქართველოს სამეფო ნაწილ-ნაწილ რუსეთს უერთდებოდა. საქართველოში რუსული ენა და კულტურა ნელ-ნელა ვრცელდებოდა და მტკიცედ იკიდებდა ფეხს.

1829 წელს ტიფლისში გიმნაზია დაარსდა და იქ ამიერკავკასიის სკოლების რეგულაცია ამოქმედდა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია რუსეთის წმიდა სინოდს დაექვემდებარა; კათალიკოსის უფლებამოსილება კი რუსული წარმოშობის ეგზარქოსს გადაეცა.

1846 წელს, პაპ პიუს IX-ის გადაწყვეტილებით, რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-თან შეთანხმებით, საქართველოს, ისევე როგორც კავკასიის სხვა ქვეყნების კათოლიკეები სარატოვში, მოგილევის არქიეპისკოპოსის, ამჟამად ტირასპოლის ეპისკოპოსის, იურისდიქციას დაექვემდებარნენ.

21. იგულისხმება თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული ეკატერინე (1816-1882).


22. მან სიცოცხლეშივე მისი ქალიშვილი, სალომე, ფრანგ თავადზე, აბილ მიურატზე დააქორწინა. მათ ერთი ქალიშვილი და ორი ვაჟი ეყოლა, რომელთაგან ერთი ამჟამად საფრანგეთის სამხედრო სამსახურში მსახურობს.

\*\*\*


საქართველოს ისტორიის ამ მოკლე მიმოხილვაში თვალნათლივ ჩანს, რამდენი გადაიტანა ამ ერმა: მათი ქვეყანა მუდმივად ომის ქარცეცხლში იყო გახვეული, იძარცვებოდა და ნადგურდებოდა.

ცეცხლი და მახვილი ამ ერის ცხოვრებაში თითქოსდა სრულიად ნორმალური და ბუნებრივი მოვლენა იყო.

გასაოცარია, რომ ამ ერთმა მუჭა ხალხმა, მუდმივი არეულობის, სხვადასხვა რჯულის მომხდურთა შემოსევებისა და უცხო ქვეყნების მიერ დაპყრობის მიუხედავად, არამხოლოდ ეროვნული თვითმყოფადობა, არამედ საკუთარი რწმენა, ლიტერატურა და ენაც შეინარჩუნა; ამდენ სასტიკ დარბევასა და ძლევაშემოსილ ერებს გადაურჩა. მმართველობის სრულიად განსხვავებული სისტემით, განსაკუთრებული ფეოდალური წყობით, ყოველგვარი დაცვისა და დახმარების გარეშე, იშვიათი ძალით და სიდიადით მან მეცხრამეტე საუკუნის ზღურბლს მიაღწია და ერთმორწმუნე ძლევაშემოსილ სახელმწიფოს მიენდო იმის იმედით, რომ ქვეყანაში დაისადგურებდა მშვიდობა, რაც ამჟამად სუფევს ინტელექტუალური განვითარების და ევროპის ცივილიზაციაში წვლილის შესატანად.







## ქართული მწერლობა

### ქართული ენა

ტერიტორია, სადაც იბერიული, იგივე ქართული ენების ჯგუფი (ქართული) არის გავრცელებული, ცნობილია უძველესი დროიდან სახელწოდებით იბერია, გურჯისტანი, საქართველო (გრუზია). თავისი ისტორიის საუკეთესო პერიოდში, თამარის მეფობის დროს, საქართველოში შედიოდა ალბანეთის ნაწილი, კახეთი, ქართლი, კოლხეთი, მესხეთი და ტაო. სტრაბონის თანახმად, ქართული ტაოსკარიდან ტრაპუნამდე (ტრაპიზონი), მთელ ტერიტორიაზე იბერიული ჯგუფის ენებზე: ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ლაპარაკობდნენ. იბერიული ჯგუფის კავშირი სხვა ენების ოჯახებთან დადგენილი არ არის. ბოპი და ბროსე მათ ინდოევროპულ ოჯახს მიაკუთვნებენ, მაქს მილერი ტურანის ოჯახის შემადგენლობაში განიხილავს, ფრედერიკ მიულერმა კი იბერიული ენები დამოუკიდებელ ჯგუფს მიაკუთვნა და, გეოგრაფიული ტერმინიდან გამომდინარე მას „კავკასიური ენები“ უწოდა.

კავკასიური ენების ჯგუფი, თავის მხრივ, სამ შტოდ იყოფა: დასავლეთი მთიელების ენა, აღმოსავლეთი მთიელების ენა და იბერიული ენა, მაგრამ ნათესაური კავშირი მათ შორის არ არის დადგენილი.

ჩვენამდე მოღწეული ქართული მწერლობის ყველა ნიმუში ქრისტიანულ ეპოქას მიეკუთვნება. მათ შორის უძველესია ქსნის სახარება (პერგამენტზე), რომელიც ქართველი ფილოლოგის – დ. ბაქრაძის მიერ მეექვსე საუკუნით არის დათარიღებული.

სახარებისა და, ზოგადად, რელიგიური წიგნების თარგმანებმა ლიტერატურული ენა შექმნა, რომელიც ძველ ენასთან უფრო ახლოსაა, ვიდრე დღევანდელ სალაპარაკო ენასთან. განვითარების პროცესში, თანდათანობით, ქართულმა ენამ სხვადასხვა გავლენა განიცადა. მრავალი ტრანსფორმაციის შედეგად, თავდაპირველად ერთი ენა დროთა განმავლობაში რამდენიმე ადგილობრივ დიალექტად დაიყო, მაგალითად, გურულ-იმერული, ქართლურ-კახური, ფშავ-ხევსურული, მესხურ-ინგილოური. გარე გავლენას შორის ყველაზე დიდია ძველი სპარსული ენის გავლენა, რომლიდანაც ქართულმა ენამ ბევრი ადმინისტრაციული ტერმინი აიღო. შემდეგ მოდის საბერძნეთის გავლენა, რაც განსაკუთრებით საგრძნობი გახდა რელიგიური, თეოლოგიური და მორალის შესახებ წიგნების ქართულად თარგმნის შემდეგ. აღმოსავლეთისა და დასავლეთის სხვა ხალხებთან ურთიერთობის შედეგად, ქართულ ენაში არაბული, სომხური, თურქული და ძველი ინდური (სანსკრიტი) ენებიდან ბევრი სიტყვა გაჩნდა. უნდა აღინიშნოს რომ, ზოგადად, დასავლეთ საქართველოზე თურქეთის გავლენა მეტად იგრძნობა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოზე – სპარსეთისა. რუსების დომინირებისა და კავკასიაში ევროპული ცივილიზაციის გავრცელების შემდეგ ქართველებმა მეცნიერების, ხელოვნების, სამხედრო ხელოვნების, ადმინისტრაციის, სოციალური და ყოფითი სფეროებიდან მრავალი უცხო სიტყვა აითვისეს.

ქართული ლიტერატურა ორ განსხვავებულ ნაწილს მოიცავს: ზეპირსიტყვიერება, ანუ ხალხური ფოლკლორი და წერილობითი, ლიტერატურული ნაწარმოებები, ანუ მწერლობა.

ქართული მწერლობა ოთხ პერიოდად იყოფა: ძველი, ანუ ადრინდელი, მეხუთედან მეცხრე საუკუნემდე; კლასიკური – მეათედან მეტორმეტე საუკუნემდე, ახალი, მეცამეტედან მეთვრამეტე საუკუნემდე და თანამედროვე პერიოდი – მეცხრამეტეს დასაწყისიდან დღემდე.

ამ ოთხი პერიოდის გაცნობამდე, ქართული დამწერლობის წარმოშობაზე შევაჩეროთ ყურადღება. ქართველებს ორი დამწერლობა აქვთ: მხედრული (სამოქალაქო ანბანი) და ხუცური (საეკლესიო ანბანი). ანბანის შექმნის შესახებ ორი ვარაუდი არსებობს: საისტორიო თხზულებათა კრებულის – „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, საქართველოს პირველი მეფე ფარნავაზი ქართული ანბანის შემქმნელად მიიჩნევა (ძვ.წ. III საუკუნე), მაგრამ ჟამთააღწერა არ მიუთითებს, ეს „მხედრულია“ თუ „ხუცური“.

მეხუთე საუკუნის სომეხი ისტორიკოსები კორიუნი და მოვსეს ხორენაცი (მოსე ხორენელი), ადასტურებენ, რომ სომხური დამწერლობა მესროპ მაშტოცმა შექმნა და მასვე ქართული ანბანის შექმნას მიაწერენ. თუ კი ეს ასე იყო, ქართველი მემატრიანეები თავიანთი ერისთვის განუღებულ ასეთ სამსახურს რატომ არ აღნიშნავენ? ეს ბუნებრივია, ამ მოსაზრების სისწორეს ეჭვქვეშ აყენებს. ი.ლ. ოქრომჭედლოვმა თავის სტატიაში „ქართული ანბანის წარმომავლობა“ ისტორიული ცნობები, მესროპის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ უსაფუძვლოდ მიიჩნია და აღნიშნა, რომ რადგან მან არ იცოდა ქართული ენა, მას უცნობი იდიომების შესატყვისი ფლერადობის ნიშნების მოძებნა გაუჭირ-

დებოდა. დამსახურებული პროფესორი „მხედრულის“ ანბანური ნიშნების „ზენდურ“ ენასთან და „ხუცურთან“ შედარებისას დარწმუნდა, რომ „მხედრული“ - „ზენდური“ ანბანისაგან, ხოლო „ხუცური“ მოგვიანებით „მხედრულისაგან“ ჩამოყალიბდა.

მ. ოქრომჭედლოვის მიერ გამოტანილი დასკვნები შემდეგში მდგომარეობს:

1. ანბანური დამწერლობა საქართველოში შეტანილია ფარნავაზ მეფის მიერ, ჩვენ წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნის ბოლოს ან მესამე საუკუნის დასაწყისში.

2. „ხუცური“ (რელიგიური ანბანი) „მხედრულის“ სახეცვლილება არის.

3. თუ კი მესროპს „ხუცური“ ანბანის შექმნაში რაიმე წვლილი მიუძღვის, ეს შესაძლებელია, მხოლოდ საერო ანბანის მომრგვალებული მოხაზულობის ასოთა სწორი მოხაზულობის ასოებით ჩანაცვლებით თუ შემოიფარგლებოდა.

უცხოელი დამპყრობლების თავდასხმებმა და ქვეყნის გაპარტახებამ ქრისტიანობის შემოღებამდე არსებული, წარმართული პერიოდის ყველა ლიტერატურული ძეგლი გაანადგურა და ქართველი ხალხის პროგრესული განვითარება შეაჩერა, რომელიც იმ ეპოქის ცივილიზებულ სახელმწიფოებთან: სპარსეთთან, საბერძნეთთან და რომთან ურთიერთობის დამყარებას იწყებდა. მეოთხე საუკუნეში წმინდა ნინოს მიერ ქრისტიანობის გავრცელებამ ქვეყნის განვითარებას შეუწყო ხელი. ქრისტიანულმა მოძღვრებამ, წარმართული აღმოსავლეთიდან საქართველოს გამოყვანით, ქვეყანა დასავლეთის ქრისტიანული სამყაროს გავლენის ქვეშ მოაქცია და ბიზანტიას, ძველი ბერძნებისა და რომაელების მიერ დანთებული წმინდა ცეცხლის ნიაღს დაუკავშირა. ბევრმა ქართველმა ბიზანტიაში,

რომელიც იმ დროისთვის ცივილიზაციის კერა იყო, მიიღო განათლება. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მათ სკოლები დააფუძნეს და თანამემამულეები ძველ ბერძნულ ლიტერატურულ საგანძურს აზიარეს. ათონის მთაზე მოღვაწე ქართველი ბერები სახარებასა და წმინდა მამების წერილებს თარგმნიდნენ.


ცნობილ ადამიანებს შორის, რომლებმაც განათლება ბიზანტიასა და ათონის მთაზე მიიღეს და შემდგომში საერო და რელიგიური ლიტერატურის ავტორები გახდნენ, შეიძლება აღინიშნოს: იოანე პეტრიწი – ფილოსოფოსი, რომელსაც პლატონისა და არისტოტელეს ნაშრომების თარგმანი ეკუთვნის; შოთა რუსთაველი – წარმოშობით მესხეთიდან (XII საუკუნე), თამარ მეფის თანამედროვე, რომლის სახელგანთქმულ პოემაში „ვეფხისტყაოსანი“ მისი ფართო, სიღრმისეული განათლება და დიდი ლიტერატურული ნიჭი ერთმანეთს ეთავსება.

თუ პეტრიწმა სამეცნიერო ენა შექმნა, შოთა რუსთაველმა პოეზიის ენის ჰარმონია და მოქნილობა სრულყო. ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებმა კი თარგმანებსა და რელიგიურ ნაშრომებში თხრობითი სტილი დახვეწეს.


ქართული მატრიანების მიხედვით, ჩვენამდე მეექვსე საუკუნიდან ფრაგმენტის სახით მოღწეულია მეოთხე საუკუნის სახარების ტექსტი, ასევე – ფსალმუნთა კრებულის ფრაგმენტები, შესრულებული პაპირუსზე და თხზულებები წმინდანთა წამების შესახებ, რომელიც მეშვიდე საუკუნით თარიღდება.

მეთერთმეტე საუკუნემ ქადაგებების წიგნები და წირვის ჩატარების წესები გვიანდერძა. 978 წელს ათონის მთაზე სახარების თარგმანი დასრულდა რომელიც პირველად 1742-1743 წლებში მოსკოვში დაიბეჭდა უფლისწულების, ბაქარისა და ვახუშტის,

საქრო ანბანი



საქლესიო ანბანი



ვახტანგ VI-ის შვილების ძალისხმევით. იბერიულ მონასტრებში ათონისა და სინას მთებზე, პალესტინასა და სირიაში საგანმანათლებლო და ლიტერატურის გამავრცელებელი ცენტრები დაარსდა, რომელთა მნიშვნელობა დღესაც შენარჩუნებულია.

თავად საქართველოში ცივილიზაციის კერები იყო ოპიზის, შატბერის, შიო მღვიმის, გარეჯის, გელათის და სხვა ტაძრები, სადაც გადანერილია მეთორმეტე საუკუნის სახარება არაჩვეულებრივად შესრულებული მინიატურებით. ღვთისმეტყველებისა და ფილოსოფიური წიგნების გარდა, ბიზანტიამ საქართველო აპოკრიფულ ნაწარმოებებსაც აზიარა, რომელთაგან ყველაზე ცნობილია: ლექსები გიორგი მონამეზე; იესო ქრისტეს ბავშვობა; წმინდა ქალწულის მიერ ჯოჯოხეთის მონახულება და სხვები.

ბიზანტიის გავლენას არაბეთისა და სპარსეთის გავლენა დაერთო. არაბებისგან მეცნიერებები: მათემატიკა და ასტრონომია შემოვიდა (მერვე საუკუნეში თბილისში ობსერვატორია შეიქმნა). სპარსულიდან თარგმნილმა მთელმა რიგმა პროზაულმა და პოეტურმა ნაწარმოებებმა ქართული ლიტერატურა გაამდიდრა.

საქართველომ თავისი განვითარების მწვერვალს მეთორმეტე საუკუნეში, თამარის მეფობის დროს (1184-1211), მიაღწია. ომებში გამარჯვებულმა თამარ მეფემ მცირე აზიასა და სრულიად კავკასიაში საქართველოს პოლიტიკური ძლევამოსილება შესძინა.

თამარის მეფობა ცნობილი პოეტებისა და მწერლების შემოქმედებაშიც აისახა, შოთა რუსთაველმა და ჩახრუხაძემ, თავიანთ ნაწარმოებებში განადიდეს იგი, ასევე – მოსე ხონელმა რომელიც საგმირო ჟანრის პოემა „ამირან-დარეჯანიანის“ ავტორია და სარგის თმოგველმა, მთარგმნელმა „ვისრამიანისა“, რომელსაც ხშირად ჟან ჟაკ რუსოს „ახალ ელიოზას“ ადარებენ.

რუსთაველი მეთორმეტე საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტია. მეტად მწირია ინფორმაცია მისი ბიოგრაფიის შესახებ და ხშირად, სინამდვილეს არ შეესაბამება. მისი სახელი შოთა სახელი ამოცის შემოკლებული ვერსიაა და ქრისტიანულ კალენდარში არ მოიხსენიება. სახელწოდება რუსთაველი მის მშობლიურ დასახლებას, რუსთავს, უკავშირდება (ტიფლისის განმგებლობაში შემავალი ახალციხის რეგიონი). მან განათლება საბერძნეთში დაასრულა და გარკვეული დრო თამარ მეფის ხაზინადარი იყო (არსებობს მისი ხელმოწერა 1190 წლის აქტზე). იცნობდა რა ჰომეროსის ლექსებს, პლატონის ფილოსოფიას, სპარსულ და არაბულ ლიტერატურას, თეოლოგიას, პოეზიის და რიტორიკის საფუძვლებს, რუსთაველმა მწერლობას მიუძღვნა თავი და ქართული ლიტერატურის ულამაზესი ჩუქურთმა და სიამაყე, პოემა „ვეფხისტყაოსანი“ შექმნა. სათაყვანო დედოფალზე უიმედოდ შეყვარებულმა, მან სიცოცხლე მოკრძალებულად მონასტერში დაასრულა. მეთვრამეტე საუკუნის ქართველმა მიტროპოლიტმა ტიმოთემ იერუსალიმში ყოფნისას ქართველი მეფეების მიერ დაარსებულ ჯვრის მონასტერში რუსთაველის საფლავი და მისი საგანგებოდ შეთეთრებული ფრესკა ნახა.

ლეგენდა მოგვითხრობს, რომ დედოფლისადმი უიმედო სიყვარულით იმედგაცრუებულმა რუსთაველმა ცოლად ვინმე ნინო შეირთო. ქორწინებიდან ცოტა ხნის შემდეგ სათაყვანებელმა ქალბატონმა სპარსულიდან ლიტერატურული ნაწარმოების თარგმნა უბრძანა, რომელიც მას დამარცხებულმა შაჰმა უბოძა. რუსთაველმა დავალება ბრწყინვალედ შეასრულა, მაგრამ ყოველგვარ ანაზღაურებაზე უარი თქვა. რვა დღის შემდეგ, მისი სხეული თავ-





**შოთა რუსთაველი**

მოკვეთილი ნახეს. რუსთაველისა და თამარ მეფის ურთიერთობაზე მრავალი სხვა ლეგენდაც არსებობს.

პოემა „ვეფხისტყაოსანი“ 1.637 სტროფს შეიცავს და თექვსმეტმარცვლიანი მეტრითაა განწყობილი (აკადემიკოსი ბროსეს გამოცემის მიხედვით). ჩვენამდე მოღწეულია მრავალი ხელნაწერი ანოტაციებითა და დამატებებით. არსებობს პოემის გაგრძელება „ომანიანი“. „ვეფხისტყაოსნის“ პირვანდელი ხელნაწერის – დედნის უქონლობა შეიძლება საქართველოზე მუდმივი გამანადგურებელი თავდასხმებით აიხსნას და იმითაც, რომ ის ეკლესიის მიერ იღვენებოდა იმის გამო, რომ, როგორც საერო ნაწარმოები, თითქოს ქრისტიანულ პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა. დედოფლის მფარველობის მიუხედავად, კათალიკოსი იოანე პოეტს სიცოცხლეშივე დევნიდა. მეთვრამეტე საუკუნეში პატრიარქმა ანტონ I-მა, განათლებულმა მწერალმა, ვახტანგ VI-ის მიერ 1712 წელს გამოცემული პოემის არაერთი ეგზემპლარი საჯაროდ დაწვა.

რა უდევს საფუძვლად რუსთაველის პოემის სიუჟეტს? ეს კითხვა ჯერ ღიად რჩება. ამ საკითხთან დაკავშირებით სამი მოსაზრება არსებობს. პირველი მომდინარეობს თავად რუსთაველის სიტყვებიდან, რომ მან გალექსა სპარსული ზღაპარი (იხ. სტროფი 16), რომელიც ქართველ ხალხს უძვირფასესი მარგალიტის და ეროვნული რელიკვიის სახით დაუტოვა. მიუხედავად კვლევებისა, ამგვარი სპარსული ტექსტი ნაპოვნი არ არის. მეორე მოსაზრება წამოწეულია პროფესორ დავით ჩუბინოვის მიერ, რომლის თანახმადაც, რუსთაველს მისი პოემის სიუჟეტი აღმოსავლური მწერლობიდან არ აუღია, არამედ იგი თამარის სადიდებლად დაწერა.

მესამე მოსაზრება დაშვებულია ა. ხახანოვის მიერ. „ფაუსტისა“ და „ჰამლეტის“ მსგავსად, რომელთა ფაბულა შუა საუკუნეების ხალხური თქმულებების მიხედვით არის აგებული, რუსთველისეული ლექსთა წყობის ტარიელზე ხალხურ თქმულებასთან შედარებისას, ის ვარაუდობს, რომ პოემას საფუძვლად სწორედ ხალხური სიუჟეტი დაედო. რუსთაველმა ისტორიული ეპოქის წარმოსაჩინად ეროვნული ლეგენდა გამოიყენა. ა. ხახანოვის აზრით, ტარიელის სიმღერის რუსთაველის პოემასთან შედარებისას, რომლის მთავარი გმირი ასევე ტარიელია, ამ ორი ნაწარმოების სიუჟეტისა და სხვა დეტალების იდენტობა დასტურდება.

მეორე მხრივ, თამარისა და პოემის გმირის – ნესტან-დარეჯანის ცხოვრების მსგავსება ადასტურებს, რომ იგი დედოფლის განსახიერებაა.

სავარაუდოდ, მოქმედების ინდოეთში, არაბეთსა და ჩინეთში გადატანით შოთა რუსთაველი შეეცადა, განუკურნებელი, უიმედო სიყვარული შეენიღბა.

პოემის შინაარსი კარგად არის ცნობილი: ეს არის სასიყვარულო ამბავი. მთავარი გმირები მრავალი სირთულის გადალახვის შემდეგ ქორწინდებიან და ძვირად მოპოვებული ბედნიერებით ტკბებიან.

მთავარი გმირი, ტარიელი, მოხდენილი და გაბედული უფლისწულია. მას ინდოეთის მეფის შვილი, ულამაზესი ნესტან-დარეჯანი შეუყვარდება, რომელიც მის გრძნობებს ასევე პასუხობს. ტარიელი მამისათვის ქალიშვილის ხელის თხოვნას ვერ ბედავს, მამა კი ხვარაზმელი უფლისწულისთვის მის მითხოვებას აპირებს.

საიდუმლო შეხვედრის დროს ნესტანის საყვედურებით აღელვებული ტარიელი მეფის დარბაზებში შეაღწევს და სასიძოს ძილში კლავს. ნესტანს, რომელსაც ამ მკვლელობას აბრალებენ, ნავით შუა ზღვაში

დატოვებენ. მრავალი თავგადასავლის შემდეგ იგი ქაჯებს ჩაუვარდება ხელში, რომლებიც მას მიუდგომელ ციხეში გამოამწყვდევენ. ამასობაში ტარიელი ინდოეთს დატოვებს და სატრფოს საძებნელად გაემართება, მაგრამ ამაოდ. სასონარკვეთილი ვეფხვის ტყავით შეიმოსება და გამოქვაბულში დასახლდება, სადაც მას იპოვის არაბეთის ჯარის სარდალი ავთანდილი, რომელიც თინათინის ბრძანებით ეძებდა. მულღანზანზარის მეფე ფრიდონისა და ავთანდილის დახმარებით, ტარიელი დარეჯანის გამოსხნას ახერხებს და ქორწილს საზეიმოდ აღნიშნავს. ამავდროულად, არაბეთში დაბრუნებული ავთანდილი თინათინს შეირთავს ცოლად და როსტევეანის – სიმამრის ტახტის მემკვიდრე ხდება.

ამ ამბით მთავრდება ბროსეს, ჩუბინოვისა და სხვების მიერ გამოქვეყნებული პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ისევე როგორც ჰომეროსის პოემებს, „ვეფხისტყაოსანს“ ზეპირმეტყმელების მიერ – სტროფები, ზოგჯერ კი მთელი თავებიც აქვს დამატებული; პოემის ეს დამატებული თავები არც სტილით და არც სიუჟეტის განვითარებით არ შეიძლება რუსთაველის კალამს მიეკუთვნებოდეს.

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენა, დახვეწილი ფსიქოლოგიური ანალიზი, აფორიზმები, რომლებსაც ქართველები შვიდი საუკუნის შემდეგაც სიამაყით იმეორებენ – სწორედ ეს არის ამ პოემის მნიშვნელობა. რუსთაველი მონობის წინააღმდეგ გამოდის, სქესის თანასწორობას ეხება („ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“), სიკეთისა და კაცთმოყვარეობისკენ მოუწოდებს: „რასაცა გასცემ შენია, რას არა დაკარგულია“.

პოეტი წარმომავლობაზე მაღლა პიროვნულ ღირსებას აყენებს, სამარცხვინო ცხოვრებას სახე-

ლოვან სიკვდილს ამჯობინებს; მას სიცრუე სძულს და ამბობს, რომ „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე – სულსა“.

მსგავსი ტაეპებისა და პოეტური სახეების წყალობით, „ვეფხისტყაოსანი“ ქართველებისათვის პოეზიის დახვეწილი და დიდებული ნიმუშია.

პოემა სრულად ან ნაწილობრივ თარგმნილია: გერმანულად (Leist, `Der Mann im Tigerfelle“, Leipzig 1880), ფრანგულად (Achas Borin, `La Peau de léopard“, 1885), ინგლისურად, რუსულად, სომხურად და პოლონურად<sup>23</sup>.

ქართული მწერლობის კლასიკურ პერიოდს დაცემის პერიოდი მოჰყვა, რაც გარეშე მტრების გამანადგურებელი თავდასხმებითა და შიდა არეულობებით იყო გამოწვეული: მეცამეტე საუკუნეში მონღოლები-სა და ხვარაზმელების საშინელი შემოჭრა, მეთხუთმეტე საუკუნის დასაწყისში სასტიკი თემურ-ლენგის შემოსევა, მეჩვიდმეტე საუკუნეში შაჰ აბასის ბარბაროსული თავდასხმა. საუბედუროდ, თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ საბერძნეთის გავლენა შეასუსტა. საქართველო, მონყვეტილი ამ ქრისტიანულ ცივილიზებულ სახელმწიფოს და გარშემორტყმული მუსულმანური სამყაროთი, სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დაიშალა (1469).

ეს ოთხი საუკუნე აშორებს მწერლობის კლასიკურ პერიოდს მისი აღორძინების ეპოქისგან, რომელიც მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებს მოიცავს. მაგრამ იმ საშინელი დროიდანაც შემორჩენილია ხანმოკლე, მშვიდობიან ინტერვალებში შექმნილი მრავალი ნაშრომი.

23. „ვეფხისტყაოსანი“, დასურათებული, ქართულ ენაზე, საუცხოოდ გამოცემულია გიორგი ქართველიშვილის მიერ, ტიფლისი.

მართლაც გასაოცარია, რომ მუდმივი თავდასხმე-  
ბისა და შემოსევების ქარცეცხლში მყოფმა ამ პატარა  
ერმა, ერთი მუჭა ხალხით, არა მხოლოდ ეროვნული  
თვითმყოფადობის გადარჩენა, არამედ თავისი რელი-  
გიის, მწერლობისა და ენის შენარჩუნება შეძლო.

მღელვარებით სავსე ურთულეს პერიოდიდანაც  
კი, როგორც მეცამეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებია,  
მრავალი თარგმანი და ორიგინალური თხზულება შე-  
მოგვრჩა. მათ შორის შეიძლება აღინიშნოს თხუთმე-  
ტიოდე ნაწარმოები, რომელთა სახელწოდება „ანი“—თ  
ბოლოვდება, რაც დაბოლოება „ადე“-ს ანალოგიუ-  
რია: *Petriade, Henriade* და სხვ.), მაგალითად: „დაფნი-  
ციანი“, „სატრფიალო-მუსურიანი“, „რუსუდანიანი“,  
„ამირანდარეჯანიანი“, „ბარამიანი“, „უთრუთიანი“,  
„სამართიანი“, „სარიდონიანი“ და სხვ.

ამ ეპოქას ასევე რამდენიმე სამოქალაქო სამარ-  
თლისა და საეკლესიო ძეგლი მიეკუთვნება, როგო-  
რიცაა გიორგი V ბრწყინვალეს კანონები (XIV საუ-  
კუნე); ბექას კანონები და მეთოთხმეტე საუკუნეში  
სამცხე-საათაბაგოს (ტიფლისის მმართველობაში  
შემავალი ახალციხის რაიონი) მმართველ ათაბაგ ალ-  
ბუღას მიერ შედგენილი კანონები. ასევე აღსანიშნა-  
ვია, რომ მეცამეტე საუკუნეში კათალიკოსმა არსენმა  
საეკლესიო წესები გამოსცა, მეთოთხმეტე საუკუნეში  
არქიმანდრიტმა გიორგიმ ბერძნულიდან ქართულად  
ეკლესიის კანონები თარგმნა, მეთხუთმეტე საუკუ-  
ნეში, კათალიკოს მალაქიას წინადადებით, საბჭომ,  
თერთმეტი არქიეპისკოპოსის ხელმოწერით, ყველა-  
სათვის სავალდებულო ბრძანებები გამოსცა. ეს გან-  
კარგულებები და გიორგი V-ის კანონთა კრებული,  
ისევე როგორც ათაბაგების – ბექასა და ალბუღას  
კანონთა კრებული, შემდგომში ვახტანგ VI-ის სამო-  
ქალაქო კოდექსში შევიდა.

აღნიშნული ოთხი საუკუნის მიმოხილვა ამ პერიოდში შექმნილი რამდენიმე ისტორიული თხზულების ჩამონათვალით შეიძლება დასრულდეს: კათალიკოს არსენის (XIV საუკუნე) იმერეთის მეფეთა ისტორია; იოანე მანგლელის (XV საუკუნე) სამცხე-საათაბაგოს აღწერა; კათალიკოს დომენტის (XVI საუკუნე) ისმაილის მიერ საქართველოს დარბევა; ბერი ევდემონის მიერ დაწერილი იმერეთის მეფეების ცხოვრება და აქტები.

საქართველოს ისტორიაში აღორძინების პერიოდი, ვერცხლის საუკუნე, მაღალი წოდების პიროვნებების ლიტერატურული ნაწარმოებების წარმოჩენით იწყება. ესენი არიან: მეფეები არჩილი, თეიმურაზ I, თეიმურაზ II, ვახტანგ VI, კათალიკოსი ანტონი და უფლისწული ვახუშტი. საქართველოსა და იმერეთის მეფე არჩილმა მრავალი პოეტური თხზულება და პოემა „არჩილიანი“ დაგვიტოვა. პოემაში ფილოსოფოსი და რიტორი მეფის – თეიმურაზ I-ის ცხოვრება არის აღწერილი. არჩილ მეფეს ქართულ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მან დაუბრუნა ადრინდელი ბრწყინვალეობა. ქართულად თარგმნა ფსევდო კალისტენეს „აღექსანდრე დიდის ისტორია“, რუსული და ბერძნული წყაროების მიხედვით, ქრონიკა შეადგინა. მის კალამს აგრეთვე მრავალი ლექსი ეკუთვნის. თეიმურაზ II-მ, ერეკლე I-ის შვილმა და უფლისწულებმა იოანემ, დავითმა და თეიმურაზმა თეოლოგიური, ფილოსოფიური, ისტორიული შინაარსისა და სხვადასხვა ჟანრის პოეტური ნაწარმოებები შექმნეს.

ყველა ეს პოეტური ნაწარმოები ისტორიისთვის ღირებული მასალაა, ეროვნული თვითშეგნებით გამსჭვალული, მაგრამ მხატვრულობისა და ფილოსოფიური სიღრმის თვალსაზრისით, შოთა რუსთაველის პოეტურ ხელოვნებას ვერ გაუტოლდება.

ექვგვარეშეა, რომ თეიმურაზ I-ს მიერ სათავედადებული ეროვნულ მწერლობას მეთვრამეტე საუკუნეში მოღვაწე დავით გურამიშვილის შემოქმედება აგვირგვინებს. შთაგონებული ღვთიური ენთუზიაზმითა და უსაზღვრო პატრიოტიზმით, იგი საქართველოს მძიმე მდგომარეობას ხატავს, იმ პერიოდს აღწერს, როდესაც საქართველო თურქეთსა და სპარსეთს შორის დაპირისპირების საგანი გახდა. მთლიანად დანგრეული ქვეყანა სრული განადგურების ზღვარზე იყო. წინასწარმეტყველ იერემიას მსგავსად, გურამიშვილმა ფეოდალური სამოქალაქო ომები დიდი გულისტკივილით აღწერა. მისი ლექსი სამართლიანად მოგვითხრობს მეფე ვახტანგ VI-ის ცხოვრებაზე, რომელიც გარემოებათა გამო იძულებული გახდა, დახმარება პეტრე დიდისთვის ეთხოვა და რუსეთში გადახვეწილიყო. მან ქართველი მეფის ღვაწლი აღწერა და მისი სახელი უკვდავყო, როგორც დიდი ერუდიციის მქონე პიროვნებისა და მოღვაწის, რომელმაც სამშობლოს უდიდესი სამსახური გაუწია: ტიფლისის პირველი სტამბა დააარსა, იყო ისტორიკოსი და მთარგმნელი. არაბულ-სპარსული ზღაპრების კრებული „ქილილა და დამანა“ თარგმნა. ასევე თბილისში გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“, საკუთარი კომენტარებით.

ცნობილი ბერი საბა-სულხან ორბელიანი მეფე ვახტანგ VI-ის თანამოაზრე იყო. მან ევროპაში არაერთგზის იმოგზაურა, მეფე ლუი XIV-მ კი ორჯერ მიიღო. ევროპაში ლა ფონტენი გაიცნო. პარიზიდან რომში წავიდა, სადაც პაპს კლემენტი XI-ს შეხვდა. საქართველოდან გამგზავრებამდე მან კათოლიციზმი აღიარა და დაბრუნებულმა, მან საქართველოში კათოლიკური მოძღვრების გასავრცელებლად რომიდან თორმეტი მისიონერი კაპუცინი ჩამოიყვანა.






**თავადი საბა-სულხან ორბელიანი**  
**(ბერი)**

სულხან-საბა ორბელიანი შეადგინა ლექსიკონი და წიგნი შექმნა სახელწოდებით: „სიბრძნე სიცრუისა“. იგავ-არაკების კრებული, რომელიც პოპულარულ ენაზეა დაწერილი და გამოხატვის სიზუსტით გამოირჩევა. მასში მხიარული და მელანქოლიური, გულუბრყვილო, მგრძნობიარე, გონივრული ხასიათის იგავ-არაკები ერთმანეთს ენაცვლება. ვახტანგ VI-ის შვილი, ვახუშტი, მოსკოვში მსახურობდა, სადაც მან სახარების სრული ვერსია და რუსულ-ქართული ლექსიკონი გამოაქვეყნა. ვახტანგ VI-ის ისტორიკოსთა ჯგუფის მიერ შეგროვილი მდიდარი მასალების მიხედვით კი, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის შესახებ ნაშრომი დაწერა.



**კათალიკოსი ანტონი,  
საქართველოს პატრიარქი**

კათალიკოსი ანტონი ქართველი მეფის – მუსლიმური აღმსარებლობის მიმდევარი იესეს შვილი იყო. მან პირველი ქართული გრამატიკა შეადგინა, თარგმნა არისტოტელეს თხზულებები, ვოლფის ფიზიკა, ბომესტიეს ფილოსოფია, კ.კურციუსის „ისტორია ალექსანდრე მაკედონელისა“. მას ნაშრომები აქვს დაწერილი თეოლოგიის და აგიოგრაფიის საკითხებში, ასევე – თხზულებები ქართველ წმინდანთა ცხოვრების, რითმული მეტყველების (რითმიანი იამბიკოები), მწერალთა და სახელმწიფო მოღვაწეთა ღვაწლის შესახებ.



## თანამედროვე მწერლობა



თავადი გიორგი ერისთავი

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ქართული მწერლობა შეიძლება ორ პერიოდად დაიყოს. I. ჟურნალ „ცისკრი“-ს გამოცემამდე, ხოლო II - ამ გამოცემის შემდგომი პერიოდი. ჟურნალ „ცისკარს“ პირველი ქართველი დრამატურგი, რასინის მთარგმნელი, თავადი გიორგი ერისთავი გამოსცემდა. ჟურნალ



### სარდალი თავადი გრიგოლ ორბელიანი

„ცისკარში“ იბეჭდებოდა რედაქტორის ნაწარმოებებიც. მის კომედიებს შორის აღსანიშნავია: „გაყრა“, „დავა“, „ძუნწი“ და სხვ. აქვე იბეჭდებოდა თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძის, ე. წ. ქართველი ანაკრეონის, ლექსები და თავადი გრიგოლ ორბელიანის პოეტური ნაწარმოებები, კავკასიის დიდებული მშვენიერების უბადლო აღწერით; გასაოცარი ნიჭის პოეტის, ე. წ. ქართველი ბაირონის, თავადი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები.

ეს პირველი პერიოდი უკანასკნელი ქართველი მეფის – გიორგი XII-ის უფლისწულების სამეცნიერო და ლიტერატურული ნაშრომებითაც გამოირჩევა.



**იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი**

უფლისწულმა დავითმა ნარკვევები დაწერა საქართველოს ისტორიის შესახებ, იოანემ – მამის სამეფო დიპლომატიური აქტების კრებული შეადგინა, ხოლო თეიმურაზმა ძალიან თანმიმდევრულად აღწერა საქართველოს ისტორია. აღსანიშნავია ასევე უფლისწული ბაგრატი, რომელმაც ქართული ხალხური ანდაზები და თქმულებები შეაგროვა.

სასულიერო მწერლობაში პირველი ადგილი უკავია ეპისკოპოს გაბრიელს, რომლის ქადაგებანი ინგლისურ ენაზე ითარგმნა<sup>24</sup> და სახელი გაუთქვა მას.

24. თარგმანი შესრულებულია ლირსი მაჭუნის, ბროდ-უინსდორის ეპისკოპოსის მიერ.



#### დიმიტრი ყიფიანი

მეორე პერიოდს თავადი ვახტანგ ორბელიანის და რაფიელ ერისთავის, პოეტი ქალების: ნინო ორბელიანისა და ბარბარე ჯორჯაძის ნაწარმოებები მიეკუთვნება.

ჩანს, რომ აქამდე მწერლობა უფრო არისტოკრატიის პრეროგატივა იყო, მაგრამ შემდგომში, ზემოხსენებული სახელების გარდა, უკვე ჩვეულებრივი, საზოგადოების ყველა კლასის, ადამიანები გვხვდება.

მათ შორის აღსანიშნავია შექსპირის მთარგმნელი დიმიტრი ყიფიანი<sup>25</sup> და მწერალი დანიელ ჭონქაძე, რომელიც გლეხების ცხოვრებაზე დაწერილი პირველი რომანის ავტორია. ამ რომანის სახელწოდებაა: „სურამის ციხე“.

25. იგი თბილისის მერი იყო.



**თავადი ილია ჭავჭავაძე**

საუკუნის მეორე ნახევარში ქართული მწერლობა თვითმყოფადობას კარგავს ევროპული ლიტერატურის გავლენის გამო, რომელსაც ახალგაზრდა თაობა საზღვარგარეთ, ან რუსეთში სწავლის დროს ეზიარა. ახალი მიმდინარეობის სათავეში თავადი ილია ჭავჭავაძე დგას. პოეტი, მწერალი და ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ გამომცემელი, ის ამ საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამჟამად იგი ჟურნალ „ივერიას“ (ქართული მაცნე) გამოსცემს.





**თავადი აკაკი წერეთელი**

მისი თანამოაზრეა თავადი აკაკი წერეთელი. იგი ლირიკული ჟანრის პოეტი და დრამატურგია, რომელიც ხალხის ცხოვრებას და მათ ადათებს აღწერს. იგი ხელმძღვანელობს ჟურნალ „კრებულს“, სადაც მრავალრიცხოვან და, სამწუხაროდ, ნაკლებად ცნობილ, ძველ, ეროვნულ ლიტერატურულ ნიმუშებს აქვეყნებს. თავადი წერეთელი ცნობილია, როგორც ქართული ეროვნული პოეზიის მგოსანი.





**ნიკოლოზ ნიკოლაძე**

ნიკოლოზ ნიკოლაძე კი, ცნობილი პუბლიცისტი და ეკონომისტი<sup>26</sup>, თავისი ძალისხმევით გამოირჩევა, ევროპული გავლენების გავრცელების მიმართულებით.

---

26. ამჟამად იგი ფოთის (პორტი შავ ზღვაზე) მერი არის.



**თავადი მამია გურიელი**

მამია გურიელი ცნობილი და აღიარებულია, როგორც ლირიკული ჟანრის პოეტი.

გიორგი წერეთელმა, ქართველმა არქეოლოგმა და ისტორიკოსმა, ბოლო წლებში რამდენიმე რომანი გამოაქვეყნა.



**ეკატერინე გაბაშვილი**

ეკატერინე გაბაშვილის შემოქმედება ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული და იდეური ზემოქმედებით ჩამოყალიბდა. მისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებებია: „კონა“, კახეთის არისტოკრატიის ცხოვრების შესახებ და „გამარჯვებული ნიკო“, რომლის მთავარი გმირი სოფლის მღვდელია.

თავადი ივანე მაჩაბელი დიდი ოსტატობით თარგმნის შექსპირის ტრაგედიებს, რომლებიც ქართული თეატრების სცენაზე წარმატებით დაიდგა.

დრამატული ჟანრის მწერლებიდან აღსანიშნავია: თავადი რაფიელ ერისთავი, ევგენი ცაგარელი და ალექსანდრე ყაზბეგი.



**ლიმიტრი გაქრაძე**

ყაზბეგი ცნობილია ასევე, როგორც ქართველი მთიელების მწერალი. მისი რომანებიდან ყველაზე ცნობილია შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოებები „ელგუჯა“ და „მამის მკვლელი“, რომლებიც დახვეწილია როგორც აზრობრივად, ასევე მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით.

ძმები რაზიკაშვილები თავიანთ პოეტურ ნიჭს მთიელების ადათების, წესჩვეულებებისა და ყოფის აღწერას უძღვნიან. მათი ნაწარმოებები თარგმნილია გერმანულად.

შიო დედაბრიშვილს აღვნიშნავთ, როგორც სიმბოლისტს, დ. კლდიაშვილს როგორც რეალისტს. ისინი ჟურნალ „მოამბესთან“ თანამშრომლობენ.



### პროფესორი დავით ჩუბინაშვილი


იმ პიროვნებებს შორის, ვინც საქართველოს ისტორიაზე მუშაობდნენ, აღსანიშნავია პლატონ იოსელიანი; ლიტერატურული შრომების ავტორი – დიმიტრი ბაქრაძე, რომელმაც პირველმა სცადა საქართველოს რეალური ისტორიის დანერა. იგი ცნობილია ასევე, როგორც ნაშრომების ავტორი ქვეყნის არქეოლოგიის შესახებ; მარი-ფელისიტე ბროსე – აღმოსავლეთმცოდნე, პარიზში დაბადებული, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. მან მოღვაწეობის დიდი ნაწილი საქართველოს ლიტერატურასა და ისტორიას დაუთმო<sup>27</sup>.

27. იხ. ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში მ.ბროსეს ნაშრომები, 1887.

დავით ჩუბინოვი, სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, ქართული ენისათვის ბევრს მუშაობს. მის ნაშრომებს შორის აღსანიშნავია ქართული ლიტერატურის ქრესტომათია (კრებული), ქართული გრამატიკა, ქართულ-რუსულ-ფრანგული და რუსულ-ქართული ლექსიკონები. მან თავისი ნაშრომებით ქართული ისტორიოგრაფია გაამდიდრა.

განათლების სფეროში უნდა აღვნიშნოთ: I. დანყებითი სკოლის სახელმძღვანელოების ავტორი იაკობ გოგებაშვილი<sup>28</sup> II. ქალბატონი ანასტასია ნერეთელი – საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილის“ დამაარსებელი.

ეს მოკლე მიმოხილვა მიზნად ისახავდა ჩვენი ისტორიისა და ლიტერატურის მიმართ მკითხველის ცნობისმოყვარეობის გაღვიძებას, რადგან ამჟამად გამოცემისათვის განკუთვნილი დროის და მოცულობის სიმწირის გამო შესაძლებელი იყო მხოლოდ ზოგადად, მაგრამ იმედია, დამაჯერებელად, ჩვენი ხალხის სიმამაცის, გმირობის, რელიგიური სიმტკიცის და სხვა ღირებული თვისებების გამოხატვა.



28. „დედა ენა“ (მშობლიური ენა) და „ბუნების კარი“ – მეორე საკითხავი წიგნი ქართული ენის დანყებითი სწავლების საუკეთესო სახელმძღვანელოებად მიიჩნევა, ისევე როგორც „Русское слово“ (რუსული სიტყვა) – რუსული ენის სასწავლებლად.





საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა  
პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე და 118 წლის შემდეგ

**მარინა თუმანიშვილი**

**ნაწილი II**

პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე წარმოდგენილი  
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა 118 წლის შემდეგ





## მარინა თუმანიშვილი

### ნაწილი II

# პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე წარმოდგენილი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა 118 წლის შემდეგ

საქართველო მდიდარია თავისი კულტურული მემკვიდრეობით. ევროპა-აზიის გზაჯვარედინზე მდებარე ქვეყნის მზერა მუდამ ცივილიზებული სამყაროსკენ იყო მიმართული. მსოფლიოს ყველა ქვეყნის მიმართ კეთილგანწყობის, ღიაობის და ტოლერანტობის მაღლით, საქართველომ შეძლო, თვითმყოფადობის პრიზმაში გაეტარებინა მსოფლიოს პროგრესული იდეები და საკუთარ წიაღში ისეთი კულტურული ფასეულობები შეექმნა, რომლებიც ამჟამად ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მსოფლიო მემკვიდრეობად არის აღიარებული.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიოსათვის გაცნობა მეტად მნიშვნელოვანი საკითხი იყო ქვეყნის სახელმწიფოებრივი განვითარების ყველა ეტაპზე. ისტორიულად, სხვადასხვა სახელმწიფოს ინტერესთა სფეროში ყოფნის გამო, მსოფლიო ასპარეზზე ქვეყნის მიღწევების დამოუკიდებლად წარმოჩენა საქართველოსათვის ყოველთვის სირთულე იყო. განუწყვეტელი ბრძოლები, მტრების შემოტევები, სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულება, დიდი იმპერიების ზეგავლენის მუდმივი ვითარება – ეს დამაბრკოლებელ ფაქტორთა ის ძირითადი ნაწილია, რაც ყველა ეპოქაში ქვეყანას ხელს უშლიდა, სათანადოთ გაეცნო მსოფლიოსათვის თავისი ისტორია, ბუნებრივი და კულტურული სიმდიდრე.

საქართველო მუდამ ცდილობდა, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან მჭიდრო კავშირები დაემყარებინა, მათ შორის, განსაკუთრებულ ინტერესს ევროპის ქვეყნების მიმართ იჩენდა. ევროპული კულტურა საქართველოსათვის ყოველთვის მეტად ახლო იყო. მე-19 საუკუნეში საქართველო-ევროპის კავშირი უფრო გამყარდა. ახალგაზრდა თაობისთვის შესაძლებელი გახდა ევროპის სასწავლებლებში განათლების მიღება. ევროპაში განსწავლულნი და სამშობლოში დაბრუნებული ახალგაზრდები დიდი მონდომებით

ცდილობდნენ, თავიანთი წვლილი შეეტანათ საქართველო-ევროპის დაახლოებასა და კულტურათა შორის დიალოგის გამყარების საქმეში. ქვეყნის მისწრაფება ევროპული ფასეულობებისკენ საქართველოს ქალაქების და დასახლებული ადგილების არქიტექტურასა და ურბანულ განვითარებაში აირეკლა. შედეგად, ევროპული არქიტექტურისა და ადგილობრივი ხუროთმოძღვრების სინთეზის საფუძველზე, მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში ბევრი ღირსშესანიშნავი არქიტექტურული ნიმუში შეიქმნა. მე-19 საუკუნეში, ევროპის პარალელურად, საქართველოშიც მოდერნის, ე.წ. „არტ ნუვოს“ (Art nouveau), სტილი განვითარდა და მოდერნის სტილში აგებული ორიგინალური არქიტექტურული ნიმუშები ამჟამად საყოველთაოდაა ცნობილი. ეს შენობა-ნაგებობები ხუროთმოძღვრების განვითარების ისტორიის მკვლევარების დიდ ინტერესს იწვევს არა მხოლოდ ქვეყნის, არამედ მსოფლიო მასშტაბით. აღსანიშნავია, რომ ევროპული ყაიდის გარემოს გამო იმდროინდელ თბილისს უცხოელები „პატარა პარიზს“ უწოდებდნენ.

### **პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე საქართველოს მონაწილეობის, წიგნის – „საქართველოს ისტორია“ (Histoire de Géorgie, Paris-Tiflis, 1900) გამოცემისა და გამოფენაზე მისი პრეზენტაციის ისტორია**

მსოფლიო გამოფენების ისტორია მე-19 საუკუნიდან იწყება. მსოფლიო გამოფენების ჩატარების პრაქტიკის დამკვიდრებით, ქვეყნებს თავიანთი მიღწევების ერთმანეთისათვის გაცნობა-გაზიარების და პოპულარიზაციის შესაძლებლობა მიეცა. მსოფლიო გამოფენების მოწყობა მთელი ცივილიზებული სამყაროსათვის თავიდანვე მეტად მნიშვნელოვანი და პროგრესული მოვლენა იყო. ამ გამოფენებმა მსოფლიოს ინტელექტუალური პოტენციალის გაზრდა-განვითარებაში დიდი როლი შეასრულა.

ზოგადად, მსოფლიოს ქვეყნები, დაწყებული მე-19 საუკუნიდან დღემდე, საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. მსოფლიო გამოფენები, რომლებიც ინდუსტრიალიზაციის სიმბოლოდ, ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევების დემონსტრირების ღია ასპარეზად მიიჩნევა, პერიოდულად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ეწყობა. მსოფლიო ექსპოზიციების მოწყობის ტრადიცია მე-19 საუკუნის ევროპის წიაღში ჩამოყალიბდა.

პირველი მსოფლიო გამოფენა - მსოფლიო ექსპოზიციაცია (ფრანგ. Exposition Universelle Internationale, ან Exposition Mondiale (Expo); ინგლ. World's Fair) ინგლისში, დედოფალ ვიქტორიას მეუღლის, პრინცი ალბერტის (Prince Albert of Saxe-Coburg and Gotha) ინიციატივით, ლონდონის ჰაიდ-პარკში (Hyde Park) 1851 წელს მოეწყო. გამოფენის მთავარ ღირსშესანიშნაობად იოზეფ პაქსტონის (Joseph Paxton) მინით შემოსილი რკინის კონსტრუქციის შენობა, „ბროლის სასახლე“ (The Crystal Palace), აღიარეს. დღემდე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის: ამერიკის, კანადის, ბელგიის, საფრანგეთის და სხვ. მასპინძლობით, 70-ზე მეტი მსოფლიო გამოფენა

მოენყო. ბოლო გამოფენა ყაზახეთის ქალაქ ასტანაში 2017 წელს მოენყო. მომდევნო მსოფლიო გამოფენა არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, ქალაქ დუბაიში 2020 წელს იგეგმება.


მსოფლიო გამოფენების ისტორიაში, ერთ-ერთ ყველაზე რეზონანსულ მსოფლიო გამოფენად, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა, მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე, 1900 წელს, საფრანგეთში, ქალაქ პარიზში, ჩატარებული მსოფლიო უნივერსალური ექსპოზიცია მიიჩნევა.

საფრანგეთის რესპუბლიკამ მანამდე მსოფლიო გამოფენებს რამდენჯერმე უმასპინძლა, მაგრამ 1900 წელს პარიზში მოწყობილი გამოფენა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა არა მარტო სხვა ქვეყნებისათვის, არამედ თვით საფრანგეთისთვისაც.

მე-20 საუკუნის მიჯნაზე, პარიზის 1900 წლის მსოფლიო უნივერსალური ექსპოზიცია (Exposition Universelle) გასული XIX საუკუნის უმნიშვნელოვანესი მიღწევების აღსანიშნავად და შემდგომი განვითარების დაჩქარების მიზნით მოენყო. ექსპოზიცია 1900 წლის 14 აპრილიდან 12 ნოემბრამდე გრძელდებოდა. გამოფენა დიდ ტერიტორიას, საერთო ჯამში, 216 ჰექტარს მოიცავდა. ექსპოზიციის ლოკაციებს შორის იყო: მარსის მოედანი (Champ de Mars), ტროკადერო (Trocadéro), ვინსენის ტყეები (Bois de Vincennes), ინვალიდების ესპლანადა (Esplanade des Invalides). ექსპოზიციაზე 76.000 საგამოფენო სტენდი იყო წარმოდგენილი. გამოფენა 50 მილიონამდე ადამიანმა მოინახულა, რაც იმ დროის მსოფლიო რეკორდად აღიარეს. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო ბევრი ახალი გამოგონება, მანქანა და არქიტექტურული ნიმუში, რომელთა უმრავლესობა ამჟამად საყოველთაოდაა ცნობილი. ექსპონირებული ნიმუშები ძირითადად „არტ ნუვოს“ სტილში იყო შესრულებული. ამ გამოფენაზე პირველად მოხდა ხმოვანი კინოს და ესკალატორის პრეზენტაცია. აგრეთვე პირველად იყო წარმოდგენილი დიზელის ძრავა, ტელეგრაფონი (პირველი მაგნიტური აუდიო ჩამწერი), პანორამების და პანორამული ტექნოლოგიების ნიმუშები, როგორცაა სინეორამა, მარეორამა და ტრანს-ციმბირული რკინიგზის პანორამა. სიახლეებს შორის იყო აგრეთვე 100 მეტრის სიმაღლის პარიზის „დიდი ბორბალი“ (Grande Roue de Paris).

სპეციალურად ამ მსოფლიო გამოფენისათვის პარიზში მრავალი ღირსშესანიშნავი შენობა-ნაგებობა აიგო, მათ შორის ლიონის სადგური, ორსეს სადგური, ალექსანდრე III –ის ხიდი, გრან პალე და პეტი პალე. ეს შენობა-ნაგებობები დღემდე პარიზის მთავარ ღირსშესანიშნაობებად მიიჩნევა. ამ შედეგებმა პარიზის ურბანულ განვითარებაში და მისი გარემოს თანამედროვე იერსახის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა. ამ ნაგებობების უმრავლესობამ შემდგომ მსოფლიო აღიარება მოიპოვა. მათ შორის არის პარიზის სიმბოლოდ ქცეული ინჟინერ გუსტავ ეიფელის ქმნილე-


ბა - „ეიფელის კოშკი“. ეს რკინის უნიკალური კონსტრუქცია (Tour Eiffel) 1991 წლიდან UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში ირიცხება მდინარე სენის ნაპირების საიტის ნომინაციაში (Paris. Rives de la Seine). ეიფელის კოშკის მსგავსად, UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსი აქვს 1900 წლის გამოფენისათვის აგებულ პეტი პალეს (Petit Palais), გრანდ პალეს (Grand Palais), ალექსანდრე III-ის ხიდს (Pont Alexandre III) და სხვა სპეციალურად გამოფენისთვის აგებულ შენობა-ნაგებობებს. აღსანიშნავია, რომ 1900 წლის უნივერსალური გამოფენის ხელმძღვანელების სახელების უკუდავსაყოფად, ალექსანდრე III-ის ხიდის პილონზე ამოტვიფრულია მათი გვარები. ამ სახელებს შორის, პირველ რიგში, გამოფენის მთავარი კომისრის – ალფრედ პიკარის გვარია წარმოდგენილი. ამ გამოჩენილი პიროვნების სამადლობელო წერილი რაფიელ ისარლიშვილისადმი, წიგნის – „საქართველოს ისტორია“ (“Histoire de Géorgie, Paris-Tiflis, 1900”) მიღებასთან დაკავშირებით, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის არქივშია დაცული (გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი. ხ. N11071–004).



პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენის მთავარი კომისარი ალფრედ პიკარი.



პარიზი, ალექსანდრე III-ის ხიდის პილონზე ამოტვიფრული ალფრედ პიკარის გვარი.



აღწერა პიკარის წერილი რაფიელ ისარლიშვილისადმი წიგნთან – „საქართველოს ისტორია“ დაკავშირებით (გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი. ხ. N11071-004).

წიგნის – „საქართველოს ისტორია, პარიზი-ტიფლისი, 1900 წ.“ („Histoire de Géorgie, Paris-Tiflis, 1900“) პრეზენტაციის და მსოფლიო გამოფენაზე საქართველოს ცალკე განყოფილების სტატუსით მონაწილეობის ისტორია სწორედ ამ ღირსშესანიშნავ გამოფენას უკავშირდება. როგორც აღნიშნული იყო, ამ გამოფენაზე საქართველოს მსოფლიოსათვის სხვადასხვა სფეროში თავისი მიღწევების ფართო მასშტაბით გაცნობის შესაძლებლობა პირველად მიეცა.

1900 წლის მსოფლიო გამოფენისათვის წიგნის – „საქართველოს ისტორია“ („Histoire de Géorgie, Paris-Tiflis, 1900“) გამოცემის იდეა ცნობილ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს, თავად-აზნაურთა თვალსაჩინო წარმომადგენელს, ბატონ რაფიელ ისარლიშვილს ეკუთვნის. ქართველი მემამულეების მსოფლიო გამოფენაში მონაწილეობაც მისი ორგანიზებული იყო. რაფიელ ისარლიშვილის ჩანაფიქრით, საქართველოს ექსპოზიციაში ამ წიგნს ერთგვარი გზამკვლევის როლი უნდა შეესრულებინა, რომლის მეშვეობით საქართველოს გეოგრაფიის, ისტორიის, ბუნების, კულტურული მემკვიდრეობის, ლიტერატურისა და მოწინავე საზოგადო მოღვაწეების მსოფლიოსათვის გაცნობა იქნებოდა შესაძლებელი.

რაფიელ ისარლიშვილი ევროპაში უმაღლესი განათლებამიღებული ახალგაზრდა თაობის სწორედ იმ რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ცდილობდნენ, თავიანთი წვლილი შეეტანათ ქვეყნის წინსვლის, კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარებისა და საქართველო-ევროპის დაახლოების საქმეში.

მე-19 საუკუნის ბოლოს, მას შემდეგ, რაც გადაწყდა 1900 წელს პარიზში მსოფლიო გამოფენის გახსნა, რაფიელ ისარლიშვილი აქტიურად ჩაერთო გამოფენაში საქართველოს მონაწილეობის ორგანიზების საქმეში. საქართველო იმ პერიოდში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა და ცალკე მხარედ მისი აღიარებისა და ქვეყნის მიერ თავისი მიღწევების დამოუკიდებლად დემონსტრირების ნებართვის მიღება ორგანიზატორების მხრიდან დიდი გმირობის ტოლფასი იყო.

როგორც წიგნის – „საქართველოს ისტორია, პარიზი-ტიფლისი, 1900 წ.“ („Histoire de Géorgie, Paris-Tiflis, 1900“) წინათქმაშია აღნიშნული, გადაწყდა თუ არა საყოველთაო გამოფენის 1900 წელს პარიზში მოწყობა, ქართველ დიდგვაროვანთა წარმომადგენელი ბატონი რაფიელ ისარლიშვილი ამ ინფორმაციის გავრცელებას აქტიურად შეუდგა, რათა ამ საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძიებაში მისი ქვეყნის მემამულეებს მონაწილეობა მიეღოთ. მრავალი საგაზეთო სტატიისა და ათასობით ტირაჟით გამოცემული საინფორმაციო ბროშურის მეშვეობით, იგი თანამოქალაქეებს არწმუნებდა, ყოველი მათგანისათვის რამდენად ხელსაყრელი იქნებოდა ამ გამოფენაში მონაწილეობა. წიგნში – „საქართველოს ისტორია“ („Histoire de Géorgie“) წარმოდგენილია პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის მიერ დაწერილი საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და ლიტერატურის მიმოხილვა (Aperçu géographique

et Abrégé de l'Histoire et de la Littérature géorgiennes). წიგნი საქართველოში ფრანგულ ენაზე ითარგმნა და, რაფიელ ისარლიშვილის რედაქციით, მის მიერ შევსებული, მხატვრულად გაფორმებული, ილუსტრირებული და ქართული ორნამენტებით შემკული, პარიზში 1900 წელს გამოიცა.

რაფიელ ისარლიშვილი, მისი მალალი პროფესიული და გამორჩეული პიროვნული თვისებების მეოხებით, პარიზის 1900 წლის საერთაშორისო გამოფენაზე, რუსეთის ფინანსთა მინისტრის 1899 წლის 11 ნოემბრის ბრძანებით, რუსეთის გენერალურ კომისარიატში ოფიციალურ ატაშედ დაინიშნა (Attaché au Commissariat Général de Russie). იგი ამავდროულად კავკასიურ-ქართული განყოფილების ხელმძღვანელი და ქართველ მემამულეთა წარმომადგენელი იყო. პარიზის გამოფენის ოფიციალური პირები მის პარიზის მისამართზე (40 rue des Ecoles. Paris) გაგზავნილ წერილებში რაფიელ ისარლიშვილს მიმართავენ, როგორც 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე ქართველ მემამულეთა წარმომადგენელს და რუსეთის გენერალური კომისარიატის ოფიციალურ ატაშეს (Monsieur Raphaël Isarloff. Représentant des propriétaires Géorgiens, Attaché officiel au Commissariat Général de Russie à l'Exposition Universelle 1900. 40 rue des Ecoles. Paris). მისი ეს სტატუსი აღნიშნულია ყველა ოფიციალურ მიმონერაში. აღსანიშნავია, მათ შორის, პარიზის 1900 წლის უნივერსალურ გამოფენაზე გერმანიის გენერალური კომისრის, ბატონი რიხტერის, ელისეის მინდვრების N88-ში მდებარე კომისარიატიდან 1900 წლის 4 დეკემბერს გაგზავნილი სამადლობელო წერილი წიგნის – („საქართველოს ისტორია“) მიღებასთან დაკავშირებით. წერილის დედანი დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში (ხ. N 11071–05).

რაფიელ ისარლიშვილის ეს სტატუსი აღნიშნულია აგრეთვე წიგნის – „საქართველოს ისტორია“ („Histoire de Géorgie“) სატიტულო ფურცელზე. აღსანიშნავია, რომ საცხოვრებელი სახლი, სადაც რაფიელ ისარლიშვილი პარიზში 1900 წლის მსოფლიო გამოფენის პერიოდში ცხოვრობდა, ამჟამადაც იმავე მისამართზე მდებარეობს: სკოლების ქუჩა 40 (40 rue des Ecoles). პარიზის ისტორიულ უბანში, ლათინურ კვარტალში, სორბონის უნივერსიტეტის მახლობლად მდებარე ამ შენობის ამჟამინდელი სახე 2018 წლის ფოტოზეა აღბეჭდილი. იგი 118 წლის შემდეგაც ინარჩუნებს ძველ იერს და ერთგვარად პარიზში საქართველოს დესპანის, რაფიელ ისარლიშვილის, სამშობლოსათვის თავდადებული მოღვაწეობის მონმედ გვევლინება.


რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, სახელმწიფო საბჭოს წევრი პ. სემიონოვი, რაფიელ ისარლიშვილს პარიზის მსოფლიო გამოფენაზე ოფიციალურ წარმომადგენლად დანიშვნასთან დაკავშირებით სწერდა:

„მაქვს პატივი, გაუწყოთ, რომ ნოემბრის 11-დგან ბ-ნ ფინანსთა მინისტრის მიერ დანიშნულ იქმენით პარიჟის 1900 წლის გამოფენის რუსეთის განყოფილების მთავარ კომისართან წარმომადგენლად.





გერმანიის გენერალური კომისარი პარიზის 1900 წლის უნივერსალურ გამოფენაზე, დოქ. რიხტერი.



დოქ. რიხტერის წერილი რაფიელ ისარლიშვილისადმი წიგნთან – „Histoire de Géorgie“ დაკავშირებით.

(Richter - Commissariat Général de l'Allemagne à l'Exposition Universelle de Paris 1900. Paris, 88, Avenue des Champs Elysées, le 4 Desembre 1900).

გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხ. N 11071-05.



პარიზი, ქუჩა rue des Ecoles და საცხოვრებელი სახლი N 40, სადაც რაფიელ ისარლიშვილი 1900 წლის მსოფლიო გამოფენის პერიოდში ცხოვრობდა – 2018 წლის ფოტო.

იმედი მაქვს, რომ ეს ოფიციალური დანიშნულება შეძლებას მოგცემთ, წარადგინოთ გამოფენაზედ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის მემამულეთა ექსპონატები ისეთის სისრულითა და სავსებით, რომლის ღირსიც ეს გუბერნიები არიან; აგრეთვე წარმატებით შეასრულებთ იმ მემამულეთა წარმომადგენლის თანამდებობას, რომელთაც ასეთი პატივი გარგუნეს და აგირჩიეს.“ („ივერია“, 1899, 2.XII, N279-ლ. ნანიტაშვილი, „ქართული წიგნის ამაგდარნი“, გვ.30).

1900 წლის საერთაშორისო უნივერსალურ გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად რაფიელ ისარლიშვილს, როგორც ოფიციალურ წარმომადგენელს რუსეთის გენერალური კომისარიატის ატაშეს სტატუსით, პარიზის გამოფენის გენერალური კომისარის ხელმოწერით, საფრანგეთის ვაჭრობის, მრეწველობის, ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტროს სპეციალური საშვი N722 გადაეცა (MINISTÈRE DU COMMERCE, DE L'INDUSTRIE, DES POSTES ET DES TÉLÉGRAPHES. EXPOSITION UNIVERSELLE INTERNATIONALE DE 1900. CARTE DE SERVICE N722. M. Isarloff attaché au Commissariat Général de Russie). საშვის ერთ მხარეს რაფიელ ისარლიშვილის ფოტოა, ხოლო მეორე მხარეს – საშვის ტექსტი. ეს დოკუმენტი დაცულია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.







რაფიელ ისარლიშვილის საშვი, რუსეთის იმპერიის ოფიციალური ატაშეს სტატუსით, 1900 წლის პარიზის მსოფლიო გამოფენაზე (MINISTÈRE DU COMMERCE, DE L'INDUSTRIE, DES POSTES ET DES TÉLÉGRAPHES. EXPOSITION UNIVERSELLE INTERNATIONALE DE 1900. CARTE DE SERVICE N722. M. Isarloff attaché au Commissariat Général de Russie). ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი.



საქართველოს პარიზის 1900 წ. მსოფლიო გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად თბილისში საორგანიზაციო კომიტეტი შეიქმნა. კომიტეტის თავმჯდომარედ თავადი ლევან ჯანდიერი დაინიშნა. საორგანიზაციო საქმეებზე მიმონერისთვის სპეციალურად ამ გამოფენისათვის რუსულ ენაზე დაბეჭდილ ოფიციალურ ბლანკს იყენებდნენ. ბლანკზე აღნიშნულია პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიების მემამულეთა მონაწილეობის საორგანიზაციო კომიტეტის მისამართიც: ტიფლისი, სასახლის ქუჩა, შენობის ეზო, ზედა გალერეა, N126 (Организационный Комитет по участию землевладельцев Тифлисской и Кутаисской Губерний на Парижской Всемирной Выставке 1900 г. Адрес: гор. Тифлис, Дворцовая ул. д. Двор. верхняя галерея, N126). სწორედ ამ ბლანკზეა დაწერილი 1900 წლის 17 იანვრით დათარიღებული ლევან ჯანდიერის ალექსანდრე ხახანაშვილისადმი მიწერილი წერილი წიგნის („საქართველოს ისტორია“) გამოცემასთან დაკავშირებით. კერძოდ, წერილში აღნიშნულია: „რაც შეეხება თქვენს გამოცემას, ჩვენის აზრით, უმჯობესი იქნება, პარიჟში გამოიცეს და ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, დაამზადოთ ყოველიფერი, აგრეთვე თარგმანი და ისე გამოგვიგზავნოთ, რომ გამოცემის მეტი არა უნდოდეს რა. ბატონი რაფაელ ისარლოვი თან წაიღებს და იქ, პარიჟში, გამოსცემს“ (კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აღ. ხ. N769).



პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიების მემამულეთა მონაწილეობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, თავად ლევან ჯანდიერის ალ. ხახანაშვილისადმი მიწერილი წერილი საორგანიზაციო კომიტეტის ბლანკზე (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აღ. ხ. N769).

თავადი ლევან ჯანდიერისა და სახელმწიფო მრჩეველ ალექსანდრე ბაქრაძის მხარდაჭერით, რაფიელ ისარლიშვილმა არაერთგზის მოიარა მთელი კავკასია, რათა მსოფლიო გამოფენაზე მემამულეების მონაწილეობის ორგანიზება მოეხდინა.

გამოფენის ქართული კომიტეტის მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წერილები დაიგზავნა 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე საქართველოს საზოგადოების მონაწილეობის მოწოდებით. მოწოდებაში, კერძოდ, აღნიშნულია:

„...არც ერთს მსოფლიო გამოფენაზედ აქამდის ქართველის სახელი არ ხსენებულა. ის გარემოება, რომ აქამდის ვერ გავაცანით ვერც ჩვენი თავი, ვერც ჩვენი ნაწარმოები, ვერც ნაყოფი ჩვენის ქვეყნისა, ვერც განძი, რომელიც ჰმარხია ჩვენის ქვეყნის გულში და რომელთაც აქვთ საქვეყნო ნაწარმოებისათვის დიდი მნიშვნელობა, სრულიად აუფასურებდა ჩვენს მამულს და მასში დამარხულს განძს, რომლითაც უხვად დაუჯილდოვებია ბუნებას და თითქმის მუქთად გამოგვეცალა და გვეცლება ხელიდან.


დღეს მთავრობამ დასდო პატივი ჩვენს თხოვნას და სურვილს, მიაქცია ჩვენს ქვეყანას ყურადღება და მისცა საქართველოს ნაწარმოებთა და ქართველის სახელს დიდი ადგილი რუსეთის განყოფილებაში მიმავალ გამოფენაზედ... ეს დიდი საქმე, რომელმაც უნდა მიაქციოს მთელი განათლებული, მონადმართე და მწარმოებელი ქვეყნის ყურადღება ჩვენს ქვეყანასაც და რომელსაც თან მოსდევს წარმატება ჩვენის ქვეყნისა, გაცნობა ჩვენი მეცნიერთა და მწარმოებელთაგან, ასწევს ფასს ჩვენი მიწის ნაყოფიერებისასა და მასში დამარხულ განძთა“ („ივერია“, 1899, 2.XII, N279 - ლ. ნანიტაშვილი, „ქართული წიგნის ამაგდარნი“, გვ.31).

დღევანდელი გადმოსახედიდან ნათელია, რომ, მსოფლიოს ინტელექტუალურ ცხოვრებაში პარიზის 1900 წლის საერთაშორისო გამოფენის დიდი რეზონანსულობის გათვალისწინებით, ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებისა და კულტურათა შორის დიალოგის ხანგრძლივ პროცესში, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს ამ გამოფენაში მონაწილეობის ისტორიული ფაქტი განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენად შეიძლება იყოს აღიარებული.

პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, საუკუნეების მიჯნაზე სოფლის მეურნეობის, განათლების, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში ქვეყნის მიერ მიღწეული პროგრესის ამსახველი მასალა.

პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე საქართველოდან გაიგზავნა ქართული ღვინო, ჩაი, თამბაქო, მინერალური წყლები, მადნეულისა და ქართული ხელსაქმის ნიმუშები, აბრეშუმის ნაწარმი, ქართული წიგნები. სპეციალურად გამოფენისათვის რაფიელ ისარლიშვილის ხელმძღვანელობით პარიზში გამოცემული წიგნის „საქართველოს ისტორია“ („Histoire de Géorgie, Paris-Tiflis, 1900“) გარდა, გამოფენაზე ექსპონირებული იყო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, გამოჩენილი უნგრელი მხატ-






Source gallica.bnf.fr / Bibliothèque nationale de France

პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენის ექსპოზიციის გეგმა.





პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენის სარეკლამო აბრევი.







ალექსანდრე III-ის ხიდი პარიზში, რომელიც აიგო სპეციალურად პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენისათვის და რომლის პილონზე ამოტვიფრულია გამოფენის ხელმძღვანელების გვარები.



სპეციალურად პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენისათვის აგებული პეტი პალე.





სპეციალურად პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენისათვის აგებული ორსეის სადგური, შემდგომში მუზეუმი.



პარიზის სიმბოლო  
ეიფელის კოშკი.

ვრის – მიხაი ზიჩის ილუსტრაციებით, გამოცემული 1888 წელს ცნობილი მრეწველისა და მეცენატის – გიორგი ქართველიშვილის მიერ. ასევე წარმოდგენილი იყო იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ და „ბუნების კარი“, გაზეთები „ივერია“ და „ცნობის ფურცელი“. საქართველოს ექსპონატებმა პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება და აღიარება მოიპოვა, რითაც საქართველოს მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა მსოფლიო მიღწევების რანგში იქნა აყვანილი.

სპეციალურად, გამოფენაზე ექსპონირების მიზნით, მომზადებული წიგნი პარიზში 1900 წლის ოქტომბერში გამოიცა. რაფიელ ისარლიშვილი წიგნის – „საქართველოს ისტორია“ („Histoire de Géorgie“) გამოცემასთან დაკავშირებით პარიზიდან 1900 წლის 13/26 ოქტომბრით (ძველი სტილით 13 - ახალი სტილით 26 ოქტომბერი) დათარიღებულ წერილში ალექსანდრე ხახანაშვილს სწერდა:

„ძმაო ალექსანდრე,

შენგან აქამდის პასუხი არ მაქვს ჩემი ბოლონდელი წერილისა. გიგზავნი დღეს დაბეჭდილს ჩვენს წიგნსა. ძალიან კარგა გამოვიდა, გარდა ორიოდე სურათისა, ეს ფოტოგრაფიისაგან არისო, რომ კლიშე ცოტა მქრთალიაო. სხვა სტატიების დაბეჭდვა არას გზით არ შეიძლებოდა – ბევრი გასწორება დასჭირდა და აბა დრო სად იყო! შემდეგში კი იმასაც გამოვცემ. ჯერ ჯერობით ეს თქვენი ისტორია ყველაზე უკეთესად მიიღეს. ყველგან დავარიგე და ყველამ ძალიან მოიწონეს ყოველისავე მხრით. მამწერეთ რამდენი ეკზემპლიარი გამოგიგზავნო მანდა – ადრესებიც მამწერე, რუსეთში ვის და სად გაუგზავნო.

მთელი დღე ფიაკრით დავდივარ და ყველა გამოჩენილ პირს მე თითონვე მივართმევ, აგრეთვე სხვა ქალაქებშიაც გავგზავნე - რომში, ბერლინში, ლონდონში, ვენაში, ნიუ იორკში და სხვ. ჯერ ჯერობით ორას ეკზემპლიარამდის დამირიგებია და კიდევ უნდა, სადაც საჭიროება მოითხოვს, გავგზავნო. ძალიან მეჩქარება, ამიტომ მეტს სხვას არას გწერ. შენი ერთგული რაფიელ ისარლიშვილი“ (კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აღ. ხახანაშვილის პირადი ფონდი. ხ. N438).





პ. ნ. № 438

ჭ 5

+ ჯიქიფიძე,

მგონი აქვს წიგნი  
მა ვიქნები სხვა მანერა  
მხარა - გვიანი ვიქნები  
რამდენიმე სხვა მანერა  
და მანერა ვიქნები  
და მანერა ვიქნები  
და მანერა ვიქნები  
და მანერა ვიქნები

მა სხვა მანერა ვიქნები  
და მანერა ვიქნები



რაფიელ ისარლიშვილის 1900 წლის 13/26 ოქტომბრის წერილი პარიზიდან ალექსანდრე ხახანაშვილისადმი წიგნის – „საქართველოს ისტორია“ („Histoire de Géorgie“) პარიზში გამოცემასთან დაკავშირებით (კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აღ. ნ. N438).

პარიზის 1900 წლის გამოფენაში საქართველოს მონაწილეობისა და ამ გამოფენის ორგანიზების საქმეში რაფიელ ისარლიშვილის ღვაწლს ნათელი ეფინება მისი წერილიდან ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის – ეგნატე იოსელიანისადმი:

„ბატონო იგნატე ონისიმეს ძე,

როგორც მოგეხსენებათ, გაზ. „ივერიიდან“ (წარ.წლ. N161) ყოველივე ღონისძიება ვიხმარე, რათა პარიზის მსოფლიო გამოფენაში პირველად მიეღო ქართულ საზოგადოებას მონაწილეობა.

კავკასიის განყოფილებაში უკეთესს ნაწილს ჩვენი ქართული ექსპონატები შეადგენდნენ. კარგად განყოფილი, თუმცა მცირე სახსარით და დახმარებით იყო მოხერხებული.

ამის გარდა, დროებით ჩემ მიერ გამართული პარიზის ბიურომ მრავალი სარგებლობა გამოიღო საქართველოს ნაწარმოებთა და მისი ბუნებითი სიმდიდრის გასაცნობლად უცხოეთში.

ამასთანავე, მოვახერხე მთელი წლის განმავლობაში ფინანსთა მინისტრისაგან ჩემი დანიშნულების ღირსეულად შესრულება (უჯამაგიროდ) რუსეთის გენერალურ კომისარიატში და ქართველთა წარმომადგენელობა ყოველ ოფიციალურ კრებებზე და დიპლომატიურ პირებთან.

დასასრულს ეს მოკლე საქართველოს ისტორია – *Histoire de Géorgie* შედგენილი რუსულის ენაზე ბატ. ალ. ხახანაშვილისაგან და ჩემ მიერ შევსებული, შემკული და გამოცემული პარიზში ფრანგულის ენაზე მრავალი სურათებითა და ძველი ქართული არხიტექტურის ნიმუშებითა, მრავალი ასობით მისართმევად ყველა გამოჩენილ დიპლომატიურ და მეცნიერ პირთა გაუგზავნე. ყველა მხრიდან მომივიდა მადლობის წერილები, სავსე სიმპატიურის გრძნობითა. მრავალი ჟურნალები და გაზეთებიცა გვიცხადებენ მეტად შესანიშნავ თანაგრძნობას და სურვილს ჩვენი გაცნობისასა.

ასე ამ ჩვენი წიგნის უფასოდ პატივსაცემლად მირთმევამ მხოლოდ იმ აზრით, რომ ევროპას გავაცნო ჩვენი ქვეყანა, მეტად დიდი ნაყოფი გამოიღო კიდევცა. ეს ყოველივე ივერიაში იქნება დაბეჭდილი. იმედი მაქვს, რომ ეს წიგნი თქვენთვისაც საინტერესო იქნება. გიგზავნით ამ წერილთან ერთს ეკზემპლიარს და გთხოვთ მიიღოთ იგი ჩემგან, როგორც ნიშანი ჩემის თქვენდამი ღრმა პატივისცემისა.

თქვენი უმორჩილესი მონა,


რაფიელ ისარლიშვილი

თბილისი, 5 აპრილს 1901 წ.


Авчальская площадь и Новокатолическая ул. N-9 (მისამართი: ავჭალის მოედანი და ახალკათოლიკური ქ. N9 – რედ.)“.

(გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხ. N3061-1).





რაფიელ ისარლიშვილის ნერილი ეგნატე იოსელიანისადმი წიგნის – „საქართველოს ისტორია“ („Histoire de Géorgie“) შესახებ (გიორგი ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, b. N3061-1).



რაფიელ ისარლიშვილის დიდ ღვაწლზე 1900 წლის მსოფლიო გამოფენაში საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებით ალექსანდრე ხახანაშვილიც საუბრობს. პარიზიდან გამოგზავნილ წერილში აღნიშნავს, რომ მან: „მცირე სახსრით და დიდის თავდადებით ჩაადგმევინა ფეხი ჩვენს საზოგადოებას მსოფლიო გამოფენაში.“ (ა. ხახანაშვილი, „წერილი პარიჟიდგან“, „ივერია“, 1900, 27. VII. N161; ლ. ნანიტაშვილი, „ქართული წიგნის ამაგდარნი“, გვ. 31).

რაფიელ ისარლიშვილის მიერ პარიზში წიგნის („Histoire de Géorgie“) გამოცემასთან დაკავშირებულ უდიდეს შრომასთან ერთად, არანაკლები ძალისხმევა იყო საჭირო წიგნის უცხოელებისათვის გასაცნობად. როგორც პირად წერილებში აღნიშნავს, ის წიგნს სხვადასხვა მნიშვნელოვან უწყებას თუ პიროვნებას თავად გადასცემდა. წიგნის გამოცემის, თუ მისი გავრცელების საქმეს რაფიელ ისარლიშვილი დიდი თავდადების, პირადი საქმეების გვერდზე გადადების და საკუთარი ფინანსური ხარჯის მეშვეობით უძღვებოდა, რადგან სამშობლოს მსოფლიოსათვის გაცნობა მისთვის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი იყო. პარიზში ის, ასევე, საფრანგეთის პერიოდულ გამოცემებში საქართველოზე სტატიებს აქვეყნებდა და ქართული ენის კათედრის დაარსების საქმით იყო დაკავებული. ამდენად კვლავ აპირებდა პარიზში დაბრუნებას, რათა დაწყებული საქმე გაეგრძელებინა. მას სურდა, კიდევ ერთხელ გამოეცა ეს წიგნი (Hist.), უფრო განვრცობილი და დახვეწილი. ამ ყველაფრის შესახებ, რაც საქართველოს განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის უაღრესად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს, აღნიშნულია პარიზიდან თბილისში დაბრუნებული რაფიელ ისარლიშვილის ალექსანდრე ხახანაშვილისადმი მიწერილ წერილში:

„ძმაო ალექსანდრე,

რამდენიმე დღეა, რაც პოშტის კარტით შეგატყობინე ჩემი აქ მოსვლა და გამოგიგზავნე იანვ. N - Revue de Géographie, N-335 Journ. des Débats.

პარიჟიდან რომში წავედი. რაც საჭირო იყო, იქ ყოველივე შევასრულე ბატონი თამარაშვილის დახმარებით. უნდა გითხრა, რომ ძალიან შემანუხა ამ დიდმა გზამ, მეტადრე ვილოჩისკივამ დაწყებული ოდესის 2-სტოკის და პეტროვსკის გზებმა, რომლებიც დიდი თოვლის გამო ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო. თორმეტი დღე ოდესაში მოვემწევი, მინამ გზა გაიხსნებოდა. იქაც საშინელი თოვლი და 15 გრად. ყინვები იყო. ბევრ გაზეთებში იყო ჩვენი წიგნის (ისტორიისა) მოხსენება. სულ მაქვს მოგროვილი. ამის გარდა, როგორც მოგწერე, ყოველგან მისართმევით გავგზავნე ეს წიგნი. ყოველის მხრივამ მომივიდა და დღესაც მომდის კიდევ მადლობის წერილები, სავსე სიმპატიურის გრძნობითა. ასე მაგალითად: პრეზიდენტისგან, მინისტრებისგან, უცხოელ დიპლომატიურ პირთაგან, გამოჩენილ პროფესორებისგან, უმაღლესს სამღვდელთა პირებისგან, და ა.შ. ეს კოლეკცია წერილებისა და გაზეთებისა უნდა „ივერიაში“ დავაბეჭდინო, რათა ნახოს ჩვენმა ხალხმა, თუ რაოდენათ ამ მოკლე ხანში, პარიჟის გამოფენის საშუალებით, საფუძვლიანათ გავაცანით უცხოეთსა ჩვენი ქვეყანა და რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ჩვენი წიგნის (Hist.) ასე მდიდრულად გამოცემასა და ასე უხვად თა-

ვადურათ (ჯენტელმენტურად) (უფასოდ) მირთმევას. ამის გამო მე გადავწყვიტე, რომ ჩემი საკუთარი საქმეები მივატოვო აქა და კიდევ რამდენიმე ხნით დავბრუნდე პარიჟში, რათა გავაგრძელო ეს შრომა. უნდა ეს ისტორია მეორეთ გამოცვით შეესებულა, საქართველოს გერბებითა, კარტითა და სხვა სურათებითა. აგრეთვე ისტორია ქართული მედიცინისა და მუზიკისა. ამასთანავე, ბევრმა მთხოვა, „ვეფხისტყაოსანი“ სურათებით ნათარგმნი და გამოჩენილ ჩვენ ახალმწერალთა თხზულებები. ამ გამოცემებს თავზე მინდა დავანერო *Bibliothèque Géorgienne* (ქართული ბიბლიოთეკა - რედ.) და ლონისძიებისდაგვარ, თანდათან მიუმატებთ ახალ თხზულებებსა და ამგვარათ მუდმივი ყურადღება დარჩება მთელი განათლებული ქვეყნისა ჩვენ საქართველოზე. მართალია, დიდი ფული დამედვა წარმომადგენლობის და გამოცემის გამო, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, სულ გადავიხადი და შემდეგში პარიჟში კიდევ ახალი ნდობა არ მომაკლდესა.

ეხლა ამ ახალ შრომას ვადგივარ, ესე იგი, წერილების და გაზეთების სტატიების თარგმნას და დაბეჭდვას. ამის გარდა, უნდა აქვე რაც კი მეჭირება მომავალი გამოცემებისათვის, მე თითონვე შევკრიბო.

რაც შეეხება ქართული ენის კათედრის დანესებას - ბევრი პირნი ვნახე, რომელთაც კი რამ შეუძლიანთ დახმარება. ბევრი ცდის შემდეგ ძლივს დავაბეჭდინე *Revue de Géographie* -ს იანვრის N-ში ეს თქვენი წერილი. თუმცა იქ ახლა მთავრობა ძალიან ძნელათ თანხმდება ახალი ხარჯის მიცემას ამ გვარი საგნებისთვის, მაგრამ, მაინც ზოგიერთნი დამპირდნენ, რომ ეცდებიან - აბა თუ მე იქ არ ვიქნები, რა მოხერხდება! გთხოვ, შემატყობინო, სრულად მიიღეთ თუ არა, ან რამდენი? რადგანაც მე ჩავაბარე ჩემ გამომცემს, რომ გამოეგზავნა თქვენთვის 60 წიგნი.

ამასთან, გთხოვ, გამომიგზავნო სია, ვის გაუგზავნე წიგნები. ეს იმიტომ მინდა რომ ჩემ სიას მიუმატო და ვიცოდეთ - რამდენ ადგილას არის მოფენილი ჩვენი წიგნი - ან თუ სადმე აკლია, აქედამ გაუგზავნი.

ზემომოხსენებულ წერილებში ერთი მეტად შესანიშნავია პრაგმს აკადემიის პრეზიდენტისა - ამის კოპიის და ჩემი პასუხისას აქვე გიგზავნი და გთხოვ, შემატყობინო, როგორ მოვიქცე ამ გამოჩენილი და ასე პატივსაცემელ პირთან. თქვენ ზაპისკასაც დღესვე გიგზავნით ფოშტითა.

თქვენი მუდამ კეთილმომსურნე,

რაფიელ ისარლიშვილი

თბილისი

24 იანვარს 1901

на углу Авчальской площади и Новокатолической ул. д. Я. Исарлова (მისამართი: ავჭალის მოედნის და ახალკათოლიკური ქუჩის კუთხე, იაკობ ისარლოვის სახლი - რედ.) (კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. აღ. ხ. N439).



რაფიელ ისარლიშვილის აქტიურ მოღვაწეობაზე პარიზში საქართველოს საკითხების ევროპის სარბიელზე გატანასთან დაკავშირებით მეტყველებს ჰიუგე კრაფტის (Hugues Krafft) წერილი წიგნის (საქ.ისტ.) მიღებასთან დაკავშირებით. მადლიერების გამოხატვისა და საქართველოს მიმართ თბილ სიტყვებთან ერთად, წერილში აღნიშნულია ბატონი რაფიელ ისარლიშვილის პრინცი როლანდ ბონაპარტთან (Prince Roland Bonaparte) და საფრანგეთის გეოგრაფიული საზოგადოების გენერალურ მდივან ბარონ ჰიულოტთან (Baron Hulot) დაგეგმილ შეხვედრის მნიშვნელობა, რაფიელ ისარლიშვილის მიერ დაწყებული საქმეების წარმართვის სასიკეთოდ.

“Monsieur,

Je m’empresse de vous adresser l’expression de mes plus vifs remerciements pour le bel exemplaire de votre Histoire de Géorgie, que vous avez eu l’amabilité de m’offrir.

Je vais lire cet ouvrage avec tout l’intérêt d’un voyageur qui est resté sous le charme de votre beau pays.

J’aime à croire qu’il vous sera possible de voir prochainement le Prince Roland Bonaparte et d’obtenir au Journal des Débats l’insertion que vous désirez. Je pourrai ensuite annoncer votre visite au Baron Hulot, Secrétaire général de la Société de Géographie. Mais, par votre visite au Prince Roland Bonaparte, vous obtiendriez la plus efficace des introductions, puisque le Prince a présidé et préside encore aux travaux de la Société.

Veillez, Monsieur, agréer avec mes sincères remerciements, l’expression de mes sentiments les plus distingués,

Hugues Krafft”


(გიორგი ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხ. N11071–20).

ამ მიმონერიდან ჩანს აგრეთვე, თუ როგორ ცდილობდნენ ქართველი მეცნიერები ევროპის მოწინავე სამეცნიერო წრეებთან მჭიდრო კავშირის დამყარებას. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის გეოგრაფიული საზოგადოება იმ წამყვანი სამეცნიერო საზოგადოებრივი ორგანიზაციების რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელთაც მე-19 საუკუნის ევროპაში უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდათ. გეოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დარგის, ჩამოყალიბებაში, ევროპის წიაღში თითქმის ერთდროულად პარიზში, ლონდონში და ბერლინში დაარსებულმა გეოგრაფიულმა საზოგადოებებმა დიდი როლი შეასრულა. საფრანგეთის გეოგრაფიული საზოგადოება (Société de Géographie) ერთ-ერთი ყველაზე ძველი სამეცნიერო საზოგადოებაა ევროპაში. ის პარიზში 1821 წლის 15 დეკემბერს დაარსდა. პიროვნებები, რომლებზედაც ზემოხსენებულ წერილშია საუბარი, ამ ორგანიზაციის მეტად გავლენიანი წარმომადგენლები იყვნენ. კერძოდ, ბარონი ეტიენ ჰიულოტი (Baron Etienne Hulot) წლების განმავლობაში (1896-1918) საფრანგეთის გეოგრაფიული საზოგადოების გენერალური მდივანი იყო. ხოლო პრინცი როლანდ ბონაპარტი (Prince Roland Bonaparte) – ამ საზოგადოების პრეზიდენტი. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ პრინცი როლანდ ბონაპარტი საფრანგეთის უმაღლესი ჯილდოს – ორდენის “*Légion d’honneur*” კავალერი იყო.





ჰუგე კრაფტი (Hugues Krafft)-ცნობილი ფრანგი ფოტოგრაფი და მოგზაური (1853-1935). საფრანგეთის უმაღლესი ჯილდოს-საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი. ფოტო გადაღებულია თბილისში მისი სტუმრობის დროს, 1898 წ. ნოემბერ-დეკემბერში (ფოტო: „Collection de la SAVR/Musée Le Vergeur. წყარო-Nel Watson, Tom Marsden “Discovering Baku: Hugues Krafft's Journey to the Caucasus”).




ჰიუგე კრაფტის წერილი რაფიელ ისარლიშვილისადმი, პარიზი, 22. XI. 1900  
გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხ. N11071-20.

ნიშანდობლივია, რომ წიგნში (საქ.ისტ.) საქართველოს გეოგრაფიის მიმოხილვას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. რა თქმა უნდა, საქართველო თავისი გეოგრაფიით გამოირჩევა და ამ საკითხის გაშუქება საერთაშორისო საზოგადოებისათვის ქვეყნის გაცნობას ემსახურებოდა, მაგრამ შესაძლებელია, ამით ერთგვარად ქართველი მეცნიერების მიერ იმ ახალი მეთოდოლოგიური მიდგომის გაზიარების ფაქტი აისახა, რაც მე-19 საუკუნის ევროპაში გეოგრაფიის მეცნიერული გააზრების მიმართულებით ჩამოყალიბდა. ასევე, ეს იმის დადასტურებაცაა, რომ ქართველი მეცნიერები ყოველთვის იმ პროგრესული ნოვატორული სამეცნიერო მიდგომის თანამოზიარენი იყვნენ, რაც სამეცნიერო სფეროში ევროპის წიაღში იბადებოდა და ისინი ცდილობდნენ, საქართველო აქტიურად ყოფილიყო ევროპის სამეცნიერო ასპარეზზე წარმოდგენილი ახალი ნაშრომებით და გამოცემებით. საარქივო დოკუმენტებმა პრინც როლანდ ბონაპარტის და საფრანგეთის გეოგრაფიული საზოგადოების გენერალური მდივნის – ბარონ ეტიენ ჰიულოტის (Etienne Hulot) წერილები შემოგვინახა, სადაც აღნიშნულია წიგნის – “Histoire de Géorgie” („საქართველოს ისტორია“) მნიშვნელობა და მისი როლი საფრანგეთის გეოგრაფიული საზოგადოების ბიბლიოთეკის გამდიდრების საქმეში.



პრინცი როლანდ ბონაპარტი (Prince Roland Bonaparte) – საფრანგეთის უმაღლესი ჯილდოს, ორდენის „Légion d'honneur“ კავალერი.


პრინც როლანდ ბონაპარტის წერილი რაფიელ ისარლიშვილისადმი წიგნთან (საქართველოს ისტორია) დაკავშირებით (გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ბ. N11093).







ბარონი ეტიენ ჰიულოტი, საფრანგეთის გეოგრაფიული საზოგადოების გენერალური მდივანი (Etienne Hulot).



ბარონ ჰიულოტის წერილი რაფიელ ისარლიშვილისადმი წიგნთან („საქართველოს ისტორია“) დაკავშირებით (გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხ. N11080).

როგორც აღვნიშნეთ, რაფიელ ისარლიშვილის ხელმძღვანელობით გამოცემულმა ნიგნმა (საქ.ისტ.) საერთაშორისო ასპარეზზე დიდი გამოხმაურება და მოწონება მოიპოვა. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის არქივში დაცული ხელნაწერების მიხედვით, სამადლობელი წერილები მიღებულ იქნა ისეთი ორგანიზაციების, უმაღლესი რანგის სახელმწიფო ხელმძღვანელების, დიპლომატიური კორპუსის, მეცნიერების და საზოგადო მოღვაწეების მხრიდან, როგორებიცაა:

საფრანგეთის პრეზიდენტი (18.02.1899-18.02.1906) ემილ ლუბეტი Émile Loubet (Présidence de la République, Paris, 27.11.1900). ს. N11071-001;

საფრანგეთის პრეზიდენტის სახელით, პრეზიდენტის გენერალური მდივანი აბელ კომბარიე, საფრანგეთის უმაღლესი ჯილდოს – ორდენის “Chevalier de Légion d’honneur” კავალერი (Présidence de la République, Paris, 27.11.1900. Le Secrétaire général. Directeur du Cabinet civil du Présidence de la République, Abel Combarieu, Paris, 27.11.1900). ს. N11071-002;

ალფრედ პიკარი, საფრანგეთის ვაჭრობის, მრეწველობის, ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტროს, პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენის გენერალური კომისარი, (Ministere du Commerce, de l’Industrie, des Postes et des Télégraphes. Exposition Universelle de 1900. Le Commissaire Generale Alfred Picard). ს. N11071-004;

ჟან ლე ვაიე, საფრანგეთის ვაჭრობის, მრეწველობის, ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრის მდივანი (Ministere du Commerce, de l’Industrie, des Postes et des Télégraphes, Secrétaire particulier du Ministre, Jean Le Vayer). ს. N11071-003;

ალფრედ რამბო, ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი, მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი, სენატორი (Senat, Alfred Rambaud. 31.01.1901). ს. N11074;

პოლ ბოიე, აღმოსავლეთის ენების პროფესორი (Paul Boyer, Professeur à l’école des langues Orientales). ს. N11071-014;

პრინცი როლანდ ბონაპარტი, საფრანგეთის უმაღლესი ჯილდოს, ორდენის “Légion d’honneur” კავალერი ( Prince Roland Bonapart. 10.XII.1900). ს. N11071-017;

თავადი ურუსოვი, საბუნებისმეტყველო ისტორიის მუზეუმი (Muséum d’Histoire Naturelle. Le Prince Ouroussoff). ს. N11114;

ე. ნისი, ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორი (Professeur a l’Université de Bruxelles, E. Nys 29.XI.1900). ს. N11084-08;

ჟაკ ელიზე რეკლიუ, ცნობილი ფრანგი გეოგრაფი, ისტორიკოსი, პარიზის გეოგრაფიული საზოგადოების წევრი. ბრიუსელი, 21.XI.1900 (Elisée Reclus, Bruxelles. 21.XI.1900). ს. N11085;

ედ. დრუენი, აზიის საზოგადოების მდივანი (Société Asiatique. Secrétaire de la Société Ed. Drouin. 28.X.1900). ს. N11071-008; N11071-11;

ერნესტ შანტრი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მუზეუმის დირექტორი (Muséum des Sciences Naturelles. Directeur Ernest Chantre). ს. N11083;

ი. შვეტზერი, საფრანგეთის ინდუსტრიული ბანკის დირექტორი 30.XI.1900 (Banque Francaise Industrielle. I. Chvetzer. 30.XI.1900). ს. N11071-38;

პროსპერ დელპეში, საფრანგეთის საგარეო საქმეთა უწყების უფროსი (Prosper B. Delpech, Supérieur du Séminaire des Missions Etrangères). ს. N11071-39;

დოქ. რიხტერი, გერმანიის გენერალური კომისარი პარიზის 1900 წლის უნივერსალურ გამოფენაზე (Richter -Commissariat Général de l'Allemagne à l'Exposition Universelle de Paris 1900. Paris, 88, Avenue des Champs Elysées, le 4 Desembre 1900). ს. N 11071-05;

ივ. რეჟაბეკი, ჩეხოსლოვაკიის ბიზნესაკადემიის რექტორი (Reditelstvi CESKOSLOVANSKE AKADEMIE OBCHODNI - Ив. Режабек, 10. XII, 1900). ს. N11071-029;

ლ. ბროსსე, რუსეთის გენერალური კონსული. ბარსელონა, 9.XII.1900 (L. Brosset. Consul Général de Russie. Barcelone, le 9 décembre 1900). ს. N1107-018;

ანრი ჟერმენი, "Crédit Lyonnais"-ის პრეზიდენტი (Crédit Lyonnais. Cabinet du Président. Henri Jermain, 10.XII.1900). ს. N11071-016;

ი. დენიკერი, საფრანგეთის საბუნებისმეტყველო ისტორიის მუზეუმის ბიბლიოთეკის დირექტორი, პარიზი, 10.XII.1900 (I. Deniker. Muséum d'Histoire Naturelle, Bibliothèque. Paris, le 10 décembre 1900). ს. N11071-019;

ჰიუგე კრაფტი, ცნობილი ფრანგი მოგზაური და ფოტოგრაფი. 22.XI.1900. პარიზი. (Hugues Krafft . Paris 40 Rue de Lubeck, 22 novembre 1900). ს. N11071-20;

გასტონ ჰენრი, ჟურნალ „მევენახეობის“ ადმინისტრატორი. პარიზი, 8.XI.1900 (Gaston Henry. Administrateur de la Revue de Viticulture. Paris, 8.XI.1900 ). ს. 11071-35;

ჟიულ ლეგრასი, დიჟონის უცხოური ლიტერატურის უნივერსიტეტის პროფესორი (Jules Legras. Professeur de Littérature étrangère à l'Université de Dijon. 10. XII. 1900. 24. Chemin de Fontaine). ს. N11071-015;

ვიკო მანტეგაზა, იტალიის კომისარიატის გენერალური მდივანი 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე ( Vico Mantegazza – Secrétaire général du Commissariat d'Italie à l'Exposition de 1900). ს. N11071-022;

დოქტორი ემილ გოტჩო, პარიზის პოლიციის პრეფექტურის ექიმი ( Dosteur Emile Gotchaue - Médecin de la Préfecture de Police , 67. rue de la Victoire. Paris). ს. N11071-023;

პ. კამენა დ'ალმეიდა, ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორი (P. Camena d'Almeida, Professeur à l'Université de Bordeaux (Bordeaux, 10 décembre, 1900 ). ს. N11071–024;

ნ. პაკე – ნ. პაკე და კომპანიის პრეზიდენტი (N. Paquet, Marseille, 4, Place Sadi-Carnot, 10. XII.1900). ს. N11071–029;

ჰერბერტ ჯეკილი, დიდი ბრიტანეთის გენერალური კომისარი 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე (Herbert Jekyll – Le Commissaire Général de la Grande-Bretagne. 11 décembre, 1900. 11 Avenue de la Bourdonnais, Paris ). ს. N11071–026;

ჰენრი კორდიე, პარიზი (Henri Cordier. 14, rue Nicole. 11 décembre 1900, Paris). ს. N11071–027;

პოლ ადანი, ცნობილი ფრანგი მწერალი-ნოველისტი (Paul Adam, Chateau de Bhayes). ს. N11078;

ი. ვაზოვი, ცნობილი ბულგარელი პოეტი და მწერალი, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. სოფია 21.XI.1900 (I. Vazoff. Sofia, 21. XI. 1900). ს. N11071–034;

კაპლიე, კომპანია “St. Sulpice”-ის უფროსი, პარიზი (Caplier, Superieur general de la Compagnie de St. Sulpice, Paris). ს. N11071–032;

ალექსანდრ ანდრე, საფრანგეთის საგარეო ვაჭრობის საქმეთა მრჩეველი (Alexandre André, Conseiller du Commerce extérieur de la France). ს. N11071–033;

ლეიტენანტ-პოლკოვნიკი გიიოტი, ორგანიზაცია “Forges” -ის დირექტორი (Forges. Lieutenant Colonel Guillot, Directeur des Forges). ს. N11071;


ბარონი ჟოსეფ დე ბაი, ფრანგი არქეოლოგი და მოგზაური, პარიზის გეოგრაფიული საზოგადოების წევრი (Baron Joseph de Baye. 1900). ს. N11075;

მისი საიმპერატორო უდიდებულესობა დიდი თავადი მიხეილ ნიკოლოზის ძე (Его Императорское Высочество Великий Князь Михаил Николаевич, 1901). ს. N11076;


მისი საიმპერატორო უდიდებულესობა დიდი თავადისქალი ელიზავეტა ფიოდორის ასული (შემდგომ წმინდანად შერაცხული წმ. ელისაბედი), (Ее Императорское Высочество Великая Княгиня Елизавета Феодоровна, 1901). ს. N11077.



საფრანგეთის პრეზიდენტი (18. 02. 1899 - 18. 02. 1906) ემილ ლუბეტი (Émile Loubet).



საფრანგეთის პრეზიდენტის და გენერალური მდივნის წერილები რაფიელ ისარლიშვილისადმი წიგნთან – „საქართველოს ისტორია“ დაკავშირებით.



პრეზიდენტის გენერალური მდივანი აბელ კომბარიე (Abel Combarieu), საფრანგეთის უმაღლესი ჯილდოს – ორდენის „Chevalier de Légion d'honneur“ კავალერი.







ბარონი დე ბაი (Amour-Auguste-Louis-Joseph Berthelot, Baron de Baye 1853-1931), ცნობილი ფრანგი არქეოლოგი და მოგზაური.



ბარონ დე ბაის წერილი რაფიელ ისარლიშვილისადმი (გ. ლეონიდის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხ. N11075).




ჰერბერტ ჯეკილი, დიდი ბრიტანეთის გენერალური კომისარი 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე (Herbert Jekyll - Le Commissaire Général de la Grande-Bretagne. 11 décembre 1900. 11 Avenue de la Bourdonnais, Paris). გ. ლეონიდის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ნ. N11071-026.








ჟაკ ელიზე რეკლიუ, ცნობილი ფრანგი გეოგრაფი, ისტორიკოსი, პარიზის გეოგრაფიული საზოგადოების წევრი. პარიუსელი, 21.XI.1900 (Elisée Reclus, Bruxelles. 21.XI.1900). გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხ. N11085.





მისი საიმპერატორო უდიდებულესობა დიდი თავადისქალი ელიზავეტა ფიოდორის ას. (Императорское Высочество Великая Княгиня Елизавета Феодоровна). ის მფარველობდა 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე რუსულ სექციაში კავკასიურ-ქართულ განყოფილებას.


ელიზავეტა ფიოდორის ას. (Елизавета Феодоровна) – ინგლისის დედოფალ ვიქტორიას შვილიშვილი (დაბ. ჰესენ-დარმშტატის პრინცესა-გერმ. Elisabeth Alexandra Luise Alice von Hessen-Darmstadt und bei Rhein). რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის ვაჟიშვილზე-სერგეიზე (რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III-ის ძმა) დაქორწინების შემდეგ ის რუსეთის საიმპერატორო ოჯახის წევრი გახდა: მისი საიმპერატორო უდიდებულესობა დიდი თავადისქალი ელიზავეტა ფიოდორის ასული (Императорское Высочество Великая Княгиня Елизавета Феодоровна). რუსი ტერორისტის მიერ მეუღლის, სერგეი ალექსანდრეს ძე (Сергей Александрович), მკვლელობის შემდეგ მონაზვნად აღიკვეცა. 1909 წელს მან საქველმოქმედო სახლი, შემდგომში ქალთა მონასტერი (Марфо-Мариинская обитель милосердия) დააარსა, სადაც გადასახლებამდე მოღვაწეობდა. 1918 წელს ბოლშევიკებმა პერმის გუბერნიაში გადასახლეს, სადაც 1918 წლის 18 ივლისს მონამებრივი სიკვდილით აღესრულა. ქ. ალაპაევსკის (Алапаевск) მახლობლად მდებარე „ნოვია სელიმსკაია“ შახტში (шахта Новая Селимская) ჩააგდეს. რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ – ჯერ 1981 წელს საზღვარგარეთ და შემდგომ, 1992 წელს, რუსეთში, წმ. ელისაბედის სახელით, წმინდანად შეირაცხა. დასაფლავებულია წმინდა მიწაზე, იერუსალიმში. იგი გამოსახულია დიდ ბრიტანეთში, ვესტმინსტერის სააბატოს დასავლეთ კედელზე, XX საუკუნის ახალწამებულია შორის.



მისი საიმპერატორო უდიდებულესობის დიდი თავადისქალი ელიზავეტა ფეოდორის ასულის წერილი რაფიელ ისარლიშვილისადმი წიგნთან – „საქართველოს ისტორია“ დაკავშირებით.



მისი საიმპერატორო უდიდებულესობა დიდი თავადი მიხეილ ნიკოლოზის ძე (Его Императорское Высочество Великий Князь Михаил Николаевич, 1901).




მისი საიმპერატორო უდიდებულესობას დიდი თავადი მიხეილ ნიკოლოზის ძის წერილი რაფიელ ისარლიშვილისადმი წიგნთან – „საქართველოს ისტორია“ დაკავშირებით. გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხ.11076






Dr. Jan Keřáček.

ივ. რეჟაბეკი, ჩეხოსლოვაკიის ბიზნესაკადემიის რექტორი (Reditelstvi CESKOSLOVANSKE AKADEMIE OBCHODNI-Ив. Режабек, 10.XII, 1900) გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხ. N11071-029.





ი. ვაზოვი, ცნობილი ბულგარელი პოეტი და მწერალი, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. სოფია 21. XI.1900 (I. Vazoff. Sofia, 21.XI.1900). გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხ. N11071-037.

11071-6  
4459  
Sofia 21 Novembre 1900

Cher Monsieur,

J'accuse réception  
à votre aimable lettre.  
Je vous remercie  
infiniment pour votre  
intéressant ouvrage Histoire de Géorgie que  
vous avez bien voulu m'  
envoyer et que j'ai  
lu avec le plus grand  
plaisir.

Veuillez agréer,  
Monsieur, avec ma


37

profonde reconnaissance de  
cette attention et l'assurance  
de ma très-haute considéra-  
tion.

J. Vazoff



პოლ ადანი, ცნობილი ფრანგი მწერალი-ნოველისტი (Paul Adam Chateau de Bhayes) გ. ლუონდის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხ. N11078.





4763

44447

11074-b

SÉNAT

Paris, le 31 janvier 1901

Monsieur

Je vous prie de  
m'excuser si je répond si  
tardivement à votre aimable  
lettre et à l'envoi de votre  
précieux ouvrage sur l'histoire  
de la Géorgie.

J'ai été, dans ce  
dernier temps, le dérangé de  
toutes manières par ma  
correspondance et mes lectures  
qui ont beaucoup souffert.

Je vais pouvoir,  
grâce à vous, combler de  
graves lacunes dans mes  
notions d'histoire de cette  
Géorgie qui a joué un si  
grand rôle dans la lutte contre  
les invasions mongoles ou  
muscovites et qui fut  
alors un champ de l'Europe  
ingrate parce qu'elle était mal  
informée. Je vous prie  
d'agréer, avec mes remerciements  
l'assurance de mes sentiments  
les plus distingués

Alfred Rambaud

44

**Paris, le 31 janvier 1901**

Je vous prie de m'excuser de vous répondre si tardivement à votre aimable lettre et à l'envoi de votre précieuse ouvrage sur l'existence sur l'histoire de la Géorgie.

J'ai été, dans ces dernier temps, si dérangé de toutes manières que ma correspondance et mes lectures en ont beaucoup souffert.

Je vais pouvoir, grâce à vous, combler de grosses lacunes dans mes lectures d'histoire de Géorgie qui a joué un si grand rôle dans la résistance aux invasions mongoles ou musulmanes et qui fut alors un rempart de l'Europe ingrate parce qu'elle était mal informée.

Je vous prie d'agréer, avec mes remerciements, l'assurance de mes sentiments les plus distingués.

**Alfred Rambaud**

**პარიზი, 1901 წლის 31 იანვარი**


გთხოვთ, მაპატიოთ ჩემი დაგვიანებული პასუხი თქვენს წერილსა და თქვენ მიერ გამოგზავნილ ძვირფას ნაშრომზე საქართველოს ისტორიის შესახებ.

ამ ბოლო ხანებში მიზეზთა გამო ძლიერ დაკავებული ვიყავი, რაც დაეტყო კიდევ ჩემს კორესპონდენციასა და კითხვას.


თქვენი წყალობით შევძლებ, შევავსო თეთრი ლაქები საქართველოს ისტორიის ჩემს ცოდნაში, საქართველოსი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა მონღოლთა და მუსულმანთა შემოსევებისთვის წინააღმდეგობაში, რითიც ზღუდეობა გაუწია უმადურ ევროპას, უმადურს, რადგან იგი საკმარისად არ იცნობდა საქართველოს.

**ალფრედ რამბო**

ცნობილი ფრანგი ისტორიკოსის, მწერლის, სახელმწიფო მოღვაწის, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორის და სენატორის – ალფრედ რამბოს წერილი რაფიელ ისარლიშვილისადმი (Senat, Alfred Rambaud. 31.01.1901) გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ბ. N11074.



მსოფლიოს საზოგადოების გამობმარება - წერილები რაფიელ ისარლიშვილისადმი წიგნთან - „საქართველოს ისტორია“ დაკავშირებით, გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.



მსოფლიოს საზოგადოების გამობმარება - წერილები რაფიელ ისარლიშვილისადმი  
ნიგნთან - „საქართველოს ისტორია“ დაკავშირებით, გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის  
სახელმწიფო მუზეუმი.



4435  
SOCIÉTÉ ASIATIQUE 11  
SIÈGE DE LA SOCIÉTÉ & BIBLIOTHÈQUE  
1, RUE DE SEINE  
(Palais de l'Institut)  
Paris 28 octob. 1900

Monsieur

J'ai vu, au Pavillon russe de l'Exposition,  
un exemplaire de l'Histoire de la Géorgie  
dont vous êtes l'auteur.

M'étant occupé de cette contrée au  
point de vue de son histoire, de ses monuments  
etc (j'ai rédigé l'article Géorgie dans  
la grande Encyclopédie) je serais très heureux  
d'avoir votre ouvrage. Je prends la liberté  
de vous demander un exemplaire - si vous  
en avez de disponibles; je vous en serais très  
reconnaisant. Vous pouvez compter qu'il  
sera bien placé car il y a bien peu de personnes  
à Paris (je n'en connais point) qui  
s'intéressent sérieusement à la Géorgie.

Dans l'espoir que ma demande  
sera favorablement accueillie; je vous  
prie d'agréer  
Monsieur

l'expression de mes sentiments  
distingués

Ed Drouin  
Secrétaire de la  
Société asiatique

11 rue de  
Verneuil VII<sup>e</sup>

436  
211. rue de Verneuil  
Paris 2 mar<sup>ch</sup> 1900  
9:11022


Monsieur

"  
Je viens de recevoir "l'Historia  
de la Georgie" que vous avez eu la  
bonté de me donner, sur ma demande  
et je vous en remercie bien vivement.  
Je viens de parcourir ce volume,  
avec d'autant plus de plaisir que  
cette histoire m'est familière.  
L'ouvrage est très bien fait et les portraits  
que vous avez eu la bonne idée d'y  
insérer lui ajoutent beaucoup de  
valeur.  
Veuillez bien agréer, Monsieur  
l'expression de mes sentiments reconnaissants  
Ed. Drouin


ედ. დრუენის წერილები რაფიელ ისარლიშვილისადმი (გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხ. N11071-11).



ვიკო მანტეგაზა – იტალიის კომისარიატის გენერალური მდივანი 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე ( Vico Mantegazza - Secrétaire général du Commissariat d'Italie à l'Exposition de 1900 ) გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ს. N11071-022.







მსოფლიოს საზოგადოების გამობმარება - წერილები რაფიელ ისარლიშვილისადმი წიგნთან - „საქართველოს ისტორია“ დაკავშირებით, გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.

ზემოთ წარმოდგენილი ჩამონათვალი მხოლოდ ნაწილია მსოფლიო საზოგადოების იმ მრავალრიცხოვანი გამოხმაურებისა, რაც, საარქივო დოკუმენტების თანახმად, საქართველოს 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე მონაწილეობისა და წიგნის – „საქართველოს ისტორია“ პრეზენტაციასთან დაკავშირებით რაფიელ ისარლიშვილმა მიიღო.

ერთ-ერთი წერილი, რომელსაც რაფიელ ისარლიშვილი ალ. ხახანაშვილისადმი მიწერილ ბარათში განსაკუთრებით აღნიშნავს, ჩეხოსლოვაკიის ბიზნესაკადემიის რექტორს, ბატონ ივ. რეჟაბეკს ეკუთვნის (Reditelstvi CESKOSLOVANSKE AKADEMIE OBCHODNI. Ив. Режабек, 10. XII, 1900, გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ს. N11071–029). ეს წერილი ცხადყოფს, რომ წიგნმა (საქ. ისტ.) ბევრს ინტერესი აღუძრა საქართველოს მიმართ და სურვილი უფრო ახლოს გაეცნო ქვეყანა - მისი ისტორია, კულტურული მემკვიდრეობა, მუსიკა, შეესწავლა ქართული ენა და ლიტერატურა:

“Милостивый Государь!

Присылкой Вашей интересной книги Вы мне доставили величайшее удовольствие и считаю долгом, принести Вам за Вашу любезность мою искреннюю благодарность. Земля Ваша конечно не была призвана судьбой играть в историческом развитии народов первенствующую роль, но таинственной красотой своей природы она издавна првлекала к себе взоры культурных народов европейских и азиатских и в роскошной растительности Ваших долин поэты воодушевлялись в своих песнях.

Один из наших известных писателей заинтересовался до того Вашим отечеством, что просит Вас, назвать ему заглавие какой-нибудь новой грамматики грузинского языка и словаря, при помощи которых он мог бы ознакомиться с Вашим языком. Кроме того просит передать ему, существуют ли какие-нибудь сборники Ваших национальных грузинских песен.

Принося снова мою благодарность за Вашу любезность, честь имею, быть, Милостивый Государь, Вашим покорнейшим слугою.

Ив. Режабек”

„ძვირფასო ბატონო!

თქვენი საინტერესო წიგნის გამოგზავნით თქვენ მომანიჭეთ უდიდესი სიამოვნება და ჩემს მოვალეობად მივიჩნევ, გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ თქვენი გულისხმიერებისათვის. თქვენი ქვეყანა, რა თქმა უნდა, არ იყო მოწოდებული ბედისწერით, მსოფლიო ხალხების ისტორიულ განვითარებაში პირველადი როლი ეთამაშა, მაგრამ თავისი ბუნების იდუმალი სილამაზით ის დიდი ხანია ევროპის და აზიის ცივილიზებული ხალხების მზერას იზიდავდა და თქვენი ხეობების თვალწარმტაცი ბუნება პოეტებს თავიანთ სიმღერებში შთააგონებდა.

ერთ-ერთი ჩვენი ცნობილი მწერალი იმდენად დაინტერესდა თქვენი ქვეყნით, რომ გთხოვთ, დაუსახელოთ მას ქართული ენის რომელიმე ახალი გრამატიკის და ლექსიკონის სათაური, რომლის მეშვეობით ის შეძლებდა თქვენი ენის გაცნობას. ამის გარდა ის გთხოვთ, აცნობოთ, არსებობს თუ არა თქვენი ეროვნული ქართული სიმღერების რაიმე სახის კრებულები.

კვლავ გამოვხატავ რა ჩემს მადლიერებას თქვენი გულისხმიერებისათვის, მაქვს პატივი, ძვირფასო ბატონო, ვიყო თქვენი მონა-მორჩილი.

ივ. რეჟაბეკი“

წიგნს ცნობილი ბულგარელი პოეტი და მწერალი, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ბულგარული ლიტერატურის პატრიარქად წოდებული ივანე ვაზოვიც გამოეხმაურა (I.Vazoff. Sofia, 21.XI.1900. გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხ. N11071–034). აღსანიშნავია, რომ ივანე ვაზოვის შემოქმედების მკვლევრების თანახმად, რაფიელ ისარლიშვილის წიგნი “Histoire de Géorgie” (საქ. ისტ.) მისთვის იმ ნაწარმოებთა რიგში აღმოჩნდა, რომელმაც მწერალი შთააგონა, ესე-მიმოხილვა „ქართული ხალხის ისტორიული წარსული“ დაეწერა. ეს ნაშრომი ბულგარულ ყოველთვიურ გამოცემაში – „ბულგარული კრებული“, 1901 წ. N3, გამოქვეყნდა (Л Джулабашвили “Вазов и болгаро-грузинские культурные связи”. “Сабчота Сакартвелო”. 1961; “Ценное исследование о Вазове”. გაზეთი “Вечерний Тбилиси”, 27.VII.1961).

ამდენად, გამოცემამ – “Histoire de Géorgie, Paris-Tiflis, 190” („საქართველოს ისტორია“, პარიზი-ტიფლისი, 1900) თავის დროზე საქართველოს მიმართ საერთაშორისო საზოგადოების ინტერესის გაღრმავებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, რაც შემდგომში მათ შემოქმედებასა და მოღვაწეობაშიც აისახა.

საინტერესოა ამ კუთხით ცნობილი ფრანგი მწერალი-ნოველისტის – პოლ ადანის (Paul Adam) წერილი წიგნთან “Histoire de Géorgie” (საქ. ისტ.), დაკავშირებით. იგი თავის წერილში რაფიელ ისარლიშვილს, როგორც მეგობარს და კოლეგას, მიმართავს (Monsieur et cher confrere) და აღნიშნავს, რომ სურვილი აქვს, ამ საინტერესო ნაშრომის შესახებ ისაუბროს თავის მომავალ გამოცემებში (“Je viens de lire votre étude tres intéressante et j’aimerais en parler bientôt dans une de mes prochaines chroniques”).

საქართველოს მიმართ სამეცნიერო წრეების ცოცხალ ინტერესზე, რაც გამოფენის დროს გამოვლინდა, აზიის საზოგადოების გენერალური მდივნის ედ. დრუენის რაფიელ ისარლიშვილისადმი მიწერილი წერილებიც მეტყველებს. ერთ-ერთ წერილში ის მას გამოფენაზე ექსპონირებული წიგნის “Histoire de Géorgie” (საქ. ისტ.), ეგზემპლარის თხოვნით მიმართავს და აღნიშნავს, რომ საქართველოს შესახებ ინფორმაცია სამეცნიერო მოღვაწეობისათვის ესაჭიროება. ამასთან ერთად, დასძენს, რომ პარიზში ბევრი პიროვნება საქართველოთი სერიოზულადაა დაინტერესებული. წიგნის შესახებ საუბრისას კი მეტად დადებითად აფასებს რაფიელ ისარლიშვილის იდეას გამოცემაში გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების პორტრეტების წარმოდგენასთან დაკავშირებით

(ედ. დრუენის წერილები რ. ისარლიშვილისადმი (Société Asiatique. Secrétaire de la Société Ed. Drouin. 28.X.1900) გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხ.N11071-008; ხ.N11071-11).

რაფიელ ისარლიშვილის 1900 წლის მსოფლიო გამოფენის ორგანიზებაში შეტანილი წვლილი და პროფესიული მოღვაწეობა როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო დონეზე იმთავითვე სათანადოდ იქნა აღიარებული. წიგნმაც, „საქართველოს ისტორია“ („Histoire de Géorgie“), დიდი მონონება დაიმსახურა. უამრავი გამოხმაურება, აღმატებული შეფასებები იმდროინდელ პრესასა და რაფიელ ისარლიშვილისადმი მიწერილ სამადლობელ წერილებში აისახა.

აღსანიშნავია 1900 წლის 24 დეკემბერს „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი ფრანგული პრესის გამოხმაურება შემდეგი შინაარსით:

„საქართველოს განყოფილების გამოფენის გასამართავად მხურვალე მონაწილეობის მიღების შემდეგ ბ-ნ რაფიელ ისარლიშვილს საუცხოვო აზრი დაჰბადებია: განუზრახავს დაბეჭდვა ჩვენს ენაზე ზოგიერთი საისტორიო, სალიტერატურო და სამეცნიერო ცნობისა ამ ქვეყნის შესახებ, რომელიც დიახ, საინტერესოა როგორც თავის მარჯვე გეოგრაფიული მდებარეობით და აუარებელი ბუნებრივი სიმდიდრითა, აგრეთვე მართლა და საკვირველი ფაქტებით აღსავსე ისტორიით.

ბ-ნის რაფ. ისარლიშვილის რედაქციით გამოსული მონოგრაფია მოკლეა, გარნა შიგნახავთ ყოველსავე, რაც უეჭველად საჭიროა. ხსენებულს მონოგრაფიას აზრად აქვს, გაგვაცნოს როგორც მეტად შორეული წარსული, ისე აწმყო იმ ხალხისა, რომელიც იმთავითვე მსხვერპლი ყოფილა განუწყვეტელი ღრევისა, გაგვაცნოს წარსული და აწმყო იმ ქვეყნისა, რომელსაც მტერი სწავადა, ანიოკებდა და ანაცარტუტებდა.

... საგეოგრაფიო მიმოხილვა და მოკლე აღწერა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა ბ-ნის აღ. ხახანაშვილის მიერ შედგენილი, მკითხველს საჭირო ცნობებს აძლევს ამ მხარის გასაცნობად.

დასასრულ, წიგნში ჩართული მრავალი სურათი ხუროთმოძღვრებისა და ქანდაკებისა მკითხველს მკაფიოდ უთვალისწინებს ძველის საქართველოს მოსართავ და დასამშვენებელ ხელოვნებას“ („ცნობის ფურცელი“, 1900, 24.XII. N1337; ლ.ნანიტაშვილი „ქართული წიგნის ამაგდარნი“, გვ.38).

წიგნთან დაკავშირებით ასევე აღმატებული შეფასება იტალიურ პრესაში გამოქვეყნდა, რაც გაზეთ „ივერიის“ 1901 წლის 19 მაისის N107 ნომერში დაიბეჭდა:

„ჩვენ მივიღეთ მეტად კობტა წიგნი ამ სათაურით: „საქართველოს ისტორია“. ეს წიგნი, საქართველოს შესანიშნავ კაცთა და ნაშთთა სურათებით შემკული, წარმოადგენს საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის მოკლე აღწერას; საგნად აქვს მას, გააცნოს მთელს ევროპას ბრწყინვალე წარსული იმ ხალხისა, რომელიც დღემდე ამავე ევროპისათვის არის –

terra incognita. ეს ხალხი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მამაცად იბრძოდა თავისუფლებისა და საწმენოებისათვის კაცობრიობისა და ქრისტეს უძლიერეს მტერთა წინაშე. ამისდა მიუხედავად, მან დაიცვა თავისი სახელმწიფო 2000 წელზე მეტ ხანს. კეთილშობილება ამ ხალხის ჩამომავლობისა უერთდება სულისა და სივრცის სიმშვენიერეს“ („ივერია“, 1901, 19. V. N107; ლ. ნანიტაშვილი, „ქართული წიგნის ამაგდარნი“, გვ. 38).

იმავე 1901 წლის 19 მაისის გაზეთ „ივერიის“ N107 ნომერში აგრეთვე გამოქვეყნდა ევროპელი მეცნიერების წერილები რაფიელ ისარლიშვილისადმი. მათ შორის იყო ცნობილი ფრანგი ისტორიკოსის, მწერლისა და სახელმწიფო მოღვაწის, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორის, სენატორ ალფრედ რამბოს წერილი:

„... თქვენის წყალობით, შემძლიან შევავსო ჩემი შენიშვნები საქართველოს ისტორიის შესახებ. იმ საქართველოსი, რომელმაც წარსულში დიდი საქმე გააკეთა და დიდი წინააღმდეგობა გამოიჩინა მონგოლთა და მაჰმადიანთა შემოსევის დროს და რომელმაც მტკიცე ზღუდეობა გაუწია ევროპას, უმადურს ევროპას, რადგანაც ეს უკანასკნელი კარგად ვერ იცნობდა საქართველოს“ („ივერია“, 1901, 19. V. N107; ლ. ნანიტაშვილი, „ქართული წიგნის ამაგდარნი“, გვ. 38).

ალფრედ რამბოს წერილის დედანი დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში (ხ. N11074) და წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილია როგორც დედანი, ასევე მისი სრული თარგმანი.

გაზეთ „ივერიის“ ამავე ნომერში ასევე გამოქვეყნებულია გრაცის უნივერსიტეტის პროფესორ, ჰუგო შუჰარდტის წერილი, სადაც, კერძოდ, აღნიშნულია: „გულწრფელს მადლობას გითვლით თქვენის გამოცემის „საქართველოს ისტორიის“ გამოგზავნისათვის. ეს წიგნი დასავლეთ ევროპაში მრავალს აღუძრავს ინტერესს თქვენის მშვენიერის სამშობლოს მიმართ“ ( ჰუგო შუჰარდტი, გრაცის უნივერსიტეტის პროფესორი, „ივერია“, 1901,19.V. N107; ლ.ნანიტაშვილი, „ქართული წიგნის ამაგდარნი“, გვ 38-39).

რაფიელ ისარლიშვილი წარმატებული მოღვაწეობისა და პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენისათვის განეული ღვაწლისათვის საფრანგეთის მთავრობამ საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ჯილდოთი დააჯილდოვა, მიენიჭა ნოდება “Officier du Mérite Agricole” და სოფლის მეურნეობის მინისტრის ხელმოწერით დიპლომი და ორდენი გადაეცა.

1901 წლის 24 თებერვლით დათარიღებულ დოკუმენტში, რომელსაც საფრანგეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი, ბატონი დიუპუი (Dupuis) აწერს ხელს, აღნიშნულია: „მაქვს პატივი, გაცნობოთ, რომ დღევანდელი დადგენილებით, ჩემი წარდგინებით, თქვენ მოგენიჭათ ნოდება Officier du Mérite Agricole. მოხარული ვარ, ბატონო, რომ შესაძლებლობა მომეცა მოგანიჭოთ ეს ნოდება სოფლის მეურნეობის დარგში თქვენ მიერ განეული ღვაწლისათვის“.

**“République Française**

**Paris, le 24 février 1901**

Monsieur

J’ai l’honneur de vous faire connaitre, que par décret en date de ce jour, rendu sur ma proposition, vous avez été promu au grade d’Officier du Mérite Agricole.

Je suis heureux, Monsieur, d’avoir pu vous faire accorder cette distinction en récompense des services que vous avez rendus à l’agriculture.

Recevez, Monsieur, l’assurance de ma considération la plus distinguée

Le Ministre de l’Agriculture

Dupuis

A Monsieur Issarloff Raphaél, délégué aux Confins de l’Empire, à Tiflis (Russie)”


წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილია ზემოაღნიშნული დოკუმენტები – დიპლომი და მედალი (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, N37-979/1, N37-979/2).

რაფიელ ისარლიშვილს საფრანგეთის მთავრობის ეს მაღალი ჯილდო – დიპლომი და ორდენი “Officier du Mérite Agricole” ოფიციალურად რუსეთის წარმომადგენელმა კ. ნიკოლაევიჩმა გადასცა. 1901 წლის 10 ივნისით დათარიღებულ მის წერილში დიპლომისა და ორდენის გადაცემასთან დაკავშირებით აღნიშნულია:

„პატივცემულო რაფიელ პეტრეს ძევ,

დიდი სიამოვნებით გიგზავნით თქვენ დღეს საფრანგეთის მთავრობის დიპლომს და ორდენს, რომელიც მოგენიჭათ თქვენი შრომისათვის, რაც კავკასიურ-ქართული პროდუქციის ექსპონირებისათვის პარიზის გამოფენის სამხარეო განყოფილებაში გასწიეთ და გილოცავთ ახალ წოდებას – Officier du Mérite Agricole. გთხოვთ, მიიღოთ ჩემი პატივისცემის და ერთგულების დასტური. კ. ნიკოლაევიჩი, 10 ივნისი, 1901. პეტერბურგი“.






რაფიელ ისარლიშვილისათვის მინიჭებული საფრანგეთის მთავრობის დიპლომი წოდებით: "Officier du Mérite Agricole". ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, დოკ. N37-979/2.





რაფიელ ისარლიშვილისათვის მინიჭებული საფრანგეთის მთავრობის ჯილდო - ორდენი წოდებით: `Officier du Mérite Agricole`. სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, დოკ. N37-979/1.



კ. ნიკოლაევიჩის წერილი პეტერბურგიდან რაფიელ ისარლიშვილისათვის მინიჭებული საფრანგეთის მთავრობის დიპლომის და ორდენის, წოდებით: „Officier du Mérite Agricole“ გადაცემასთან დაკავშირებით. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, დოკ. N37-979/3.

## Многоуважаемый

Рафаел Петрович,

С большим удовольствием посылаю Вам сегодня диплом и орден Французского Правительства, пожалованный Вам за Ваши труды по экспонированию Кавказских-Грузинских продуктов в Окраинном Отделе Парижской выставки и поздравляю Вас с Новым Званием Officier du Mérite Agricole.

Прошу Вас, принять уверение в моем уважении и преданности

К. Николаевич

10 июня 1901. Петербург.

(ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, დოკ. N37-979/3).

აღნიშნული დოკუმენტები - დიპლომი, ორდენი და ზემოხსენებული წერილი ამჟამად სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება. ეს რელიკვიები საოჯახო არქივიდან რაფიელ ისარლიშვილის ძმისშვილმა, სოფიო იაკობის ასულმა ისარლიშვილმა, თავისი დის, ელენეს შვილიშვილის – ნანა შალვას ას. საფარიშვილის მეშვეობით, მუზეუმს 1979 წელს გადასცა.

საინტერესოა საფრანგეთის რესპუბლიკის ამ მაღალი ჯილდოს – ორდენის “*Ordre du Mérite Agricole*” დაარსების ისტორია.

ორდენი ღვანლისათვის სოფლის მეურნეობის დარგში (*Ordre du Mérite Agricole*-ფრ. *Order of Agricultural Merit*-ინგლ.) – ეს არის საფრანგეთის რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო სოფლის მეურნეობის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. საპატიო ორდენი – “*Ordre du Mérite Agricole*” დაარსდა 1883 წლის 7 ივლისს საფრანგეთის სოფლის მეურნეობის მინისტრ ჟიულ მელინის (*Ministre de l’Agriculture Jules Méline*) წინადადების საფუძველზე და საფრანგეთის რესპუბლიკაში დღემდე ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ჯილდოდ მიიჩნევა განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო დამსახურებისათვის განკუთვნილ ჯილდოებს შორის. ის, თავისი მნიშვნელობით, მეორეა ნაპოლეონ ბონაპარტის მიერ 1802 წლის 19 მაისს დაარსებული საპატიო ლეგიონის ნაციონალური ორდენის (*Légion d’honneur ან Ordre national de la Légion d’honneur*) შემდეგ. საპატიო ორდენის, “*Ordre du Mérite Agricole*” (ღვანლისათვის სოფლის მეურნეობის დარგში), დაარსების საწყის ეტაპზე განსაზღვრული იყო მხოლოდ ერთი წოდება – „რაინდი“ (“*Chevalier*“-ფრ. “*Knight*“-ინგ.), 1887 წლის 18 ივნისის დადგენილებით – მეორე წოდება – „ოფიცერი“ (“*Officier*“-ფრ. “*Officer*“-ინგ.), ხოლო 1900

წლის 3 აგვისტოს დადგენილებით, კიდევ ერთი – „მეთაურის“ (*“Commandeur”* - ფრ. *“Commander”*-ინგ.) ნოდება დაემატა. საფრანგეთის რესპუბლიკა ამ საპატიო ორდენით *“Ordre du Mérite Agricole”* დღემდე არა მხოლოდ იმ პიროვნებებს აჯილდოებს, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს სოფლის მეურნეობის დარგში, არამედ ეს ჯილდო გადაეცემა აგრეთვე სამეცნიერო კვლევების, მასთან დაკავშირებული პუბლიკაციებისა და სხვა განსაკუთრებული დამსახურებისათვის მსოფლიოს წინაშე. ამჟამად მოქმედი დებულება ორდენის მინიჭების შესახებ საფრანგეთის მთავრობის 1959 წლის 15 ივნისის N59-729 განკარგულების საფუძველზეა მიღებული. დაჯილდოების ცერემონია წელიწადში ორჯერ - 1 იანვარს და 14 ივლისს ტარდება. ისტორიის განმავლობაში განსაკუთრებული ღვაწლისათვის ეს მაღალი ჯილდო ცნობილ მეცნიერებს, პოლიტიკოსებს, ხელოვნების მუშაკებს და საზოგადო მოღვაწეებს გადაეცა. მათ შორის არიან: ცნობილი ფრანგი მეცნიერი, „მიკრობიოლოგიის მამად“ ნოდებული ლუი პასტერი (*Louis Pasteur*), საფრანგეთის პრეზიდენტი (1995-2007) ჟაკ შირაკი (*Jacques René Chirac*), მსახიობი კატრინ დენევი (*Catherine Deneuve*) და სხვ. 2017 წელს ამ ორდენით – *“Ordre du Mérite Agricole”* მეთაურის (*Commandeur*) ნოდებით, დიდი ბრიტანეთის სამეფო ოჯახის წევრი, უელსის პრინცი ჩარლზი დაჯილდოვდა მისი ნოვატორული როლისათვის აგროეკოლოგიის ხელშეწყობის საქმეში და დიდი ინტერესისათვის ნიადაგის, სურსათის უვნებლობის და კლიმატის საკითხებზე (*le Prince Charles a été promu au grade de commandeur de l’Ordre du Mérite agricole le 16 mars 2017 notamment pour son “rôle de pionnier de la promotion de l’agro-écologie et pour son grand intérêt porté sur la question des sols pour la sécurité alimentaire et le climat”*) .

ამდენად, საქართველოს განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომ ამ მაღალი ჯილდოს დაარსების საწყისებს უკავშირდება პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და სოფლის მეურნეობის დარგში მისი ღვაწლის აღსანიშნავად საფრანგეთის რესპუბლიკის მიერ ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის – რაფიელ ისარლიშვილის დაჯილდოების და მისთვის მაღალი ნოდების, *“Officier du Mérite Agricole”* მინიჭების ისტორიული ფაქტი.

## **ბიოგრაფიული ცნობები წიგნის – „საქართველოს ისტორია, პარიზი-ტიფლისი, 1900“ (“Histoire de Géorgie, Paris-Tiflis, 1900”) ავტორების შესახებ.**

### **რაფიელ ისარლიშვილი**

რაფიელ ისარლიშვილი დაიბადა 1843 წელს თბილისში თავად-აზნაურთა წარმომადგენლების – პეტრე ისარლიშვილის და ბარბარე ანდრონიკაშვილის ოჯახში. იგი მათი მეექვსე ვაჟი იყო.

ისარლიშვილების ოჯახი, რომელიც იმ დროს სოლოლაკში ქართული კათოლიკური ეკლესიის სიახლოვეს ცხოვრობდა, ეკლესიის საქმიანობაში აქტიურად იყო ჩართული და მატერიალურად ეხმარებოდა გაჭირვებაში ჩავარდნილ უსახლკარო თანამომემებს. აღსანიშნავია, რომ ეკლესიის დანგრევის შემდეგ სასწაულებრივად მხოლოდ წმინდა მარიამ ღვთისმშობლის ქანდაკება გადარჩა. დიდად დაზიანებული, შემდგომ კი საგულდაგულოდ აღდგენილი, ის ამჟამად ივ. ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე წმ. პეტრე და პავლეს სახ. კათოლიკურ ეკლესიაშია დაბრძანებული.

ისარლიშვილები წარმოშობით სამხრეთ საქართველოდან იყვნენ. ცნობილი მწიგნობარი ზაქარია ჭიჭინაძის კვლევების თანახმად, ისარლიშვილები ადრე ხურსიძეთა გვარს ატარებდნენ. მესხეთში ბევრი ტაძარი მათი აშენებულია, რაც მოსახლეობის მესხიერებაშიც დარჩა. ამჟამადაც ადგილობრივი გიდეები ხურსიძეთა ღვანლის შესახებ ტურისტებს უყვებიან. მესხეთში, ადიგენის რაიონში, მდებარე XIV ს. ბაზილიკის კედელზე შემორჩენილი იყო წარწერა „ხურსიძე ბასილი“. XVI საუკუნის დასასრულს მესხეთში ოსმალების გაბატონების შემდეგ ძველი ქართული ტოპონიმების ნაცვლად თურქული სახელები დამკვიდრდა.


ახალციხის „ციხისთავს“ ოსმალურად „ისარ-ლი“ ანუ „ისარლი ალას“ უწოდებდნენ. შემდგომ ეს სამოხელეო თანამდებობა გვარის აღმნიშვნელად იქცა და რადგან ამ საქმეს ხურსიძეთა წარმომადგენლები უძღვებოდნენ, მათ შთამომავლებს ისარლიშვილები ეწოდა. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნის დროს, რუსეთის მიერ, იძულების წესით, ყველა ქართული გვარი რუსულ ყაიდაზე გადაკეთდა, დაბოლოება „შვილი“ „ოვ“ დაბოლოებით შეიცვალა. ამდენად, სხვა ქართულ გვარებთან ერთად, ისარლიშვილის გვარმაც სახეცვლილება განიცადა და ისარლოვად გადაკეთდა.

ციხის მცველების სამოხელეო თანამდებობა მათ გერბზეც აისახა – ალისფერ ფარზე ღია კარიბჭით ოქროს ციხე-სიმაგრეა გამოსახული. ხოლო კარიბჭის ზევით, ჯვარედინად – ოქროსტარიანი ორი ვერცხლის ხმალი. სათავადაზნაურო გვირგვინით შემკული ჩაფხუტის თავზე ექვსი სამხედრო დროშა ფრიალებს (იხ. გერბის აღწერილობა <https://gerbovnik.ru/arms/2647.html>).





ისარლიშვილების საგვარეულო გერბი.



რაფიელის ძმა იაკობ ისარლიშვილი და წიგნის „საქართველოს ისტორია“, მისი პირადი ეგზემპლარი ავტოგრაფით.

ისარლიშვილების გვარის ზოგიერთი წარმომადგენელი სასულიერო პირიც იყო. ნყაროებში დასახლებულია XVIII ს. ახალციხეში მოღვაწე მღვდლები ანტონ და გრიგოლ ისარლიშვილები. XVIII ს-ის მეორე ნახევარში იმერეთის მეფე სოლომონ პირველის კარზე მოღვაწეობდა მელქისედეკ ისარლიშვილი, რომელიც ვაჭრობას მისდევდა. ქართლ-კახეთის სამეფო კართან დიდად დაახლოებული ყოფილა რაფიელ ისარლიშვილის ბაბუა ლუკა ისარლიშვილი, რომელსაც მეფე ერეკლე II ახალციხის ფაშასთან ურთიერთობისათვის შუამავლად იყენებდა (იხ.ე. ვარძიელი „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება-რაფიელ ისარლიშვილი“, გაზეთი „საბა“, იანვარი, 1998წ.).

ძველი თბილისის რაიონში, ამჟამინდელი დავით აღმაშენებლის პროსპექტის (ყოფ. მიხეილის ქ.) მიმდებარედ, მდინარე მტკვარზე ჩამავალი ერთ-ერთი ქუჩა ადრე ისარლიშვილების სახელს ატარებდა (ამჟამინდელი კოტე და სოსო წერეთლების ქუჩა). აქ ისარლიშვილების მრავალრიცხოვანი საწარმოები მდებარეობდა. ისარლიშვილების სახელობის ქუჩა - ისარლოვსკაია (Исарловская ул.) 1907 წლის რუკაზე გვხვდება. ისარლიშვილების გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი საქართველოში, ელისაბედ პეტრეს ასული ისარლიშვილი, რომელიც რაფიელ ისარლიშვილის ძმის, იაკობის, შვილიშვილი იყო, 2002 წელს გარდაიცვალა (ნანა და გია საფარიშვილები, „ელისაბედ ისარლიშვილი-მარადიულ ხსოვნაში გადასული მშვენიერი სიცოცხლე“. გაზეთი „საბა“, თებერვალი, 2002).



ყოფ. ისარლიშვილების სახ. ქუჩა თბილისში (Исарловская ул.), ამჟამინდელი კოტე და სოსო წერეთლების ქუჩა.





ისარლიშვილების სახ. ქუჩა თბილისში (Исарловская ул), 1907 წლის რუკა.

როგორც წარჩინებულთა გვარის წარმომადგენელი, რაფიელ ისარლიშვილი თბილისის გიმნაზიაში სწავლობდა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ პარიზისა და ბელგიის უმაღლეს სასწავლებლებში გააგრძელა სწავლა. XIX ს. 60-იან წლებში ბუნებისმეტყველების, ფილოსოფიისა და ეკონომიკური მეცნიერების დარგებს დაუფლებული რაფიელ ისარლიშვილი სამშობლოში დაბრუნდა. მისი მიზანი იყო, ევროპაში მიღებული ცოდნა და გამოცდილება თავისი ქვეყნის წინსვლისათვის გამოეყენებინა. რაფიელ ისარლიშვილის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოჩენას იმდროინდელი პრესა გამოემართა. ჟურნალ „ცისკრის“ 1869 წლის ერთ-ერთ ნომერში აღნიშნული იყო: „ჩვენი ყმაწვილკაცობა, რაც კი შეუძლიან, ძალიან მეცადინეობს, ბევრნი იმათგანი, რა არის გონება უკეთ შეიმუშაონ და უკეთესი სწავლა მიიღონ, არა ზოგავენ ხარჯსა, მიდიან უცხო ქვეყნებში, საზღვარს გარეთ და იქიდან მოდიან ჩვენს სამშობლოს ქვეყანაში ახალის ჰსწავლით, ახალის ჰაზრებითა, ახალის მიმართულებით. სხვათა შორის, ვიცნობთ ყმაწვილს კაცს, რომელმაცა აგრეთვე შეიმუშავა გონება უცხო ქვეყნებში, საზღვარს გარეთ, და რაც დაინახა ჩვენის ქვეყნისათვის სასარგებლო, და ამას გარდა, რაც პირველს შემთხვევაში შეიძლო, ის სარგებლობა მოგვიტანა ამ პირველს მოსვლაშივე ჩვენ ქართველობას. ეს ყმაწვილი კაცი არის უფ. რაფიელ ისარლოვი. ამან გამოსცა ამ 1869 წლისათვის „სინოპტიკური კალენდარი“.

იმდროინდელი ქართული სინამდვილისათვის ქართულ ენაზე გამოცემული „სინოპტიკური კალენდარი“ პირველი იყო და მაღალი შეფასებაც მიიღო. გაზეთი „დროება“ წერდა: „ჩვენ ვმადლობთ უფ. რაფიელ ისარლიშვილს, რომ თავისი პირველი საქმე დაიწყო იმითი, რომ მხედველობაში მიიღო ჩვენი ხალხის საჭიროება და იმედი გვაქვს, რომ შემდგომ მეტად მიაქცევს ყურადღებას იმ საგნებზე, რომელიც მეტად საჭიროა ჩვენი ხალხის გასანათლებლად“ (გაზეთი „დროება“, 1869,20,XII, N51).

რაფიელ ისარლიშვილმა 1873 წელს, საკუთარი ხარჯით, ავჭალაში ღარიბთა შვილებისათვის უფასო სკოლა გახსნა, სადაც სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, ხოლო 1875 წელს გამოსცა სახელმძღვანელო „პირველი წიგნი წერა-კითხვის სასწავლებლად, შედგენილი სურათებით ამერიკულ მეთოდზე სასოფლო შკოლებისათვის“. ეს წიგნი იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ წინამორბედადაც კი მოიაზრება. (ე. ვარძიელი, „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება-რაფიელ ისარლიშვილი“, გაზეთი „საბა“, იანვარი, 1998წ.)

ისარლიშვილების ოჯახის წევრები თავისი საზოგადო მოღვაწეობით გამოირჩეოდნენ. ისინი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩართული. რაფიელ ისარლიშვილის ძმა იაკობ პეტრეს ძე ისარლიშვილი, სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის წლებიდან ილია ჭავჭავაძის ახლო მეგობარი იყო.<sup>1</sup>

1. „ისარლიშვილი (ისარლოვი) იაკობ პეტრეს ძე – „კოლეჟსკი სეკრეტარი“. ილიას სტუდენტობის დროინდელი ამხანაგი. კომერსანტი. მშენებელი. ქმნ-კგ საზ-ის (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება-რედ.) წამდვილი წევრი. მუუღლუ: ანა კონსტანტინეს ასული როდძიევიჩი“. ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია, 1837-1907, გვ. 305.

იაკობი, ისევე როგორც რაფიელ ისარლიშვილი, იმ საზოგადო მოღვაწეთა შორის იყო, რომლებიც ილიასთან ერთად საქართველოს უკეთესი მომავლისათვის იღვწოდნენ. სამშობლოსათვის უანგარო მსახურება ისარლიშვილების ოჯახის დამახასიათებელი თვისება იყო.<sup>2</sup> იაკობ ისარლიშვილის წვლილზე სათავადაზნაურო სკოლის, ამჟამინდელი ივანე ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის, შენობის მონესრიგების საქმეში აღნიშნულია ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებებში, რომელიც 1959 წლის ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა. იგი აღნიშნავს, რომ იაკობ ისარლიშვილი (ისარლოვი) „ილიას დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში ნამყოფი, შენობებს აგებდა, კომერციას ეწეოდა, ინჟინერი არ ყოფილა, მაგრამ მშენებლობის საქმე კარგად ესმოდა; სათავადაზნაურო სკოლის შენობის გადაკეთებაში ძალიან მოგვეხმარა, თან ფულიც დაგვიზოგა“, (ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებებიდან. „მნათობი“, 1959, N1, გვ.167). ზაქარია ჭიჭინაძე წიგნში „ქართველ კათოლიკეთა სასულიერო მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცნობები“, რომელიც მან ცნობილ მეცენატ სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის ხსოვნას მიუძღვნა, იაკობ ისარლიშვილზე წერს: „როგორც ძველი აზნაურის ხურსიძეთა შთამომავალი საქართველოს ერის ყველა საზოგადო საქმეთა არსებობის ცნობებიც კარგად იცის, გულის მოდგინედ ადევნებს ყველაფერს თვალს და არაფერს საქვეყნო და საკეთილო საქმეში უკან არ დადგება. საერთოდ ქართველობაშიაც ცნობილია ვითარცა უნარჩინებულესი ქართველი“ (ზაქარია ჭიჭინაძე, „ქართველ კათოლიკეთა სასულიერო მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცნობები“. სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის ხსენებისა და სახელის სახსოვრად. თბილისი, 1905. გვ. 42).

იაკობის და რაფიელის გარდა, ისარლიშვილების დიდი ოჯახის სხვა წევრებიც, მათ შორის ჯანდიერების და თუმანიშვილების ოჯახის წარმომადგენლები, ილია ჭავჭავაძის ახლო მეგობრები და თანამოაზრეები იყვნენ. ამის შესახებ აღნიშნულია ილია ჭავჭავაძის პერსონალურ ენციკლოპედიაში (იხ. გვარები: ისარლიშვილი, თუმანიშვილი, ჯანდიერი - „ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია, 1837-1907“).

რაფიელ ისარლიშვილს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა გამოჩენილ ქართველ მამულიშვილებთან: აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, თედო სახოკია, მიხეილ თამარაშვილი და სხვ. ცნობილია, რომ მან დიდი დახმარება გაუწია რომში მოღვაწე მიხეილ თამარაშვილს მის წიგნისათვის „საქართველოს ეკლესიის ისტორია“ საჭირო ფოტომასალის მოპოვებაში.

რაფიელ ისარლიშვილის ძალისხმევით, ხელმძღვანელობითა და ისარლიშვილების ოჯახის ფინანსური დახმარებით, პარიზში 1900 წელს გამოცემული წიგნი „Histoire de Géorgie“ (საქართველოს ისტორია) იაკობ ისარლიშვილის შთამომავლებმა შემოინახეს. ისარლიშვილების ოჯახის წევრები, რომელთა საოჯახო არქივში და-

2. ხურსიძის (ისარლიშვილი-ისარლოვი) გვარის წარმომავლობის შესახებ იხ. ზაქარია ჭიჭინაძე – „ისტორია ხურსიძის (ისარლოვი) გვარისა და შოთა (შიო) რუსთაველი“, 1904. პეტრე ისარლიშვილის ოჯახის შესახებ-იხ. იქვე, გვ.108. ასევე. „ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია, 1837 - 1907“.



### იაკობ და რაფიელ ისარლიშვილების ოჯახი - 1914 წ. ფოტო

ფოტოზე ასახული არიან ისარლიშვილების ოჯახის წევრები, რომელთა მიერ დაცული რაფიელ ისარლიშვილის პირადი დოკუმენტებისა და წიგნის, “Histoire de Géorgie, Paris-Tiflis, 1900” (საქართველოს ისტორია. პარიზი–ტიფლისი, 1900) ორიგინალის საფუძველზე მომზადდა წინამდებარე გამოცემა: ელენე, სოფიო, მარიამი და ნინო იაკობის ას. ისარლიშვილები (აივანზე, მარჯვნიდან მარცხნივ); ბარბარე იაკობის ას. ისარლიშვილი (ზის, მარჯვნიდან მეორე); მისი მეუღლე, გიორგი პავლეს ძე თუმანიშვილი<sup>1</sup> (დგას ცენტრში დების, ცნობილი პედაგოგების – აგნესა და ელენე თუმანიშვილების გარემოცვაში); პეტრე და კონსტანტინე იაკობის ძე ისარლიშვილები (დგანან მარჯვნივ და მარცხნივ კიდეში).

1. „თუმანიშვილი გიორგი პავლეს ძე (1872-1937), დახვრიტეს ბოლშევიკებმა - თავადი. ქმნ-კგ საზ-ის (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება-რედ.) წევრი. რკინიგზის მშენებელი-ინჟინერი“. ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია 1837-1907, ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრი, გვ.288; იხ. აგრეთვე ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, V ტ.



ცული რარიტეტის – რაფიელ ისარლიშვილის პირადი დოკუმენტებისა და წიგნის “Histoire de Géorgie” („საქართველოს ისტორია. პარიზი–ტიფლისი. 1900“), საფუძველზე მომზადდა წინამდებარე გამოცემა, ასახული არიან 1914 წლის საოჯახო ფოტოზე.

იაკობ და რაფიელ ისარლიშვილების საცხოვრებელი სახლი მდებარეობდა თბილისში, ავჭალის მოედნის (Авчальская пл.), ამჟამინდელი არნოლდ ჩიქობავას მოედანი და ახალკათოლიკური (Новокатолическая ул.) ქუჩის, ამჟამინდელი კიტა აბაშიძის ქუჩა, კუთხეში. ეს მისამართი: ავჭალის მოედანი, ახალკათოლიკური ქ. N9, იაკობ ისარლიშვილის სახლი (Авчальская пл. Новокатолическая ул. N9, д. Я. Исарлова), სადაც რაფიელი თავისი ძმის, იაკობ ისარლიშვილის, ოჯახთან ერთად ცხოვრობდა, მის სახელზე მოსულ ყველა წერილშია მითითებული. ამ სახლში დღემდე ისარლიშვილების შთამომავლები ცხოვრობენ.



**ისარლიშვილების საცხოვრებელი სახლი თბილისში, ა. ჩიქობავას მოედ. კ. აბაშიძის ქ. N9 (ყოფ. ავჭალის მოედანი, ახალკათოლიკური ქუჩა N9).**

რაფიელ ისარლიშვილი 1918 წლის 29 ნოემბერს გარდაიცვალა. მის ღვაწლზე ერისა და ქვეყნის წინაშე ცნობილი მწიგნობრისა და გამომცემლის – ზაქარია ჭიჭინაძის მიერ დაწერილ ნეკროლოგშია აღნიშნული. რაფიელ ისარლიშვილი სიცოცხლეშივე როგორც თანამემამულეთა, ასევე საზღვარგარეთ მოღვაწე მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა მიერ აღიარებული იყო. წიგნის – „საქართველოს ისტორია (“Histoire de Géorgie”) გამოცემის საქმესა და სამშობლოს საკეთილდღეოდ მისი ღვაწლი ყველაზე

მეტყველად იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდე ოქროპირიძის (შემდგომ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი) რაფიელ ისარლიშვილისადმი 1901 წელს მიწერილ წერილშია გამოსატყული:

„მონყალეო ხელმწიფევე, ბატონო რაფიელ!

მოგართმევთ რა უღრმესი მადლობის გამოთქმით თქვენი სასიქადულო გამოცემის შესახებ მრავალ მალალ პირთაგან მიღებულ წერილებს, არ შემეძლიან, შესაფერის სისრულით გამოვხატო ის სულიერი სიამოვნება, რომელსაც ვგრძნობდი მათი კითხვის დროს. თქვენ მიერ გარიგებული საქმე ერთობ დიადი და საშვილიშვილოა. გონიერი, კეთილშობილური და უზაკველი სიყვარული მამულისა ერთი უმაღლეს ქრისტიანულ სათნოებათაგანია და მწამს სრული სიმტკიცით, რომ ზეციური მამა ჩვენი არ დასტოვებს უდაუჭკნობელ გვირგვინოდ ამ სათნოების მოციქულთა.

იცოცხლეთ მრავალს წელს დედის მკერდით ძვირფასი სამშობლოს სანუგეშოდ.

დავალებული თქვენი თავაზიანობით, მდაბალი ეპისკოპოსი იმერეთისა, ლეონიდე

1ს თიბათვეს 1901 წელსა.



ქ. ქუთაისი“ (გ.ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხ. N11073).

ნიშანდობლივია, რომ 2018 წლის კულტურული მემკვიდრეობის ევროპულ წლად გამოცხადებასთან დაკავშირებით, წიგნის „საქართველოს ისტორია. პარიზი–ტიფლისი, 1900“, წინამდებარე რეტროსპექტული გამოცემის თარიღი რაფიელ ისარლიშვილის გარდაცვალებიდან (1918 წლის 29 ნოემბერი) 100 წლისთავს დაემთხვა.



ეპისკოპოსი ლეონიდე (სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1918-1921).

ეპისკოპოს ლეონიდის წერილი რაფიელ ისარლიშვილისადმი, 1901 წ. (გ.ლეონიდის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ნ. N11073).





## ალექსანდრე ხახანაშვილი


ალექსანდრე ხახანაშვილი (ხახანოვი) დაიბადა 1864წ. 3 იანვარს ქ. გორში სასულიერო პირის – სოლომონ ხახანაშვილის ოჯახში. თბილისის 1-ლი გიმნაზიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. 1888 წელს, უნივერსიტეტის სამეცნიერო საკვალიფიკაციო, კანდიდატის ხარისხით დამთავრების შემდეგ, იგი თბილისში დაბრუნდა, სადაც მუშაობა განაგრძო, როგორც მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ. ალექსანდრე ხახანაშვილი აქტიურად თანამშრომლობდა ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიის“ რედაქციასთან, სადაც პერიოდულად იბეჭდებოდა მისი სამეცნიერო სტატიები. 1900 წელს მოსკოვის უნივერსიტეტში ქართული კათედრის დაარსების შემდეგ, ის პრიატ-დოცენტის რანგში სიცოცხლის ბოლომდე ამ კათედრას ხელმძღვანელობდა და ქართული ისტორიის, ენისა და ლიტერატურის განხრით ლექციებს კითხულობდა, ასევე, მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლეთის ენების ინსტიტუტსა და მოსკოვის ქალთა გიმნაზიებში მოღვაწეობდა. ალექსანდრე ხახანაშვილს საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის, განათლების, ეთნოგრაფიისა და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან საკითხებზე ქართულ, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე 80-მდე ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული.

ალექსანდრე ხახანაშვილმა მსოფლიო მეცნიერთა შორის დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, როგორც გამოჩენილმა ფილოლოგმა, ისტორიკოსმა და ორიენტალისტმა. ის უნივერსალური ენციკლოპედიის თანაავტორია, რომელიც მისი გამომცემლების, ფ. ბროკჰაუზის და ი. ეფრონის, სახელითაა ცნობილი (*Энциклопедический словарь Ф.А. Брокгауз, И.А. Ефрон, Петербург, 1890-1907*). პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი კავკასიის როგორც ქართულ, ასევე რუსულ ყველა გამოცემაში იბეჭდებოდა. მათ შორისაა: „ივერია“, „კვალი“, „მომბე“, „Жизнь“, „Юридический вестник“, „Вестник всемирной истории“, „Вестник Европы“, „Этнографическое обозрение“, „Журнал для всех“ და სხვა.

ალექსანდრე ხახანაშვილის მრავალრიცხოვან ნაშრომთა შორის ფუნდამენტურ ნაშრომად „ქართული სიტყვიერების ისტორია“ მიიჩნევა. ნაშრომი მოსკოვში 1895-1902 წ. წ. რუსულ ენაზე 4 ტომად გამოიცა (*“Очерки по истории грузинской словестности”*), შემდგომში კი – ქართულად, ორ ტომად. იგი საქართველოს სულიერი საგანძურის პოპულარიზაციის და მისი ევროპისათვის გაცნობის მიმართულებით გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯადაა შეფასებული (ნონა კუპრეიშვილი, „ალექსანდრე ხახანაშვილი (1864-1912)“ <http://nateba.websail.net/biographies/275-khakhnashvili>). ასევე მნიშვნელოვანია მისი მონოგრაფია უძველეს დროში ქართველების მცირე აზიაში განსახლების შესახებ – *“Древнейшие пределы расселения грузин по Малой Азии”* (M., 1890 и 1892); აგრეთვე ნაშრომები: „ბრიტანიის მუზეუმის ქართული ხელნაწერები“ (1896); „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები“ (1898); „ქართული სამწერლო ენა“ (1901) და სხვ. 1892-95 წლებში ალექსანდრე ხახანაშ-



ალექსანდრე ხახანაშვილი და მისი სახელობის ქუჩა თბილისში.



ვილის მიერ ჩატარებული საქართველოს სიძველეების კვლევის შედეგები შესულია 1897 წ. მოსკოვში გამოცემულ მის ნაშრომში „არქეოლოგიური ექსკურსია კავკასიაში“ („Археологическая экскурсия на Кавказ 1892, 1893 и 1895 гг.“, Москва, 1897).

ალექსანდრე ხახანაშვილს სამეცნიერო მოღვაწეობის პროცესში მჭიდრო კავშირი ჰქონდა როგორც ქართველ, ისე უცხოელ მეცნიერებთან, სასულიერო პირებსა და საზოგადო მოღვაწეებთან. მათ შორის იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, მიხეილ თამარაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი საძაგლიშვილი (კირიონ II-უნწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი). მას მიმონწერა ჰქონდა მარჯორი და ოლივერ უორდროპებთან, გერმანელ ქართველოლოგ ჰუგო შუხარდტთან, ნიკო მართან, არტურ ლაისტთან, ჩეხ ისტორიკოს, არქეოლოგსა და ეთნოგრაფ ლიუბორ ნიდერლესთან და სხვ.

პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილის ნაშრომებიდან ერთ-ერთი გამორჩეულთაგანია 1900 წლის პარიზის მსოფლიო გამოფენისათვის რაფიელ ისარლიშვილის რედაქციით გამოცემულ წიგნში მის მიერ დაწერილი საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და ლიტერატურის მიმოხილვა (*Aperçu géographique et Abrégé de l'Histoire et de la Littérature géorgiennes*). ამ ნაშრომმა წიგნის გამოქვეყნებისთანავე დიდი მოწონება დაიმსახურა. იმდროინდელ ფრანგულ ჟურნალ „La Réforme“-ში აღნიშნული იყო: „ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა ერთი მეტად საინტერესო თხზულება საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და ლიტერატურის შესახებ. ლიტერატურული ნაწილი ეკუთვნის პროფ. ალ. ხახანაშვილს, რომელიც გვაცნობს ისეთ რამეებს, რომელთა არსებობას ამიერკავკასიის პროვინციაში სრულიად არ მოველოდით“ (ნონა კუპრეიშვილი, „ალექსანდრე ხახანაშვილი (1864-1912)“).

ალექსანდრე ხახანაშვილი 1912 წ. 48 წლის ასაკში გარდაიცვალა, დაკრძალულია ქ. თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. სამშობლოს წინაშე ალექსანდრე ხახანაშვილის ღვაწლის აღსანიშნავად და მისი სახელის უკვდავსაყოფად, ქუჩებს თბილისსა და ქუთაისში მისი სახელი მიენიჭა.

## საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო აღიარების პროცესი:

### პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე წარმოდგენილი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა 118 წლის შემდეგ.

პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე საქართველოს განყოფილებაში წარმოდგენილი კულტურული მემკვიდრეობის მრავალმა ნიმუშმა თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო აღიარება უკვე ოფიციალურ დონეზე მოიპოვა. რაფიელ ისარლიშვილის ხელმძღვანელობით გამოცემულ წიგნში – „საქართველოს ისტორია“ მოცემულია ქვეყნის ის მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც ამჟამად ზოგადსაკაცობრიო ღირებულებად არის შეფასებული და, მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსით, UNESCO-ს ძირითად ნუსხაშია (The List) აღრიცხული. წიგნში (საქ. ისტ) ასახულია ბუნებრივი და ურბანული მემკვიდრეობაც, რომლის ზოგადსაკაცობრიო ღირებულების აღიარების პროცესი ამჟამად მიმდინარეობს – კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები, რომლებიც თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სახელმწიფოს მიერ შეტანილია UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის მოსაპოვებლად წინასწარ ნუსხაში (Tentative List).


### მცხეთის ისტორიული ძეგლები (Historical Monuments of Mtskheta)

საქართველოს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიოსათვის გაცნობის მიზნით, წიგნში – „საქართველოს ისტორია, პარიზი-ტიფლისი, 1900“ წარმოდგენილია მცხეთის ფოტოილუსტრაცია, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრით და ჯვრის მონასტრით.

საქართველოს ძველი დედაქალაქი მცხეთა, თავისი უნიკალური კულტურული მემკვიდრეობით, დღესაც, როგორც საუკუნეების წინ, საქართველოს სავიზიტო ბარათია. უფლის კვართის სავანე - სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი და ჯვრის მონასტერი, რომელიც წმინდა ნინოს მიერ აღმართული ჯვრის ადგილზე VI საუკუნეში აგებული, საქართველოს მოსახლეობასა და უცხოელ ტურისტებს შორისაც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. მცხეთა თანამედროვე სამყაროში ცივილიზაციის და ქრისტიანული აღმსარებლობის ერთ-ერთ ცენტრად მოიაზრება. ისტორიულ პროცესში, მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით, საქართველოს სახელმწიფომ მრავალი საკანონმდებლო აქტი მიიღო. მათ შორის არის დადგენილებები, რომლებიც მცხეთის სტატუსს განსაზღვრავს.

მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის ღირებულების გათვალისწინებით და მისი დაცვის უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობის მიერ 1950 წელს მცხეთის





UNESCO-ს სტატუსის მქონე მცხეთის ისტორიული ძეგლები (Historical Monuments of Mtskheta).

სახელმწიფო ნაკრძალის გენერალური გეგმა დამუშავდა, შემდგომ წლებში კი რამდენიმე დადგენილება გამოიცა მცხეთის სტატუსის შესახებ, მათ შორის აღსანიშნავია:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება N564, 06.11. 1968 წ. - „ქალაქ მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალად გამოცხადების შესახებ“;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება N653 ,14.09. 1977 წ. - „ქალაქ მცხეთის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის შექმნის შესახებ“.

მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის გათვალისწინებით, მცხეთა 1994 წლიდან შედის UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძირითად ნუსხაში. გადანყვეტილება ამის შესახებ მიიღეს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მე-18 სესიაზე, რომელიც 1994 წელს ტაილანდის ქალაქ ფხუკეთში (Phuket) ჩატარდა (გადანყვეტილება NCONF 003 XI). მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში მცხეთა ჯერ ქალაქ-მუზეუმ-ნაკრძალის (City-Museum Reserve of Mtskheta) სახელწოდებით შევიდა, ხოლო 2005 წლიდან, სახელწოდების ცვლილების შესახებ სამხრეთ აფრიკის ქალაქ დურბანში ჩატარებული მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 29-ე სესიაზე მიღებული გადანყვეტილების (N 29 COM 8B.1) საფუძველზე – მცხეთის ისტორიული ძეგლების (ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი და სამთავროს მონასტერი), “Historical Monuments of Mtskheta”, სახელწოდებით.

დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, რომ მცხეთის ისტორიული ძეგლები მსოფლიომ გაიცნო, ვიდრე ის 1994 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსს მიიღებდა, თითქმის ერთი საუკუნით ადრე, პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე ექსპონირებული რაფიელ ისარლიშვილის და ალექსანდრე ხახანაშვილის წიგნის – „საქართველოს ისტორია“ მეშვეობით. მსოფლიო გამოფენაზე საქართველოს მონაწილეობის და მისი მიღწევების დემონსტრირების შედეგად, თითქმის ერთი საუკუნით ადრე თარიღდება საქართველოს სხვა მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების მსოფლიოსათვის გაცნობის ფაქტიც. მათ შორის არის ამჟამად UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლები: „გელათის მონასტერი“, „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“, „ქვევრის ღვინის დაყენების ტრადიციული მეთოდი“, ასევე კულტურული მემკვიდრეობის ის ნიმუშები, რომლებიც ამჟამად საქართველოს მიერ UNESCO-ს წინასწარ ნუსხაშია წარდგენილი. მათ შორის აღსანიშნავია ნომინაციები: „თბილისის ისტორიული ნაწილი“, საქართველოს ისტორიული ძეგლები, ბუნებრივი მემკვიდრეობა და კულტურული ლანდშაფტები, როგორებიცაა: თუშეთი, ვარძია, შატილი, ანანურის და კვეტერას ტაძრები და სხვ.



**Tbilisi Historic District**

**Georgia**  
 Date of Submission: 24/06/2007  
 Criteria: (i)(ii)(iii)(iv)(vi)  
 Category: Cultural  
 Submitted by:  
 Ministry of Culture, Monuments Protection and Sport of Georgia  
 State, Province or Region:  
 Central Region  
 Coordinates: 544 49 E41 37  
 Ref.: 5233

**Description**

Tbilisi is a great sample of Georgian urban heritage, in which an interesting process of adoption of foreign influences penetrating in the course of the centuries, their creative transformation and adaptation to the traditional Georgian dwelling and its planning structure is still alive. Major factor determining a character of the original national culture - geo-political location of Georgia on the cross-roads of Europe and Asia with all consequent historical conditions - had drastically affected Tbilisi, fifteen century old capital of the country, being reflected in its unique artistic and architectural integrity.

Remarkable peculiarity of the city is preeminent by the active part played by the specific natural setting in the location of its general aspect and despite significant interventions, original topography of the city and environment is still preserved. Narrow portion of the river bed selected for its location, mountain ridge on the right bank of the river destined for the elevated, picturesque rocky plateau on the opposite side, are obviously perceptible in the general silhouette of the city. Minor structures of the Late Medieval urban fabric provide favourable background to the architectural accents - Narikala fortress and Metekhi church - crowning these landmarks of nature.

Great is the historical significance of Tbilisi, permanent capital of the Christian Georgian state from the days of its foundation up to present, "grand city" of the historical Silk Road in the course of centuries, centre of the whole Caucasus from the 16th c. onwards.

Building layers dating to the foundation of the city together with spontaneously developed urban fabric of the feudal epoch, 19th century regular planning, buildings of "Tsarist period" (imperial heritage of the past), all these form - create city organism reflecting diverse stages in its history, being united by the unique "Tbilisian spirit" and, despite its certain eclectic character, combining it into an organic indivisible integrity.

Main determinant of the city architectural aspect - unique "Tbilisian spirit" and character of residential houses - is formed with its community, being imbued with its characteristic traits, these houses, with their age-old traditional dwelling types, procedural emergence of not only motifs of life and tastes of always multi-national, free and tolerant in the respect of religious confession, united by the "Georgian habits and behaviour", speech-heard inhabitants of Tbilisi, but also universal warm and human environment, which is highly aesthetic and desirable even today. Alongside functional perfection of the traditional dwelling, these houses reflect, among diversity of the national artistic creativity, which is displayed in their spatial-organizational and artistic-aesthetic aspects. Apart from the unique lived dwellings with superb architectural and decorative rendering, distinction of such structure manifested in the singularity of its silhouette and interplay with the setting, give birth to numerous unexpected effects, imparting new life to the city and despite rude interventions, still preserve their originality.

A balcony and a courtyard - characteristic elements of the traditional southern dwellings - are turned into inimitable counterparts of Tbilisi dwelling houses, in which possibilities of architectural building material - wood and brick - are fully revealed. Interesting "Tbilisian" model of "open dwelling" is substituted by means of well thought off combination of the courtyards and balconies with the street. Here a balcony had undergone interesting development in the process of adaptation to the southern European style façades the same is the case with the courtyards, which had even penetrated into the Art Nouveau style buildings contributing to the creation of its unforgettable "Tbilisian" samples.

UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის წინასწარ  
 ნუსხაში 2001 წლიდან წარდგენილი თბილისის  
 ისტორიული ნაწილი  
 (Tbilisi Historic District).



## თბილისის ისტორიული ნაწილი (Tbilisi Historic District)

წიგნში “Histoire de Géorgie, Paris-Tiflis, 1900” („საქართველოს ისტორია“, პარიზი-ტიფლისი) მცხეთასთან ერთად წარმოდგენილია თბილისის ისტორიული ნაწილის ფოტო-ილუსტრაცია. ფოტოზე ასახულია მე-19 საუკუნის დასასრულის თბილისი თავისი ურბანული გარემოთი – ეკლესიებით და მტკვრის სანაპიროს განაშენიანებით. ამ ილუსტრაციით ხაზგასმულია თბილისის ისტორიულად ჩამოყალიბებული ურბანული გარემოს ფასეულობა და მისი კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა არა მხოლოდ საქართველოსათვის, არამედ მთელი ცივილიზებული სამყაროსათვის.

თბილისის ურბანული მემკვიდრეობის ღირებულების გათვალისწინებით და მისი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობის 1975 წლის 25 თებერვლის N141 დადგენილებით, განისაზღვრა „ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონა“. 1985 წელს თბილისის ისტორიული ნაწილის დაცვის მექანიზმების გასაუმჯობესებლად, საქართველოს მთავრობამ გამოსცა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, ამჟამად მოქმედი დადგენილება „ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ (დადგენილება N76, 29.01.1985). ამ საკანონმდებლო აქტით, თბილისის ისტორიული ნაწილის ფარგლებში დადგინდა სამი ზონა შესაბამისი რეჟიმით, მათ შორის: ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის, განაშენიანების რეგულირების და ლანდშაფტის დაცვის ზონები.

საქართველოსთვის საუკუნის შემდეგაც აქტუალურია თბილისის ისტორიული ნაწილის საერთაშორისო საზოგადოებისათვის გაცნობის და მისი ზოგადსაკაცობრიო ღირებულების აღიარების საკითხი. საქართველოს სახელმწიფომ ნომინაცია: „თბილისის ისტორიული ნაწილი“ (Tbilisi Historic District), საერთაშორისო კრიტერიუმების (ii)(iii)(iv)(v)(vi) საფუძველზე, საქართველოს მთავრობის დადგენილებით N76, 29.01.1985 განსაზღვრული დაცვის მექანიზმების გათვალისწინებით, 1999 წლის 9 დეკემბერს UNESCO-ს ცენტრს განსახილველად წარუდგინა. 2001 წელს ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭომ (ICOMOS) ეს ნომინაცია შეაფასა. საქართველოს მიერ გაგზავნილი ნომინაცია და ICOMOS-ის მიერ მომზადებული რეკომენდაციები 2001 წლის 11-16 დეკემბერს ქ. ჰელსინკიში (ფინეთი) ჩატარებულ მსოფლიო მემკვიდრეობის 25-ე მორიგ სესიაზე (UNESCO 25th ordinary session) განიხილა. UNESCO-ს დოკუმენტის თანახმად, ICOMOS-მა თბილისის გამორჩეული ზოგადსაკაცობრიო ღირებულება აღიარა, თუმცა სახელმწიფო მხარეს ურჩია, რომ ძალისხმევა ისტორიული ნაწილის შესანარჩუნებლად გაეგრძელებინა და, როგორც პირობა, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესაყვანად, სათანადო კონსერვაციისა და ისტორიულ ქალაქში ცვლილების კონტროლის შესაბამისი ინსტრუმენტები შეემუშავებინა. ICOMOS-მა საერთაშორისო საზოგადოებასაც მოუწოდა, რომ სახელმწიფო მხარეს ამ მნიშვნელოვან წამოწყებაში ყველანაირად დაეხმაროს. UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად, თბილისის ისტორიული ნაწილის ნომინაცია ხარვეზების შესასწორებლად საქართველოს დაუბრუნდა, კერძოდ, სათანადო საკანონმდებლო ჩარჩოს, მართვის სტრუქტურისა და რეაბილიტაციის სახელმძღვანელო პრინციპების შესამუ-

შავებლად. (იხ. დოკ. WHC-01/CONF.208/INF - 11 Rev. - UNESCO 25<sup>th</sup> ordinary session, 11-16. XII.2001-Tbilisi (Georgia). No 1020, Nomination: Tbilisi Historic District, გვ. 86-90).

საქართველოსათვის ნომინაცია „თბილისის ისტორიული ნაწილი“ UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსის მისაღებად კვლავ დღის წესრიგშია. იმის გათვალისწინებით, რომ UNESCO-ს წინასწარი ნუსხის (UNESCO Tentative List) განახლება 10 წლის ინტერვალით ხდება, ნომინაცია „თბილისის ისტორიული ნაწილი“ (Tbilisi Historic District) საქართველომ განახლებულ წინასწარ ნუსხაში როგორც 2007, ასევე 2017 წელს წარადგინა.


## გელათის სამონასტრო კომპლექსი (Gelati Monastery)

წიგნში – “Histoire de Géorgie” („საქართველოს ისტორია“) ილუსტრაციებს შორის გელათის სამონასტრო კომპლექსის პანორამული ხედიცაა, რითაც ხაზგასმულია მისი განსაკუთრებული ადგილი საქართველოს ისტორიაში.

საუკუნეების განმავლობაში გელათის მონასტერს არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, როგორც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გამორჩეულ ძეგლს. ქალაქ ქუთაისის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ეს შუა საუკუნეების ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მქონე კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი დღესაც მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. გელათის მონასტერი და აკადემია 1106 წელს საქართველოს მეფე დავით აღმაშენებლის თაოსნობით დაარსდა. მონასტრის კარიბჭესთან არის მისი საფლავიც, რომელზედაც, მეფის ანდერძის თანახმად, ყველას შეუძლია დააბიჯოს ფეხი. მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, საქართველოს მთავრობის 1981 წლის 21 აპრილის N319 დადგენილებით „ქუთაისი-გელათის მუზეუმ-ნაკრძალის შექმნის შესახებ“, გელათი მუზეუმ-ნაკრძალად გამოცხადდა. 1988 წელს გელათის მონასტერში ღმრთისმსახურება და სამონასტრო ცხოვრება აღდგა, 1994 წელს კი UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

გელათის მონასტერი, მისი ზოგადსაკაცობრიო ღირებულების გათვალისწინებით, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში 1994 წელს ქალაქ ფხუკეთში ( ტაილანდი), მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მე-18 სესიაზე, ბაგრატის ტაძართან ერთად შევიდა (მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის გადაწყვეტილება N 18 COM XI). 2017 წელს, საზღვრების მნიშვნელოვანი მოდიფიკაციის (significant boundary modification) ფარგლებში, გელათის სანომინაციო დოკუმენტები განახლდა და, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 41-ე სესიაზე, პოლონეთის ქ. კრაკოვში მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში გელათის მონასტერი შევიდა ცალკე საიტად, სახელწოდებით – „გელათის მონასტერი“ (Gelati Monastery) (მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის გადაწყვეტილება N 41 COM 8B.31).





გელათის სამონასტრო კომპლექსი.

## ქართული ანბანი

წიგნში – „საქართველოს ისტორია“ (“Histoire de Géorgie”) საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო საზოგადოებისათვის გაცნობის მიზნით, წარმოდგენილია ქართული ანბანი თავისი ნაირსახეობებით. ქართული ანბანი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საძირკველია. საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების ისტორიულ პროცესში ანბანის რამდენიმე სახეობა ჩამოყალიბდა. ამჟამად დადასტურებულია სამი ძირითადი სახეობა: მხედრული, ასომთავრული და ნუსხური. სამივე სახეობა დღემდე როგორც საერო, ასევე საეკლესიო ცხოვრებაში გამოიყენება და საქართველოს „ცოცხალი კულტურის“ ფუნდამენტური ნაწილია. ქართული ანბანი, თავისი ნაირსახეობებით, საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი და მსოფლიო ცივილიზაციაში საქართველოს მიერ შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილია.

საზოგადოებრივი გამოცდილების, ზეპირი ტრადიციებისა და გამოხატვის ფორმების ნომინაციით „ქართული ანბანის სამი უძველესი სახეობის ცოცხალ კულტურას“ 2015 წელს, საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, ეროვნული კატეგორიის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა (საქართველოს მთავრობის დადგენილება N116, 19.03.2015 „ქართული ანბანის სამი უძველესი სახეობის ცოცხალი კულტურა“) 2016 წელს კი UNESCO-ს მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შევიდა (“La culture vivante des trois systèmes d’écriture de l’alphabet géorgien“-ფრ.; “Living culture of three writing systems of the Georgian alphabet“-ინგ.). ქართული დამწერლობის ევოლუციის შედეგად მიღებული სამი ანბანური სისტემის (მრგვლოვანი, ნუსხური, მხედრული) ცოცხალი კულტურის, როგორც მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, აღიარების გადანყვეტილება UNESCO-მ ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში გამართულ UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მთავრობათაშორისი კომიტეტის მე-11 სესიაზე 2016 წლის 30 ნოემბერს მიიღო (გადანყვეტილება N 11,COM 10.b.13).

ამგვარად, პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე წიგნის – „საქართველოს ისტორია“ ექსპონირების მეშვეობით, უნიკალური ქართული ანბანის ნაირსახეობას საერთაშორისო საზოგადოება პირველად გაეცნო, ხოლო ერთი საუკუნის შემდეგ ქართული ანბანის ფენომენმა მსოფლიო აღიარება უკვე ოფიციალურად მოიპოვა და თანამედროვე სამყაროში ზოგადსაკაცობრიო ღირებულების არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსით დამკვიდრდა.

# ქართული ანბანი

1	2	3	4	5	1	2	3	4	5
ა	ბ	გ	დ	ე	ს	ხ	ც	ძ	წ
2	3	4	5	6	2	3	4	5	200
ვ	გ	დ	ე	ზ	ქ	ღ	ყ	შ	300
3	4	5	6	7	6	7	8	9	
თ	ი	კ	ლ	მ	ჩ	ც	ც	ც	400
4	5	6	7	8	ყ	შ	ჩ	ც	500
5	6	7	8	9	ძ	წ	ჭ	ხ	600
6	7	8	9	10	ხ	ც	ძ	წ	700
7	8	9	10	11	წ	ჭ	ხ	ჯ	800
8	9	10	11	12	ჭ	ხ	ჯ	ჟ	900
9	10	11	12	13	ხ	ც	ძ	წ	1000
10	11	12	13	14	ც	ძ	წ	ჭ	2000
11	12	13	14	15	ძ	წ	ჭ	ხ	3000
12	13	14	15	16	წ	ჭ	ხ	ჯ	4000
13	14	15	16	17	ჭ	ხ	ჯ	ჟ	5000
14	15	16	17	18	ხ	ც	ძ	წ	6000
15	16	17	18	19	ც	ძ	წ	ჭ	7000
16	17	18	19	20	ძ	წ	ჭ	ხ	8000
17	18	19	20	21	წ	ჭ	ხ	ჯ	9000
18	19	20	21	22	ჭ	ხ	ჯ	ჟ	10000
19	20	21	22	23	ხ	ც	ძ	წ	
20	21	22	23	24	ც	ძ	წ	ჭ	
21	22	23	24	25	ძ	წ	ჭ	ხ	
22	23	24	25	26	წ	ჭ	ხ	ჯ	
23	24	25	26	27	ჭ	ხ	ჯ	ჟ	
24	25	26	27	28	ხ	ც	ძ	წ	
25	26	27	28	29	ც	ძ	წ	ჭ	
26	27	28	29	30	ძ	წ	ჭ	ხ	
27	28	29	30	31	წ	ჭ	ხ	ჯ	
28	29	30	31	32	ჭ	ხ	ჯ	ჟ	
29	30	31	32	33	ხ	ც	ძ	წ	
30	31	32	33	34	ც	ძ	წ	ჭ	
31	32	33	34	35	ძ	წ	ჭ	ხ	
32	33	34	35	36	წ	ჭ	ხ	ჯ	
33	34	35	36	37	ჭ	ხ	ჯ	ჟ	
34	35	36	37	38	ხ	ც	ძ	წ	
35	36	37	38	39	ც	ძ	წ	ჭ	
36	37	38	39	40	ძ	წ	ჭ	ხ	
37	38	39	40	41	წ	ჭ	ხ	ჯ	
38	39	40	41	42	ჭ	ხ	ჯ	ჟ	
39	40	41	42	43	ხ	ც	ძ	წ	
40	41	42	43	44	ც	ძ	წ	ჭ	
41	42	43	44	45	ძ	წ	ჭ	ხ	
42	43	44	45	46	წ	ჭ	ხ	ჯ	
43	44	45	46	47	ჭ	ხ	ჯ	ჟ	
44	45	46	47	48	ხ	ც	ძ	წ	
45	46	47	48	49	ც	ძ	წ	ჭ	
46	47	48	49	50	ძ	წ	ჭ	ხ	
47	48	49	50	51	წ	ჭ	ხ	ჯ	
48	49	50	51	52	ჭ	ხ	ჯ	ჟ	
49	50	51	52	53	ხ	ც	ძ	წ	
50	51	52	53	54	ც	ძ	წ	ჭ	
51	52	53	54	55	ძ	წ	ჭ	ხ	
52	53	54	55	56	წ	ჭ	ხ	ჯ	
53	54	55	56	57	ჭ	ხ	ჯ	ჟ	
54	55	56	57	58	ხ	ც	ძ	წ	
55	56	57	58	59	ც	ძ	წ	ჭ	
56	57	58	59	60	ძ	წ	ჭ	ხ	
57	58	59	60	61	წ	ჭ	ხ	ჯ	
58	59	60	61	62	ჭ	ხ	ჯ	ჟ	
59	60	61	62	63	ხ	ც	ძ	წ	
60	61	62	63	64	ც	ძ	წ	ჭ	
61	62	63	64	65	ძ	წ	ჭ	ხ	
62	63	64	65	66	წ	ჭ	ხ	ჯ	
63	64	65	66	67	ჭ	ხ	ჯ	ჟ	
64	65	66	67	68	ხ	ც	ძ	წ	
65	66	67	68	69	ც	ძ	წ	ჭ	
66	67	68	69	70	ძ	წ	ჭ	ხ	
67	68	69	70	71	წ	ჭ	ხ	ჯ	
68	69	70	71	72	ჭ	ხ	ჯ	ჟ	
69	70	71	72	73	ხ	ც	ძ	წ	
70	71	72	73	74	ც	ძ	წ	ჭ	
71	72	73	74	75	ძ	წ	ჭ	ხ	
72	73	74	75	76	წ	ჭ	ხ	ჯ	
73	74	75	76	77	ჭ	ხ	ჯ	ჟ	
74	75	76	77	78	ხ	ც	ძ	წ	
75	76	77	78	79	ც	ძ	წ	ჭ	
76	77	78	79	80	ძ	წ	ჭ	ხ	
77	78	79	80	81	წ	ჭ	ხ	ჯ	
78	79	80	81	82	ჭ	ხ	ჯ	ჟ	
79	80	81	82	83	ხ	ც	ძ	წ	
80	81	82	83	84	ც	ძ	წ	ჭ	
81	82	83	84	85	ძ	წ	ჭ	ხ	
82	83	84	85	86	წ	ჭ	ხ	ჯ	
83	84	85	86	87	ჭ	ხ	ჯ	ჟ	
84	85	86	87	88	ხ	ც	ძ	წ	
85	86	87	88	89	ც	ძ	წ	ჭ	
86	87	88	89	90	ძ	წ	ჭ	ხ	
87	88	89	90	91	წ	ჭ	ხ	ჯ	
88	89	90	91	92	ჭ	ხ	ჯ	ჟ	
89	90	91	92	93	ხ	ც	ძ	წ	
90	91	92	93	94	ც	ძ	წ	ჭ	
91	92	93	94	95	ძ	წ	ჭ	ხ	
92	93	94	95	96	წ	ჭ	ხ	ჯ	
93	94	95	96	97	ჭ	ხ	ჯ	ჟ	
94	95	96	97	98	ხ	ც	ძ	წ	
95	96	97	98	99	ც	ძ	წ	ჭ	
96	97	98	99	100	ძ	წ	ჭ	ხ	

1. ასომთავრული 2. ნუსხური 3. მხედრული  
4. საერთაშორისო ტრანსკრიფცია 5. რიცხვითი მნიშვნელობა



## დედა ენა

საქართველოს საგანმანათლებლო სფეროში მე-19 საუკუნის შემაჯამებელი მიღწევების საილუსტრაციოდ, წიგნში – „საქართველოს ისტორია“ საგანგებოდ წარმოდგენილია იაკობ გოგებაშვილის მიერ დაწყებითი სწავლებისათვის შექმნილი სახელმძღვანელო „დედა ენა“, მსოფლიო საზოგადოებისათვის მისი ავტორის გაცნობის მიზნით კი აღნიშნულია იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი განათლების სფეროში.

საუკუნის შემდეგ „დედა ენას“, უკვე როგორც ქართული საანბანო სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს, რომელიც 1876 წლიდან იღებს დასაბამს, 2013 წელს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა, 2014 წელს კი, საქართველოს მთავრობის განკარგულების თანახმად, ეროვნული კატეგორია განესაზღვრა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ – დაწყებითი სწავლებისათვის ახალგამოცემულ სახელმძღვანელოების რიგშია.



„დედა ენა“, გამოცემული 1876 და 2016 წ. წ.



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უწეტარესის – ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2016 წელს დაბეჭდილი იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“.

## ქართული პოლიფონია

1900 წელს პარიზში წიგნის „საქ.ისტ.“ გამოცემისთანავე ბატონ რაფიელ ისარლიშვილს სურვილი გაუჩნდა, საერთაშორისო საზოგადოებისათვის საქართველოს კიდევ უფრო მეტი კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის გაცნობის მიზნით, წიგნი ხელახლა გამოეცა უფრო ვრცელი და გაუმჯობესებული რედაქციით. ალექსანდრე ხახანაშვილისადმი მიწერილ წერილში, ის ახალი გამოცემისათვის დამატებით წარმოსადგენ საკითხებს შორის ქართულ მუსიკას და მედიცინას ასახელებს. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ქართული მუსიკის მსოფლიოსათვის გაცნობის მისი ეს სურვილი საუკუნის შემდეგ მაინც აღსრულდა. ქართული ხალხური სიმღერა-გალობის საფუძველზე აღმოცენებული ქართული მრავალხმიანობა, როგორც პოლიფონიის ზოგადსაკაცობრიო ფასეულობის ნიმუში - „ქართული პოლიფონიური სიმღერა“ (“Le chant polyphonique géorgien“-ფრ. “Georgian polyphonic singing“-ინგ.) 2001 წელს UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ხელთუქმნელ შედეგად იქნა აღიარებული, 2008 წელს კი ის UNESCO-ს ზოგადსაკაცობრიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შევიდა (გადაწყვეტილება N3.COM).

ქართული მუსიკის ზოგადსაკაცობრიო ღირებულების საერთაშორისო დონეზე აღიარების თვალსაჩინო მაგალითია ქართული ხალხური მრავალხმიანი სიმღერის – „ჩაკრულო“ კოსმოსში გაგზავნის ისტორიული ფაქტიც. როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების ნასას (NASA) კოსმოსური პროგრამის ფარგლებში, როგორც გზავნილი შორეულ გალაქტიკებს, „ოქროს დისკებზე“ (მოოქროვილი საინფორმაციო ფირფიტები) დედამიწის ხმოვანი და ვიდეოსიგნალები ჩაინერა. ამ გზავნილმა, სავარაუდოდ, მილიარდობით წელს უნდა გაუძლოს, იმ დროსაც, როცა დედამიწა, შესაძლებელია, უკვე სრულიად შეცვლილი იყოს. კოსმოსური აპარატები „ვოიაჯერ-1“ (Voyager-1) და „ვოიაჯერ-2“ (Voyager-2), მათზე დამაგრებული ოქროს დისკებით, კოსმოსში 1977 წელს გაიგზავნა. ოქროს დისკებზე არსებული ჩანაწერების 78% მულტიკულტურული მუსიკალური ფორმებია. საერთაშორისო ჟიურიმ 27 მუსიკალური ნაწარმოები შეარჩია. ბახის, ბეთჰოვენის, მოცარტის, სტრავენსკის ნაწარმოებებთან ერთად, ჟიურიმ ქართული მრავალხმიანი ხალხური სიმღერა „ჩაკრულო“ აირჩია. ნასას ამ პროექტთან დაკავშირებით, ამერიკის შეერთებული შტატების 39-ე პრეზიდენტი ჯიმი კარტერი (James Earl “Jimmy” Carter) აღნიშნავდა: „ეს არის საჩუქარი შორეული პატარა სამყაროდან: ჩვენი ხმები, ჩვენი მეცნიერება, ჩვენი გამოსახულებები, ჩვენი მუსიკა, ჩვენი აზრები და გრძნობები“. ამგვარად, საქართველოს სასიქადულოდ, 1977 წლიდან უკიდევანო კოსმოსურ სივრცეში დედამიწის მრავალხმიანობაში ქართული მუსიკაც ჟღერს.



ამერიკის შეერთებული შტატების ნასას (NASA) კოსმოსური პროგრამის ფარგლებში, როგორც გზავნილი შორეულ გალაქტიკებს, „ოქროს დისკებზე“ ჩანერილი ქართული ხალხური მრავალხმიანი სიმღერა „ჩაკრულო“ კოსმოსში 1977 წელს გაიგზავნა.



## საქართველოს მიღწევები სოფლის მეურნეობის დარგში – არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები.

პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე სოფლის მეურნეობის დარგში ქვეყნის მიღწევების დემონსტრირების მიზნით, საქართველოს მიერ წარმოდგენილი იყო ქართველ მემამულეთა ნაწარმი. ექსპონირებულ ნიმუშებს შორის იყო ქართული ღვინოც. ღვინის მომზადების ტექნოლოგიები მრავალფეროვანია, მაგრამ, როგორც ცნობილია, ისტორიულ პროცესში საქართველოში ჩამოყალიბდა ღვინის დაყენების უნიკალური მეთოდი – მინაში ჩამარხულ კერამიკულ ჭურჭელში – ქვევრში ღვინის დაყენების ტრადიცია.

საქართველოში მეღვინეობის დარგში ათასწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული ცოცხალი კულტურის ნიმუში – „ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი“ (“Ancient Georgian traditional Qvevri wine-making method“-ინგ.; “La méthode géorgienne de vinification à l’ancienne dans des kvevris traditionnels“- ფრ.) 2013 წლის 4 დეკემბერს UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შევიდა (გადაწყვეტილება N8.COM). და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა.

საქართველოში თანამედროვე ეტაპზე სოფლის მეურნეობის დარგში არსებული მრავალი ქართული ტრადიციული მეთოდი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად არის აღიარებული. საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ამჟამად შეტანილია მესხური ყველის, „ტენილი“, დამზადების ტექნოლოგია, „ლალიძის წყლების ტექნოლოგია და კულტურა“, უძველესი ფშაური საკვები პროდუქტის, „დამბალხაჭო“, დამზადების ტექნოლოგია და კულტურა, სვანური სამზარეულოს ნიმუშები: ფეტვიანი ხაჭაპური, კუბდარი, სვანური მარილი, თაშმჯაბის დამზადების ტრადიციული მეთოდები; ზემო სვანეთის სამკურნალო-მინერალური მუყავე წყლების მოხმარების ტრადიცია, კახური ჩურჩხელის დამზადების ტექნოლოგია.

აღსანიშნავია, რომ პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენისათვის, სოფლის მეურნეობის ნაწარმის ექსპონირების და პოპულარიზაციის მიზნით, რაფიელ ისარლიშვილმა რძის პროდუქტებისათვის სპეციალური ჭურჭელი დაამზადა. მხატვრულად გაფორმებული შუშის ბოთლები და ქილები რაფიელ ისარლიშვილის ინიციალებით (R. I.) და ისარლიშვილების საგვარეულო გერბზე გამოსახული გვირგვინით. ამ რელიკვიებს შორის არის შუშის ქილები, რომელიც ქართული ტრადიციული მეთოდით დამზადებული რძის პროდუქტის - მანვნის ექსპონირებისათვის იყო განკუთვნილი. პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენისათვის დამზადებული ჭურჭლის ნიმუშები ისარლიშვილების ოჯახში შემოინახა. ამგვარად, ქართული ტრადიციული რძის პროდუქტების, კერძოდ კი მანვნის, დამზადებისა და მოხმარების კულტურა, პარიზის უნივერსალუ-



რი გამოფენის მეშვეობით, მსოფლიომ 118 წლის წინ გაიცნო. ამდენად, თანამედროვე გადასახედიდან, უნიკალური თვისებების მქონე ქართული მანონი იმ ნიმუშების რიგში შეიძლება განვიხილოთ, რომლის დამზადების ტექნოლოგიური ტრადიციული მეთოდი და მოხმარების წესი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭების ღირსია.



სპეციალურად პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე სოფლის მეურნეობის ნაწარმის ექსპონირებისათვის დამზადებული შუშის ჭურჭლის ნიმუშები რაფიელ ისარლიშვილის ინიციალებით (R. I.) (რელიკვიები-ისარლიშვილების შთამომავლების, საფარიშვილების ოჯახიდან).





## საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო აღიარების ახალი მაგალითები

2018 წელს UNESCO-მ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში ქართული ჭიდაობა შეიტანა. გადაწყვეტილება ამის შესახებ 29 ნოემბერს, მავრიკიის ქალაქ პორტ-ლუისში UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მთავრობათა შორისი კომიტეტის მე-13 სესიაზე მიიღეს.

ამგვარად, UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში უკვე ოთხი ქართული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია შესული.



ალავერდის ტაძარი, XI ს.



მისალოც ბარათზე ასახულია ალავერდის ტაძრის ფრესკის ჭიდაობის სცენა (XVI ს.).

## ქეთევან დედოფალი – წმინდა ქეთევან ნამეხული

წიგნში – “Histoire de Géorgie” („საქართველოს ისტორია“), გამორჩეულად არის წარმოდგენილი ქეთევან დედოფლის პიროვნება. თანდართულ ილუსტრაციაში მისი ხატია ასახული, მოთხრობილია მის ღვანლზე სამშობლოს წინაშე, თავდადებაზე ქრისტიანული სარწმუნოებისათვის და მონამებრივ აღსასრულზე.

აღსანიშნავია, რომ ქეთევან დედოფალს საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მას საუკუნეების განმავლობაში თაყვანსა სცემდა მთელი ქრისტიანული სამყარო, როგორც მართლმადიდებელი, ასევე კათოლიკური.

ქეთევან დედოფალი, კახეთის მეფე დავით I-ის მეუღლე და თეიმურაზ I-ის დედა, შაჰ აბასს შირაზში მძევლად ჰყავდა აყვანილი. გამაჰმადიანებაზე უარის თქმის გამო იგი 1624 წლის 12 სექტემბერს საჯაროდ ნამეხით მოკლეს. ამ ამბავთან დაკავშირებით ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი თავის თხზულებაში აღნიშნავდა: „ქეთევანმა უარი განაცხადა ქართველი ქალისთვის დამახასიათებელი საოცრად ურყევი სიმტკიცითა და გამბედაობით“.

პორტუგალიელმა ავგუსტინელ-მისიონერმა მამა ამბროზიო დუშ ანჟუმმა, რომელიც ქეთევან დედოფლის მონამებრივი სიკვდილის მოწმე იყო, შთამომავლობას შემოუნახა მისი წმინდა ნაწილები. ის 1640 წელს რომში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა: „სავარაუდოა, რომ დედოფალი ზეცაშია და ღვთის დიდებით ხარობს. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ წეს-ჩვეულებებს მისდევდა, იგი დიდი სიყვარულით ეკიდებოდა წმინდა კათოლიკურ ეკლესიასა და ყველა ლათინელს“. საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ ქეთევან დედოფალი წმინდანად შერაცხა. მისი ხსენების დღედ 13 სექტემბერი (ახალი სტილით 26 სექტემბერი) დადგინდა. (<https://ka.wikipedia.org/wiki/ქეთევან-დედოფალი>).

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ქეთევან ნამეხულის მონამებრივმა სიკვდილმა დიდი მუხტი მისცა საქართველოს უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლისუნარიანობის ამალგებაში, 1625 წელს – მარტყოფის ბრძოლაში, შემდეგ კი მარაბდის ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვა, რამაც საქართველოში ქრისტიანობის შენარჩუნება უზრუნველყო.

ქეთევან ნამეხულის წმინდა ნაწილები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოხვდა: პორტუგალია, იტალია, საფრანგეთი, ბელგია, საქართველო, რუსეთი, ინდოეთი და სხვ. დღეისათვის ჩამოთვლილთაგან ბევრ ქვეყანაში მათი არსებობის შესახებ საკმარისი ინფორმაცია არ არის. მაგალითად, წიგნში (საქ. ისტ.) აღნიშნულია, რომ ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები ბელგიაში, ნამიურის ტაძარშია (La cathédrale de Namure en Belgique) დავანებული, რასაც ადასტურებს 1845 წლის ცნობაც, რომ დედოფლის წმინდა ნაწილები ნამიურში ინახებოდა. ასევე 1914 წელს გაზეთში – „სახალხო ფურცელი - სურათებიანი დამატება“ დაიბეჭდა ბელგიის ქალაქ ნამიურის ხედი ციხე-სიმაგრით, რომელზე შემდეგი წარწერაა: „ბელგიელების ციხე ნამიური:





წმინდა ქეთევან დედოფლის ფრესკები თბილისის სიონის ტაძარში და წმ. მარიამ ღვთისმშობლის აყვანების სახელობის საკათედრო ტაძარში.

საინფორმაციო ჟურნალი

### წმიდაო ქეთევან, ილიცა ნანანოვიცა!


ა.წ. 23 სექტემბერს, საქართველოში დიდი მოწინააღმდეგეობის წინააღმდეგ, ქეთევანის ნაწილები რაზმებთან ერთად წმინდა ალავერდის მთაზე (ინტოლი) ავერუბნენ. მარტის ალავერდის წმინდანის სახელით, სარკოფაგში დაცული წმიდა ნაწილები, რომლებიც დიდი ხარზუმითაა მოხუცი თბილისის აგროპოლიტი, მთელი ეკლესიის განმავლობაში იწვება დასვენებული საკათედრო მართლმადიდებლური ეპარქიის სტაჟისზე გულსიამოვნო, რათა მოწინააღმდეგეობის მოწინააღმდეგეობაში დაეხმოს, თუ იმ წმიდა ნაწილებს წმინდა ეკლესიაში მოაბრძანებენ ეს ერთგური გარდაცვლილი აქვსოდა იმ დიდმოძრაობის მოწინააღმდეგეობა, რაც იგრძნობდა მისი წამების ადგილზე მხოლოდ კათოლიკე მართლმადიდებლები, რომლებიც კალაპატონის რწმუნობა და სიმტკიცით მოუხსნებლებმა, მისი წამებული სხეულის ნაწილები დიდი რაზმების მიერ დაიჭირეს. რათა შეეწყობა საეპარქიოლოში და სხვა ქრისტიანულ ეკლესიაში ვადგინდეს წმინდა ნაწილები, გარდაცვლილი იმ ფაქტის, გაანალიზოთ იმ წმიდა დედოფლის თავისი უკანასკნელი აღსარება კათოლიკე მისიონერებს, ვინც სპონორებდნენ და დივიანობის კამათი იმის შესახებ, წმინდა იმ არა ეს, რომ იმ კათოლიკე გახდა, ან აღიარა კათოლიკური სიძველესობა. მაგრამ, რა იქნა უნდა, ვერ დივიანობის იმ უდიდეს მო-

წმინდა ქეთევანის წმინდა ნაწილები, რაც მისი ცხოვრების უკანასკნელი წუთებში და შეეძლო მისი პირველი წამიდან აგრძელებს კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს. ცხადია, დაგვიანებული არაფერია ანება... ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ეს სურვილი უკანონოა და იმ წმიდა რაზმების საეპარქიოლოდან უკან გაგზავნილმა მათი მოწვევები სხვადასხვა ეკლესიების და რელიგიების წარმომადგენლებს ამ დღეებში ინიციტივის დასაცვროვებულად... განსაკუთრებით დღეს, როცა გახშირდა საზღვრისა და სხვადასხვა ეკლესიების, წინააღმდეგობა 90% მართლმადიდებლებს, განსაკუთრებით არ დივიანობა იმ მოსაზრებას.

წმინდა ქეთევანის, ცხადია, გაანალიზებული წამი, რაც არის ურთიერთ კოლიზია, დღეს მთავარ ასე უფროს... ველია ჩვენს ადგილობრივ მართლმადიდებლებს, ჩვენს ქართველებს, რომლებიც სხვადასხვა ეკლესიების წამიდან საეპარქიოლოდან უკანასკნელი ამოსუთნებამდე უკანონოებით ველია წამებულის უფლება არ გვაქვს არ შევეუბნოთ.

მედღეობის გარეშე ვერ გავხსნებთ 2015 წლის 17 თებერვლის სისტემობრივ მოვლენას, როდესაც ღობის ოცდობით კომპი ქრისტიანული ზემა ზარბაზნობილია ჩხოვეთის საეპარქიოლოში.

მიწას არ შევბოთ



ინდოეთის ქალაქ გოიადან ჩამობრძანებული ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები თბილისის წმ. მარიამ ღვთისმშობლის აყვანების სახელობის საკათედრო ტაძარში - 2018 წ.

შენობების წინა რიგში მოსჩანს ტაძარი, სადაც ქეთევან წამებული ასაფლავია“. თანამედროვე მკვლევარებმა ამის შესახებ ჯერ საკმარისი მასალა ვერ მოიპოვეს. მაგალითად, ქართველ მეცნიერ ნინო სალიას მიერ 1973 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილების ბელგიაში მოკვლევასთან დაკავშირებით, აღნიშნულია, რომ „ნამიურში ამ რელიკვიების ძებნა უშედეგოდ დამთავრდა“ (<https://ka.wikipedia.org/wiki/ქეთევან-დედოფალი>).

ერთ-ერთი ადგილი, სადაც ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები შემონახულია, არის ინდოეთის ქალაქი გოია, საიდანაც მოსალოცად საქართველოში 2017 წლის 23 სექტემბერს ექვსი თვით ჩამოაბრძანეს. ამ ხნის განმავლობაში, ეროვნული მუზეუმი-სა და სამების ტაძრის შემდეგ, საქართველოს ყველა რეგიონში იყო წაბრძანებული, რათა მისთვის პატივის მიგების შესაძლებლობა ყველას მისცემოდა.

ქეთევან წამებულის სახელი თანამედროვე სამყაროში უდიდესი პატივისცემით სარგებლობს. საქართველოს ბევრ ქალაქში არის მისი სახელობის ქუჩა და ეკლესია. ქეთევან წამებულის სახელობის ახალი ეკლესია თბილისში, ავჭალის უბანში, მდებარეობს. მრავალ ტაძარში ქეთევან წამებულის ფრესკა და ხატია. მათ შორის არის ფრესკა, რომელიც თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის კედელს ამშვენებს. ამ ფრესკასთან დაკავშირებით ცნობილია საინტერესო ისტორიული ფაქტი. კერძოდ კი, რომ სიონის ტაძარში წმინდა ქეთევანის ფრესკის დასახატად მე-19 საუკუნის ცნობილმა მხატვარმა გრიგოლ გაგარინმა იმდროინდელი ქართველი ქალბატონებიდან მეფე სოლომონის ნაზირის, დათიაშვილის, მეუღლე ნათელა (ნატალია) ლუკას ას. ისარლიშვილი აირჩია. იგი რაფიელ ისარლიშვილის მამიდა (რაფიელის მამის-პეტრეს და) იყო.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, 2016-2017 წწ. პორტუგალიის, ქ. ლისაბონში, გრასას მონასტერში, დაცულ ქეთევან დედოფლის წამების ამსახველ პანოს რესტავრაცია ჩატარდა. პორტუგალიელი ოსტატების მიერ XVIII საუკუნეში მოჭიქული თიხის ფილებზეა შესრულებული (სიგრძე 12 მ, სიმაღლე 3 მ). ე.წ. აზულეჟოს პანოზე გამოსახულია ქეთევან დედოფლის ირანში ჩაბრძანების, მისი წამების და ავგუსტინელი ბერების მიერ წმინდა ნაწილების ქეთევან დედოფლის ვაჟის - საქართველოს მეფე თეიმურაზისათვის გადაცემის სცენები („აზულეჟოს პანოს რესტავრაცია“. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა. “Restoration of the panneau of azulejo”. The Cultural Heritage of Georgia. 2016-2017, გვ. 216).


ქეთევან დედოფლის პიროვნების მნიშვნელობა და როლი თანამედროვე საქართველოს სულიერ ცხოვრებაში საუკეთესოდ არის გამოხატული მამა გაბრიელე ბრაგანტინის მიერ, ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილების ინდოეთის ქ. გოიადან საქართველოში ჩამოაბრძანებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული სტატიის სათაურში: „წმიდაო ქეთევან, ილოცე ჩვენთვის!“ (ჟურნალი „საბა“, 2017 წ. ნოემბერი, N11).

## ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი

წიგნი – „საქართველოს ისტორია“, აგრეთვე, მსოფლიო საზოგადოებას საქართველოს იმდროინდელ გამოჩენილ პიროვნებებს და საზოგადო მოღვაწეებს აცნობს, რომლებიც იმთავითვე ერის წინამძღოლებად იყვნენ აღიარებულნი. მათ შორის გამორჩეულია პოეტი, მწერალი, ჟურნალების: „საქართველოს მოამბე“ და „ივერია“ გამომცემელი, თავადი ილია ჭავჭავაძე. ანოტაციაში აღნიშნულია, რომ ის იმ თაობის სათავეში იდგა, რომელმაც განათლება ევროპაში მიიღო და ევროპულ კულტურას ეზიარა. აკაკი წერეთელი დახასიათებულია, როგორც ილია ჭავჭავაძის „თანამოაზრე“, „ხალხური პოეზიის მგოსანი“, „ლირიკული ჟანრის პოეტი და დრამატურგი, რომელიც აღწერს ხალხის ცხოვრებას და მათ ადათებს“. 118 წლის წინ დაწერილი ეს სტრიქონები ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის უდიდესი როლის შესახებ საქართველოს ცხოვრებაში დღემდე არ კარგავს აქტუალობას, მათი როლი ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში ფასდაუდებელია საუკუნეების განმავლობაში. მათ ნაწარმოებებზე გაიზარდა და ევროპულ კულტურას ეზიარა არაერთი თაობა, დიდია მთელი ერის სიყვარული და პატივისცემა მათ მიმართ. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის სახელებს ამჟამად მრავალი ქუჩა, პროსპექტი და სასწავლო დაწესებულება ატარებს. მათი სახელების უკვდავსაყოფად მთელ საქართველოში არაერთი მემორიალური დაფა და მონუმენტი. ერთ-ერთი ცნობილი მონუმენტი, რომელიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს როგორც ადგილობრივ მოსახლეობაში, ასევე საქართველოს სტუმრებს შორის, თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, I საჯარო სკოლის (ყოფილი I გიმნაზია) წინ მდებარეობს. სკულპტურულ კომპოზიციაში, ქვეყნის მომავლისაკენ მიმართული მზერით, ილია ჭავჭავაძე და მისი „თანამოაზრე“ აკაკი წერეთელი არიან გამოსახული.

1907 წელს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის – ილია ჭავჭავაძის მუხანათურ მკვლელობას საქართველოს საზოგადოება დღემდე განიცდის. ილია ჭავჭავაძე დაკრძალულია თბილისში, საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში. 1987 წელს ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ ღვანლისათვის ერისა და ეკლესიის წინაშე ილია ჭავჭავაძე წმინდანად იქნა შერაცხული, სახელით **წმინდა ილია მართალი**.





ილია ჭავჭავაძის მემორიალი მთაწმინდის პანთეონში და წმინდა ილია მართალის ხატი.

ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მონუმენტი თბილისში (I საჯარო სკოლის წინ).





## საქართველოს ბუნებრივი მემკვიდრეობა და ლანდშაფტები

წიგნში – „საქართველოს ისტორია“ წარმოდგენილია საქართველოს ბუნებრივი მემკვიდრეობა – დარიალის ხეობა უნიკალური ლანდშაფტით და საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მდებარე ხიდი. საქართველოს ლანდშაფტები, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა დღესაც ქვეყნის მნიშვნელოვანი საგანძური და ძირითადი ტურისტული რესურსია.

საქართველო მდებარეობს კავკასიის რეგიონში, სუბტროპიკულ კლიმატურ სარტყელში, ევროპა-აზიის შემაერთებელ კავკასიის ყელზე. ამგვარი გეოგრაფიული მდებარეობის გამო საქართველოში ერთმანეთს ემიჯნება ფლორისა და ფაუნის განსხვავებული არეალები.

საქართველოს ტერიტორია გამოირჩევა მრავალფეროვანი ლანდშაფტებით – მთების, ვაკეების, ხეობების და ზღვის პეიზაჟებით, აგრეთვე, სიმაღლის დიდი დიაპაზონით: უმაღლესი წერტილია – მთა შხარა 5,201 მ ზღვის დონიდან; უდაბლესი წერტილი კი – ჭაობები ფოთსა და ყულევს შორის (-1,5-2.3 მ ზღვის დონიდან).

საქართველო ცნობილია ევროპაში უნიკალური ლანდშაფტების გარემოცვაში ყველაზე მაღლა მდებარე დასახლებული ადგილებით. ევროპის ყველაზე მაღლა მდებარე დასახლებული ადგილის სტატუსი ზემო სვანეთის რეგიონში ზღვის დონიდან 2 200 მ სიმაღლეზე მდებარე უშგულის თემის დასახლებას ჰქონდა მინიჭებული. აღსანიშნავია, რომ ამ დასახლების ნაწილია ცნობილი სოფელი ჩაყაში, რომელსაც 1994 წლიდან UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსი აქვს. ამჟამად ევროპის ყველაზე მაღალ დასახლებულ პუნქტად თუშეთის დაცულ ტერიტორიაზე, უნიკალური ლანდშაფტის გარემოცვაში, ზღვის დონიდან 2 345 მ. სიმაღლეზე მდებარე სოფელი ბოჭორნაა აღიარებული.

საქართველოს ლანდშაფტები ქვეყნის ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. მისი დაცვის საკითხები უზრუნველყოფილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს კონსტიტუციური კანონით და ქვეყნის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო კონვენციებით. მათ შორის, აღსანიშნავია ევროპის ლანდშაფტის კონვენცია. საქართველო 2010 წელს მისი რატიფიცირების შემდეგ (ძალაში შესვლის თარიღი-01.01.2011) ევროპის ლანდშაფტის კონვენციის იმპლემენტაციის მსოფლიო პროცესში აქტიურად არის ჩართული. 2018 წლის 9-10 მარტს თბილისში ევროპის საბჭოს ევროპის ლანდშაფტის კონვენციის იმპლემენტაციის ნაციონალური სიმპოზიუმი ჩატარდა (National Symposium on the implementation of the European Landscape Convention in Georgia. Interministerial Round-Table: Integration of the landscape into policies). საერთაშორისო სამუშაო შეხვედრა – მრგვალი მაგიდა საქართველოში ევროპის ლანდშაფტის კონვენციის იმპლემენტაციის და პოლიტიკაში მისი ინტეგრირების საკითხებს მიეძღვნა.



თუშეთის სოფელი ბოჭორნა – ვეროპის ყველაზე მაღლა მდებარე დასახლებული ადგილი, ზღვის დონიდან 2 345 მ.





1994 წლიდან UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსის მქონე სვანეთის უშგულის თემის სოფელი ჩაყაში, ზღვის დონიდან 2200 მ.






UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის წინასწარ ნუსხაში შესული ხევსურეთის სოფელი შატილი.



The screenshot shows the Council of Europe website for the National Symposium on the implementation of the European Landscape Convention in Georgia. The header includes the Council of Europe logo and navigation links: Home, Newsroom, About the Convention, Meetings, Landscape Award, and International Landscape Observatory. The main title is "National Symposium on the implementation of the European Landscape Convention in Georgia". Below the title, there is a section for the "Interministerial Round-Table: Integration of the landscape into policies" held in Tbilisi, Georgia, from 9-10 March 2018. A photograph of a town by a river is shown. The text states: "The Symposium aimed to present the European Landscape Convention and to discuss its implementation at national level." To the right is the logo of the European Landscape Convention, Council of Europe/Conseil de l'Europe, drawn by Alberta Floridi.

The cover features logos of Georgia (the cross), the Georgian coat of arms, the European Landscape Convention, and the Council of Europe. The text reads: "COUNCIL OF EUROPE EUROPEAN LANDSCAPE CONVENTION National Workshop on the implementation of the European Landscape Convention in Georgia Interministerial Round-Table: Integration of the landscape into policies Tbilisi, Georgia 9-10 March 2018 PROGRAMME". Below the text is a photograph of downtown Kutaisi and the White Bridge as seen from Mt Gora. At the bottom, it states: "Document prepared by the Secretariat of the European Landscape Convention, Directorate of Democratic Citizenship and Participation, Council of Europe".



ევროპის ლანდშაფტის კონვენციის იმპლემენტაციის ნაციონალური სიმპოზიუმი თბილისში, 9-10 მარტი, 2018 წ.



## ბოლოიქა

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის – “Histoire de Géorgie, Paris-Tiflis, 1900” („საქართველოს ისტორია, პარიზი-ტიფლისი, 1900 წ.“) გამოცემიდან 118 წელი გავიდა, მაგრამ მას აქტუალობა არ დაუკარგავს. ამ წიგნის შექმნა დღესაც შეიძლება სხვადასხვა საერთაშორისო აუქციონზე. როგორც ზემოთ ითქვა, მსოფლიო საზოგადოების მოწონების გათვალისწინებით, რომელიც საქართველოს კულტურულ-მემკვიდრეობამ და წიგნმა („საქართველოს ისტორია“) პარიზის 1900 წლის უნივერსალურ გამოფენაზე ექსპონირების დროს დაიმსახურა, რაფიელ ისარლიშვილი იმთავითვე გამოთქვამდა სურვილს, იგი ახალი რედაქციით კვლავ გამოეცა. ახალი გამოცემა, მისი აზრით, უნდა ყოფილიყო უფრო ვრცელი და „შევსებული საქართველოს გერბითა, კარტითა და სხვა სურათებითა“. ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე გამოცემით რაფიელ ისარლიშვილის ეს წადილი ნაწილობრივ მაინც შესრულდა. ნიშანდობლივია აგრეთვე, რომ თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისა და მსოფლიოსათვის ქვეყნის საგანძურის გაცნობის საკითხი კვლავ აქტუალურია. და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მისია საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებისა და ქვეყნის წინსვლის საქმეში დღესაც მეტად მნიშვნელოვანი და, ამდენად, მრავალმხრივ მხარდასაჭერია.

## ბიბლიოგრაფია

1. ლ. ნანიტაშვილი – „ქართული წიგნის ამაგდარნი“. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1985;
2. ზაქარია ჭიჭინაძე – „ისტორია ხურსიდის (ისარლოვი) გვარისა და შოთა (შიო) რუსთაველი“, 1904;
3. ზაქარია ჭიჭინაძე – „ქართველ კათოლიკეთ სასულიერო მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცნობები“. სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის ხსენებისა და სახელის სახსოვრად. თბილისი, 1905;
4. ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია 1837-1907, ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრი. გამომცემლობა „უნივერსალი“, 2010;
5. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, V ტ.;
6. „Всемирная Парижская Выставка 1900 года в иллюстрациях и описаниях“. М.А Орлов. Иллюстрированное приложение к “Вестнику Иностранной литературы 1900 г.” С.Петербург. Типография брат. Пантелеевых. 1900;
7. ე. ვარძიელი – „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება – რაფიელ ისარლიშვილი“, გაზეთი „საბა“, იანვარი, 1998;
8. ნანა და გია საფარიშვილები – „ელისაბედ ისარლიშვილი – მარადიულ ხსოვნაში გადასული მშვენიერი სიცოცხლე“, გაზეთი „საბა“, თებერვალი, 2002;
9. ქეთევან-დედოფალი. <https://ka.wikipedia.org/wiki/>;
10. გაბრიელე ბრავანტინი – „წმიდაო ქეთევან, ილოცე ჩვენთვის!“. ჟურნალი „საბა“, ნოემბერი N11, 2017;
11. Laura Péaud. Les premières sociétés de géographes (Paris, Berlin, Londres): entre coopération universaliste et concurrence nationale (1820-1860) (The first geographical society (Paris, Berlin, London): between universalist cooperation and national competition (1820-1860));
12. „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა. 2016–2017“, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, 2017;
13. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის საარქივო დოკუმენტები;
14. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საარქივო დოკუმენტები;
15. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნული მუზეუმის საარქივო დოკუმენტები;
16. გია და ნანა საფარიშვილების, ქეთევან ჭანტურიას, მარინა და ლეილა თუმანიშვილების საოჯახო არქივების დოკუმენტები.

## სარჩევი

რედაქტორის წინათქმა . . . . .	3
წინათქმა . . . . .	4

## ნაწილი I

<b>საქართველოს ისტორია (Histoire de Géorgie, Paris-Tiflis, 1900) . . . . .</b>	<b>7</b>
შესავალი . . . . .	11
საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა . . . . .	13
საქართველოს სამეფოს წარმოშობა (მისი პირველი მეფეები) . . . . .	19
ქრისტიანული მოძღვრება და მისი გავრცელება საქართველოში . . . . .	22
საქართველოს ისტორია (IV-VI საუკუნეები) . . . . .	30
საქართველო არაბთა ბატონობის პერიოდში და ბაგრატიონების დინასტია . . . . .	40
საქართველოს ისტორია (X-XII საუკუნეები) დავით აღმაშენებელი . . . . .	44
თამარის ეპოქა (1184-1212) . . . . .	52
საქართველოს ისტორია (XIII-XVII საუკუნეები) დამოუკიდებელ სახელმწიფოებად დაყოფა . . . . .	59
მეფე ვახტანგ VI . . . . .	72
ნარკვევები საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის შესახებ (XVI-XVII საუკუნეები) . . . . .	84
ქართული მწერლობა, ქართული ენა . . . . .	92
თანამედროვე მწერლობა . . . . .	110

## ნაწილი II

<b>პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე წარმოდგენილი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა 118 წლის შემდეგ . . . . .</b>	<b>123</b>
პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე საქართველოს მონაწილეობის, წიგნის – „საქართველოს ისტორია“ გამოცემის და გამოფენაზე მისი პრეზენტაციის ისტორია . . . . .	126
ბიოგრაფიული ცნობები წიგნის – „საქართველოს ისტორია, პარიზი-ტიფლისი, 1900“ („Histoire de Géorgie, Paris-Tiflis, 1900“) ავტორების შესახებ . . . . .	188
რაფიელ ისარლიშვილი . . . . .	188
ალექსანდრე ხახანაშვილი . . . . .	198
<b>საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო აღიარების პროცესი:</b>	
<b>პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე წარმოდგენილი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა 118 წლის შემდეგ . . . . .</b>	<b>201</b>
მცხეთის ისტორიული ძეგლები (Historical Monuments of Mtskheta) . . . . .	201
თბილისის ისტორიული ნაწილი (Tbilisi Historic District) . . . . .	205
გელათის სამონასტრო კომპლექსი (Gelati Monastery) . . . . .	206
ქართული ანბანი . . . . .	208
დედა ენა . . . . .	210
ქართული პოლიფონია . . . . .	212

საქართველოს მიღწევები სოფლის მეურნეობის დარგში - არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები . . . . .	214
საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო აღიარების ახალი მაგალითები . . . . .	216
ქეთევან დედოფალი - წმინდა ქეთევან წამებული . . . . .	217
ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი . . . . .	220
საქართველოს ბუნებრივი მემკვიდრეობა და ლანდშაფტები. . . . .	222
<b>ბოლოთქმა</b> . . . . .	<b>228</b>
ბიბლიოგრაფია . . . . .	229





978-9941-8-2231-5



9 789941 822315